ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წ ი ლ კ ო ტ ი

## ლ ო ც ვ ა თ ა

რომელი შეიცვავს თჳს
შორის სხვა და სხვა
რჩეულთა და ძვრიად საზ-
მართა ლოცვათა.

ქართული ენის მოყვარ-
თა რომის კათოლიკეთათჳს

კოსტანდინეპოლს
ა. გჳზალიანის სტამბაში
1877

# წალკოტი ლოცვათა

რომელი შეიცავს თჳს შორის
სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად
საჭმართა ლოცვათა.

ქართული ენის მოყუარეთა რო-
მის კათოლიკეთათჳს.



კოსტანდინეპოლს

ანთუან გჳზალიანის სტამბაში

1877

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისყიდება წიგნი ესე სტამბოლს ჩინილი ხანში ჭოქოცაინის მა-
ღაზიაში, ნუმერო 5 . . . .

ფასი 50 კაპეკი.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

« იღვიძებდით დ͠ ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა » ( მათ. კვ. 41. )

« ვითარ იგი ჯერ არს მხოლოდ მარადის ლოცვა. დ͠ რათა არა ეწ͠ყინებოდესთ ლოცვასა შინა » ( ლუკ. იჱ. 1. )

« ითხოვდეთ დ͠ მოგეცეს თქვენ ». ( ლუკ. ია. 9. )



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიღჳძებ რა დილით, აღიმაღლე ფიქრი შენი ღვთისადმი, პირსჯვარი გამოისახე, და სთქჳ შემდეგნი ლოცვანი.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ.

ღმერთო ჩემო, თაყვანსა გცემ და გმადლობ შენ ყოველი წყალობისათჳს, რომელნიც მოგინიჭებია ჩემთჳს დღევანდლამდისინ, და უფროსი ერთი, რომ დამითვარე მე ამას ღამესა შინა.

მრწამხარ, გესავ და მიყვარხარ შენ, უფალო, ყოვლითა გული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეც გამძლეობა უცოდველად ცხოვრებასა შინა, მოთმინება ჯვარსა და შეწუხებასა შინა, და სისრულით შესრულება ყოველი ნებისა შენისა.

იესო ჩემო, იქონიე დღეს გული შენი ჩემზედა, ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, მფარველო ანგელოზო, მამაო იოსებ, სეხნა წმიდაო (სახელი) და ყოველნო წმიდანო ღვთისანო, შემეწიეთ მე დღეს, ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა და მეტადრე წამსა სიკვდილისა ჩემისასა. ა მ-ი ნ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი

შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი ვითარცა ჩვენც მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ა მ ი ნ.

გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ-ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა იესო. წმიდაო მარიამ დედაო ღვთისაო, მეოხ მეყავნ ჩვენ ცოდვილთა აწ და ჟამსა სიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდილისა ჩვენისასა. ა მ ი ნ.

## სიმვოლო მოციქულთა.

მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლის მპყრობელი ცისა და ქვეყნისა დამბადებელი. და იესო ქრისტე ჩვენი უფალი ძე მისი მხოლოდ შობილი, რომელი მიუდგა სულისა მიერ წმიდისა, იშობა ქალწული მარიამისაგან, ივნო პონტოელი პილატეს ზე, ჯვარს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა, ჯოჯოხეთში შთაჴდა, მესამესა დღესა აღსდგა მკვდრეთით, ზეცას ამაღლდა, ზის ღვთის ყოვლის მპყრობელისა მამისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენითა, იქიდგან უნდა მოვიდეს ცოცხალთა და მკვდართა გასასამართლებლად. მრწამს სული წმიდა, წმიდა ეკკლესია კათოლიკე, წმიდათა წილდებულობა, ცოდვათა შენდობა, ხორცით აღდგომა, საუკუნო ცხოვრება. ამინ.

ლოცვა მფარველი ანგელოზისა მიმართ.

ღვთის ანგელოზო რომ ჩემი მფარველი ხარ, მე შენ მოგნდობივარ ღვთის წყალობითა, ყოველს ჟამს განმანათლე, დამიფარე, მიწინამძღვარე და დამარიგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა: ჳთარცა პირველად იყოს, აწ, და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

შეხვალ რა ეკკლესიაში, სიმდაბლით თაყვანი ეც წმიდა ზიარების საიდუმლოსა, და სთქვი შემდეგი გალობა.

გალობა ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოს მიმართ.

თაყვანსა გცემ მხურვალებით ღმერთსა ჩემსა, ჭეშმარიტად პურის ღჳნის სახის ქვეშე მყოფსა აწ აქ დაფარულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა
გულსა ჩემსა უყვარხარ შენ ყო-
ვლის ძალით თჳსით ფრიად,
და მოელის დიდის ნატრით მოს-
ვლას შენსა თჳსში სწრაფად.
რომელს გხედავ დაფარულად აწ
ფარდის ქვეშ იესოვ ჩემო,
ჴევედრები მოიწიოს იმ წამსან-
ცა მაცხოვარო,
რომელშიდაც ფარდა ახდილ გა-
ხილო შენ სანატრელო,
და გიმზერდე პირის პირ შენ სუ-
რჳლით საყვარელო.
ჰყავ მაქუნდეს მე შენდამი ცხო-
ველი სარწმუნოება,
ანთებული სიყვარული, და თან
მტკიცე სასოება,
ჯყო მორჩილ, თავმდაბალი, მო-

## ლოცვანი .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთმინე და მშჳდი ფრიად , მოყვარული მოყჳსისა, უბიწო და ბრძენი დიდად .

ტკბილო იესოვ, შენის სისხლით განმბანე მე ცოდვათაგან , რომლის ერთი წვეთი მხოლოდ საკმაო არს , ყოველთაგან განრინებად მთელი სოფლის ცოდვათა და ჰატიყთაგან , განმარინოს მე ყოველთა ცოდვათა და საცდურთაგან .

მე მრწამს სიტყვა ძისა ღვთისა, « ეს არისო ჴორცი ჩემი, » ჰსთქვა უტყუარის პირითა, და » ეს არსო სისხლი ჩემი, » რადგან მას ზედ უმტკიცესი სხვა რამე არ შეიძლება,

წარხდება ცა და ქვეყანა, ღვთის სიტყვა კი არ წარხდება.

## დილის ლოცვანი.

### ლოცვა სულისა წმიდისა მიმართ.

ბმვედრები, მოვედ ჩი ღვთიურო სულო, ნუგეშინის მცემელო შეწუხებულთა სულთაო, სიხარულო გულთაო, და განსვენებაო მშრომელთა, მოვედ განმაწმედელო ცოდვილთა, მასწავლებელო თავდაბალთა, მოწყალე მამაო ობოლთა, ძლიერებაო უძლურთა, შემწეო გლახაკთა, და შემოვედ სულსა შინა ჩემსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლითა შენითა. განამტკიცე უძლურება ჩემი ძლიერი მკლაჳთა შენითა. აღაგზენ სიგრილე ჩემი წმიდა ცეცხლითა შენითა. დასწყლულე გული ჩემი მაცხოვნებელი ისრითა ტკბილი სიყვარულისა შენისათა. მომეც თჳთო წვეთი ზეციერთა ნიჭთა შენთაგან, და სიტკბოება წმიდათა ნაყოფთა შენთაგან, რათა ამიერით ჳზიზღემდე ყოველს გრძნობითს სიამოვნესა, და დაჳმშვენებდე მხოლოდ სულიერსა გემოვნებასა შენდამი სათნო საყოფელთა ღვაწლთა და სათნოებათა. ამინ.

ჴსქთჳ შჳდი დიდებბ მამასა, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სულმა წმიდამან მოგვანიჭოს ჩვენ ნიჭნი თჳსნი.

ა. გამოავლინო სული შენი, და დაჰბადნე იგინი.
ბ. და განაახლო პირი ქვეყანისა

ვილოცოთ.

ღმერთო, რომელმან ნათლითა სულისა წმიდისათა განასწავლენ გულნი მორწმუნეთა შენთანი, მოგვმადლენ რათა ძალითა იმავე სულისათა წრფელად ვჰსცნათ ყოველი კეთილი, და მისივე ნუგეშინის ცემითა მარადის ჳმვებ-დეთ, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1,5,5,8

## ლ ო ც ვ ა.

უფალო და ღმერთო ჩემო, თაყ-
ვანსა გცემ და გმადლობ ყოველი
წყალობისა და კეთილისათჳს,
რომელნიც გიბოძებია დღევანდ-
ლამდისინ ჩემთჳს. გმადლობ კვა-
ლად რომ დამიფარე მე უვნოდ
წარსულს ღამესა შინა. ვსწუხვარ
რომ შემიწყენი ხარ შენ, ჰოი გა-
ნუზომელო კეთილო, და გპირ-
დები ამიერით უმეტესად ჳრჩიო
სიკვდილი ჳრემც შეწყენა შენი.
და რადგან უფალო, თუ შენი წმი-
და მადლით არ შემეწეჳ, მე ჩემ
თავად კიდევ დაჳღუპები ცოდვა-
ში ჩავარდნით [illegible] თჳს გევედ-

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები შემეწიე, და ნურა ოდეს მო-
მიშვებ რომ განვეყარო შენ ცო-
დვით. ნუ მომაგებ ცოდვათა ებრ
ჩემთა, და ნუ განმაგდებ პირისა
შენისაგან; არამედ მომანიჭე
წმიდა მადლი და ნათელი შენი,
სიმძულვარე ცოდვისა, გამძლეო-
ბა უცოდველ ცხოვრებასა შინა, და
დასასრულსა სიცოცხლისა ჩემი-
სასაცა შენს მადლში კეთილი სი-
კვდილი და საუკუნო სიხარული
სასუფეველისა. ა მ ი ნ.

## საქმე სარწმუნოებისა.

ღმერთო ჩემო, მრწამს მე მტ-
კიცედ რომ შენ ხარ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ღმერთი სამთა თანასწორ-
თა და განრჩეულთა გვამთა შინა,
რომელთა ეწოდებისთ მამა ძე და
სული წმიდა. კვალად რომ ამ
ყოვლად წმიდა სამების მეორე
გვამი, ჲთამც, ძე, უფალი ჩვენი
იესო ქრისტე, გარდამოხდა ზე-
ცით განკაცდა, ჯვარს ეცვა და
მოკვდა ჩვენის დახსნისათჳს, აღ-
სდგა მკვდრეთით და ამაღლდა
ზეცას. ეგრეთვე რომ ჩვენი სუ-
ლი არს უკვდავჳ, და შენც ღმერ-
თო მართალო მოსამართლევ,
მართალთა მიაგებ საიქიოს სა-
სუფეველის დიდებასა და ცოდვილ-
თა ჯოჯოხეთის სატანჯველსა.
ამათ გარდა მრწამს და ვწყნარუ-

ლობ კვალად ყოველსა შინ, რა-
ჲცა ჰრწამს და წყნარულობს წმი-
და კათოლიკე და სამოციქულო
ეკკლესია. და ესე ყოველი მრწა-
მს მე ამისთჳს რამეთუ შენ ღმე-
რთო, რომელი დაუსრბლებელი
ჭეშმარიტება ხარ, არ მოატყუებ
და არც მოსტყუვდები, ესრედ გა-
მოგიცხადებია ესენი წმიდისა ეკ-
კლესიისათჳს, და იგიცა მიბრძა-
ნებს მე რწმუნებასა მათსა.

## საქმე იმედისა.

ღმერთო ჩემო, რადგან შენ
ყოვლის მპყრობელი, მოწყალე
და სარწმუნო ხარ, ამისთჳს მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი იმედი მაქვს შენგანა, რომ ჩემი სული ცხონდება იესო ქრისტეს სატანჯველის ძალით და ჩემი კეთილის საქციელის შემოქმედებით: რომელსაც გპირდები და კიდევაც აღვასრულებ შეწევნით შენით.

## საქმე სიყვარულისა.

უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, რადგან შენ ყოვლად სახიერი და დაუსრულებელად საყვარელი ხარ, ყოვლითა გულითა, სულითა, და გონებითა ჩემითა მიყვარხარ და მიყვარს მოყვასიცა ჩემი, როგორც თავი ჩემი შენის სიყვარული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათჳს.

## საქმე სრული სინანულისა.

ღმერთო ჩემო, რადგან ხარ შენ განუზომელი კეთილი, ამისთჳს მიყვარხარ ყოვლითა გულითა ჩემითა უფრო ყოვლისა რაჲმისაგან, და რადგან მიყვარხარ, ამისთჳს ვნანულობ და ვჴსწუხვარ ჭეშმარიტის გულითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზედა, რამეთუ მათით შემიწყენიხარ შენ: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე. მომიტევე უფალო, ყოველნი ცოდვანი ჩემნი, რომელნი რადგან არიან საძულველნი და საწყენნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენნი, ამისთჳს მეც მძულს იგინი და შეურაცხ ვჰყოფ მათ ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა ბოროტისაგან. და მტკიცედ გპირდები ამიერით არღარა შეცოდებასა მადლითა შენითა, და განშორებასა ცოდვათაგან, და მიზეზთაგანაც ცოდვათა, რამეთუ ამიერით უმეტესად მნებავს სიკვდილი ჯრემცლა კვალად შეცოდება შენი. ამინ.

## ლოცვა იესოს მიმართ.

თაყვანისსაცემელო იესო, ღვთიულო მაგალითო ყოველი ღვაწლისა, და სისრულისაო, რომ-

ლისადმი მიწევნისათჳს ჩუენ ყო-
ველნი უნდა ვცდილობდეთ, მნე-
ბავს მე დღეს შეწევნითა შენითა
გულს მოდგინედ შრომა, რათა
შეძლებისა ებრ ჩემისა ჳყო შენ-
საჳთ მშჳდი, მდაბალი, უბიწო,
მორჩილი, მომთმინე, უწყენა-
რი, დავედრებული ღვთიულს ნე-
ბასა ზედა, მოღვაწე სულთა ცხ-
ონებისათჳს, კეთილის მყოფე-
ლი ყოველთა, კეთილი მაგალი-
თის მაჩვენებელი ყოველთა, შე-
მასრულებელი ღვთიული ნებისა
ყოველსა ჟამსა. ამასთანვე დღეს
უნდა ჳხმარო კრძალობითად ყო-
ველი ღონის ძიება, რათა არდარ
შთავვარდე მე ჩვეულებრივთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვათა მათ შინა, რომლისთვისაც ამის წინათ ხშირად შთავარდნილვარ, გასწორო ყოვლითურთ ცხოვრება ჩემი, დ჻ გავატარო დღევანდელი დღე ესე უცოდვოდ მადლითა შენითა. აკურთხე, უფალო, პირობა ესე ჩემი, დ჻ მომეც შეძლება შევასრულო ესე ყოველი ეგრედ ჳთარცა აღგითქჳ ჭეშმარიტის გულითა. ამინ.

ლოცვა ფრიად სასარგებლო.

ჵი ყოვლად უმანკო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, დედუფალო დ჻ დედაო ჩემო, მნებავს მე რათა ჳყო ყოვლითურთ ერთგული მონა იესოსი დ჻ შენიცა

მარადის, დ~ ამისთჳს გწირავ შენ თუალთა, ყურთა, ენასა, გულსა, დ~ მრთლივ თავსა ჩემსა. გევედრები იზრუნე ჩემთჳს დედობრივ გულ მოწყალობითა დ~ დამიფარე მე მარადის ყოვლისა ცოდჳსაგან დ~ მეტადრე წინააღმდგომთაგან უბიწოების სათნოებისა, რომელიც არის ეგოდნად ძჳრ ფასი დ~ სათნო საყოფელი წინაშე უბიწოთა თუალთა შენთა.

ჵი ასულო საუკუნო მამისაო, მაკურთხე დ~ ნურაოდეს ნუ მიმიშვებ მე რომ შევსცოდო ფიქრითა სახიერსა ღმერთსა ჩემსა.

ჵი დედაო საუკუნოჲსა ძისაო, მაკურთხე დ~ ნურაოდეს ნუ მიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებ მე რომ შევსცოდო სიტყვ-თა სახიერსა ღმერთსა ჩემსა.

ჰი სძალო სულისა წმიდისაო, მაკურთხე და ნურაოდეს ნუ მიმი-შვებ მე რომ შევსცოდო საქმი-თა და გარდამავალობითა სახი-ერსა ღმერთსა ჩემსა.

ამის გარდა შემეწიე ამაზედაც რათა მარადის მიყვარდეს მე ღმე-რთი მრთელი გულითა ჩემითა, და კვალად რათა შევაყვარო იგი სხ-ვათაცა. გევედრები დიდის წადი-ლით გულისა ჩემისა მომანიჭე ეს დიდნი წყალობანი, ჰი ტკბილო, ჰი სახიერო, და ჰი საყვარელო დედაო ჩემო მარიამ. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯსთქჳ სამი გიხაროდენი პაფიჳსათჳს ყმანვოდ მთასახებისა ქალწული მარიამისა, და ცხრა დიდება მამასაცა პაფიჳსათჳს ცხრა დასთა ანგელოზთა ჳთარცა ჯყოფდა წმიდა ფრანჩისკე ქსავერი. ამის შემდგომ ჯქმენ აქ ფიქრის ლოცვა.

## ლოცვა.

კაცთ მოყვარეო უფალო, ბქვედრები სიმდაბლით მომანიჭე მადლი, რათა შენდამი სათნო საყოფელნი დავაწლნი ვქმნო მუდამ სურჯლითა, გამოჯძიო სიბრძნითა, ჯცნა ჭეშმარიტებითა, ჭ ადვასრულო იგინი სისრულითა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულად წმიდის სახელისა შენისა. განაწრთჳელე სრბა ჩემი, მაცნობე და აღმასრულებინე ყოველი იგი, რაჲსაცა ქმნა გნებავს ჩემგან სასარგებლოდ სულისა ჩემისა. მომეც მადლი, რათა როგორც სიხარულსა და გამარჯვებასა შინა, ესრეთვე დამარცხებასა და შეწუხებასა შინაცა ვჰგიებდე განუსხვავებლად, ეგრეთ რომ არც გამარჯვებით გაუამპარტავანდე და არცა დამარცხებითა შეჳქმნა სულ მოკლე და მოუთმენელი, განჳხარო ხოლმე იმაზედ რაჲც მიწინამძღვრებს მე შენდამი, და შევსწუხდე მხოლოდ იმაზედ, რაჲცა განმაშორებს მე შენგან, შენ

მხოლოსა სათნო გეყო, და მხოლოდ დამუქარებათა შენთაგან მეშინოდეს. შევურაცხვჰყო ყოველნი წარმავალნი წუთის სოფლისანი და შეგიყვარო შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, და მოყვასიცა სიყვარულისა შენისათჳს. მოჳწყინო იმ სიმხიარულზედ, რომელიც იყოს უშენოდ, და არ ვეძიო სხვა რაჲმე შენს გარდა. ამასთანვე მყავ მე უფალო, მორჩილი თჳნიერ წინამღდეგობისა, გლახაკი თჳნიერ გულ გატეხილობისა, ჴორცის სიწმიდის დამცველი თჳნიერ ხრწნილებისა, სულგრძელი თჳნიერ დრტჳნჳსა, თავდაბალი თჳნიერ ლალობისა, მხიარული თჳ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერ უზომიერობისა, მოსწრაფე თჳნიერ მსუბუქობისა, მართალი თჳნიერ მზაკვრობისა, გამწურთნელი მოყჳსისა თჳნიერ შედიდურობისა, და შემძენი მისი სიტყჳთა თუ კეთილი მაგალითითა თჳნიერ ფარისევლობისა, ერთგული მსახური შენი და მსასოებელი შენდამი. თანა ზიარი ვნებათა შენთა სინანულითა, საკანუნოების გაწევითა, თაჳს უარისყოფითა და ჴორცის მოკვდინებითა, და დამშვენებელი სააქაოს შენგან მოცემულთა მადლთა და საიქაოს საუკუნო დიდებისა სასუფეველსა შინა. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლოცვა.

ყოვლად წმიდა სამებაო, თაყვანსა გცემ, და შემოგწირავ შენ სულსა, ხორცსა და გულსა ჩემსა, შემეწიე და დამიფარე მე მარადის და მეტადრე დღეს ყოველი ცოდვისაგან, ყოველი განსაცდელისაგან სულისა და ხორცისა და დაუმზადებელი სიკვდილისაგან.

იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, თქვენ გწირავ და გავედრებ სულსა, ხორცსა და გულსა ჩემსა, შემეწიეთ და დამიფარეთ მე მარადის და მეტადრე დღეს ყოველი ცოდვისაგან, ყოველი განსაცდელისაგან სულისა და ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისა და დაუმზადებელი სიკვდილისაგან .

ჵი თაყვან საცემელო გულო და დაუფასებელო სისხლო იესოსო, და თქვენცა ჵი ყოვლად წმიდა გულო და ყოვლად უბიწო სძეო ქალწული მარიამისაო, რომელიც სწოვა ძემან ღვთისამან წამლად ცოდვათა ჩვენთა, თქვენ გწირავ და გავედრებ სულსა, ხორცსა, და გულსა ჩემსა, შემეწიეთ და დამიფარეთ მე მარადის და მეტადრე დღეს ყოველი ცოდვისაგან, ყოველი განსაცდელისაგან სულისა და ხორცისა, დაუმზადებელი სიკვდილისაგან და სიკვდილის წამსაც ღირს

წაღ. ლოცვ. 2.

მყაჯთ დავავედრო სული ჩემი ღვთის მადლში. ამინ.

იესოვ ჩემო, როგორათაც შენ შემიყვარე ეგრედ ფრიად ჯდრედა თავს ისხი ჯვარზედ სიკვდილი ჩემთჳს, ესრეთვე მეც მიყვარ ხარ, და უნდა შეგიყვარო შენ მარადის, მხოლოდ მისთჳს, რადგან ხარ მეუფე ჩემი, და მხოლოდ მისთჳს რადგან ხარ ღმერთი.

ლოცვა უწმიდესი გულისა მიმართ იესოსი.

ყოვლად საყვარელო ჩემო იესოვ, აჰა სიდამდისინ მოაწია გარდამეტებულმა სიყვარულმა შენმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ განმიმზადე მე ღვთიურ-
ტაბლასა წმიდა ჴორცითა და
დაუფასებელი სისხლითა შენითა!
რათა მით ყოვლითურთ მოგუნი-
ჭებინა თანა შენი ჩემთჳს. რაჲ
აღგძრა შენ უფალო ამ ზომის
გარეთი სიყვარულის საქმის ქმ-
ნაზედ? სხვა არა რაჲმან უკეთუ
არ მხოლოდ ჩვენის სიყვარულით
აღტყინებულმა წმიდამა გულმან
შენმან. ჵი თაყვან საცემელო
გულო იესოსო, აღგზნებულო
ღვთიური სიყვარულითა, შეიწ-
ყნარე ყოვლად წმიდა წყლულსა
შინა შენსა სული ჩემი, რათა იმ
სიყვარულის სკოლასშიდ ჳსწავლო
მე მრთელი გულითა შეყვარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისა ჩემისა, რომელმან მიჩვენა ნიშანი ესოდენი განსაკვირვებელი სიყვარულისა თვისისა. ამინ. (ასი დღის შენდობა.)

ჰსთქვ აქ ხუთი დიდება მამასა და თვითო-ეულის თქმაზედ ჰსთქვი

ჩვენის სიყვარულითა აღგზნებულო ღვთიურო გულო იესოსო, აღაგზნე სიყვარულითა შენითა ყოველი კაცის გული, და მათთან გულიცა ჩემი. ამინ.

უწმიდესი გულისა მიმართ ღვთის მშობელისა ქალწულისა მარიამისა.

ჵი ყოვლად სახიერო და წმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო გულო ქალწულო მარიამი-
საო, მტკიცედ გპირდები რომ
სიყვარულისა შენისათჳს არ და-
ვეთანხმო მე დღეს არც ერთს
ბოროტს ფიქრსა და არ შევწყნა-
რო იგინი არაოდეს. წმიდაო ღვ-
თის მშობელო, შემეწიე რათა
მუდამ გარ განვაძიო ხოლმე იგი-
ნი ჩემგან სწრაფად.

ჰსთქჳ ერთი გიხაროდენი,

ჵი ყოვლად უმანკო და მოწყა-
ლე გულო ქალწულო მარიამისაო,
მტკიცედ გპირდები რომ სიყვა-
რულისა შენისათჳს არა ვჰსთქვა
დღეს სიცრუე, არც ძრახვა, არც
გინება და არც უწმიდური ანუ ბო-
როტი რამე სიტყვა: გევედრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი განჰსწმინდე ენა ჩემი, ჰოი ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო!

ერთი გიხარო-დენი.

ჰოი ყოვლად საყვარელო და უბიწო გულო ქალწული მარიამისაო, შესახიზარო ცოდვილთაო, მტკიცედ გპირდები რომ სიყვარულისა შენისათჳს განვშორდე მე დღეს ყოველს ბოროტსა საქმესა, ყოველს ცოდვასა და ცოდჳს მიზეზებსაცა. გევედრები მომიპოვნე მე დაუფასებელი ნიჭი გორცის სიწმიდისა და მადლი რათა ყოველი ჩემი საქმე იყოს სათნო საყოფელი ღვთისა და საამური ყოვლად უბიწო გულისა შენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქჳ ერთი გიხაროდენი.

ჵი მარიამ ქალწულო, უმანკოდ შთასახებულო, გჳიმეოხე ჩვენ ცოდჳლთა, შენდამი შემოხიზნულთა. ყოვლად წმიდაო გულო მარიამისაო, მოიდე კურთხევა შენი სულსა ჩემსა ზედა.

## ლითანია იესოსი.

კირიე ელეისონ, ქრისტე ელეისონ.

იესოვ ისმინე ჩვენი, იესოვ შეისმინე ჩვენი.

მამაო ზეცათაო ღმერთო,
შეგჳწყალენ ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეო მაცხოვარო სოფლისაო
ღმერთო,
სულო წმიდაო ღმერთო,
წმიდაო სამებაო ერთო ღმე- წყვენ
რთო,
იესოვ ძეო ღვთისა ცხოვე-
ლისაო,
იესოვ ბრწყინვალებაო მამი-
საო,
იესოვ მშვენიერებაო საუკუ- შეგვიწყალენ
ნოჲსა ნათლისაო,
იესოვ მეუფეო დიდებისაო,
იესოვ მზეო სიმართლისაო,
იესოვ ძეო ქალწული მარია-
მისაო,
იესოვ საყვარელო,
იესოვ საკჳრველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ღმერთო ძლიერო.
იესო მამაო მერმის მის
საუკუნოებისაო,
იესო ანგელოზთა დიდის
თანა განზრახვისაო,
იესო ყოვლად ძლიერო,
იესო ყოვლად მორჩილო,
იესო ყოვლად მომთმინეო,
იესო მშვიდო და მდაბალო
გულითაო,
იესო მოყვარულო სიწმი-
დისაო,
იესო მოყვარეო ჩვენო,
იესო ღმერთო მშვიდობი-
საო,
იესო აუქსონო ცხოვრე-
ბისაო,

შეგვიწყალენ ჩვენ

იესოვ სახეო და მაგალითო
სათნოებათაო,
იესოვ მოშურნეო სულთა-
ო,
იესოვ ღმერთო ჩვენო,
იესოვ შესავედრებელო
ჩვენო,
იესოვ მამაო გლახაკთაო,
იესოვ საუნჯეო მორწმუნე-
თაო,
იესოვ მწყემსო კეთილო,
იესოვ ნათელო ჭეშმარიტო,
იესოვ საუკუნო სიბრძნეო,
იესოვ კეთილო გამოუთ-
ქმელო,
იესოვ გზაო და ცხოვრე-
ბაო ჩვენო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესოვ სიხარულო ანგელოზთაო,
იესოვ მეუფეო მამათ მთავართაო,
იესოვ მოძღვარო მოციქულთაო,
იესოვ მასწავლებელო მახარებელთაო,
იესოვ სიმხნევ და განმაძლიერებელო წამებულთაო,
იესოვ ნათელო აღმსარებელთაო,
იესოვ უბიწოებაო ქალწულთაო,
იესოვ გჳრგჳნო ყოველთა წმიდანთაო,
მლხინებელ მეყავნ, მომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ ჩვენ იესო,
მლხინებელ მეყავნ, შეის-
მინე ჩვენი იესო.
ყოვლისა ბოროტისაგან
ყოვლისა ცოდვისაგან
რისხვისა შენისაგან,
ეშმაკის მანქანებათა და
საივრხეთაგან,
სულისაგან მეძაობისა.
საუკუნოჲსა სიკვდილი-
საგან,
მცნებათა შენთა დაუცვე-
ლობისაგან,
შენი წმიდა განხორციელე-
ბის საიდუმლოსათჳს,
შენის შობისათჳს,
შენის ყრმობისათჳს,

ლოცვანი.

შენის ღვთიური ცხოვრე-
ბისათჳს,
შენის მოღვაწობისა და
შრომისათჳს;
შენის ურვისა და ვნებისათჳს
შენის ჯვარცმისა და დატე-
ვებისათჳს,
შენის სიკვდილისა და დასა-
ფლავებისათჳს;
შენის წმიდა აღდგომისა-
თჳს;
შენის წმიდა ამაღლები-
სათჳს;
შენის შვებისათჳს,
შენის დიდებისათვის;
კრავო ღვთისაო, რომელ-
მან აიხვენ ცოდვანი

დაგვიხსენ ჩვენ უფალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლისანი, მომიტევენ ჩვენ იესოვ.

კრავო ღმრთისაო, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი. შეისმინე ჩვენი იესოვ.

კრავო ღმრთისაო, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი. შეგვიწყალენ ჩვენ იესოვ.

იესოვ ისმინე ჩვენი.

იესოვ შეისმინე ჩვენი.

ა. უფალო შეისმინე ლოცვისა ჩემისა,

მ. და ვედრებისა ჩემისა ყურად იღე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვ ი ლ ო ც ო თ .

უფალო იესო ქრისტეო, რომელმან ბრძანე „ითხოვეთ და მოგეცეს, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ირეკდეთ და განგეღოს თქვენ.» მოგვმადლე გევედრებით ჩვენ მთხოვნელთა ამათ შენგან, ცეცხლი ღვთიურისა სიყვარულისა შენისა, რათა ყოვლითა გულითა სიტყჳთა და საქმითა ჩვენითა შეგიყვაროთ შენ, და არა ოდეს დავსცხრეთ ქებისა შენისაგან. რომელი ცხოველ ხარ, და სუფევ მამისათანა, და სულისა წმიდისათანა, ერთობით ღმერთო უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დიდება მაღალთა შინა ღმერ-
თსა , ქვეყანასა ზედა მშჳდობა
და კაცთა შორის სათნოება . გი-
გალობთ შენ , გაკურთხევთ შენ
თაყვანის გცემთ შენ , დიდების
გმეტყველებით შენ , და გმადლო-
ბით შენ , დიდისა დიდებისა შენი-
სათჳს , უფალო და მეუფეო ზე-
ცათაო , ღმერთო მამაო ყოვლი-
სა მპყრობელო . უფალო ძეო
მხოლოდ შობილო იესო ქრის-
ტე , და წმიდაო სულო . უფალო
ღმერთო კრავო ღვთისაო , და ძეო
მამისაო , ამღებელო ცოდვათა
სოფლისათაო , მიწყალენ ჩვენ
რომელმან აღიხვენ ცოდვანი სო
ფლისანი , მიითვალე ვედრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი, მჯდომარეო მარჯვენით მამისათა, შეგვიწყალენ ჩვენ. რამეთუ შენ მხოლო ხარ წმიდა შენ მხოლო უფალი იესო ქრისტე, სადიდებლად ღვთისა მამისა ა მ ი ნ.

თჳთეულსა დღესა გაკურთხო შენ, და ვაქო სახელი შენი უკუნისამდე, და უკუნითი უკუნისამდე. ღირს მყავ უფალო დღესა ამას უცოდველად დაცვად ჩვენდა, კურთხეულ ხარ შენ უფალო მამათა ჩვენთა, ქებულ, დიდებულ და ამაღლებულ სახელი შენი უკუნისამდე ა მ ი ნ.

იყავნ უფალო წყალობა შენი ჩვენ ზედა, ვითარცა ჩვენ შენ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავთ . კურთხეულ ხარ შენ უფა-
ლო მასწავენ მე სიმართლენ
შენნი : გ . გზის .

უფალო შესავედრებელ მეყავ ჩვენ ნათესავითი ნათესავადმდე, მე ვსთქუ უფალო მიწყალე მე, და განმკურნე სული ჩემი, რამეთუ ვსცოდე, უფალო შენ გევედრე-ბი მასწავენ მე, რათა ვჰყო ნება შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, და შენგან არს წყარო ცხ-ოვრებისა, და ნათლითა შენითა ჳხილოთ ჩვენ ნათელი, მოგვფი-ნე წყალობა შენი მცნობელთა შენთა ზედა :

ნეტარელმან ღვთის დედამ ქა-

ლწულმან მარიამმან ასწავა წმი-დასა მექთილტა ქალწულსა, ქვე-მო აღწერილი სახე ლოცჳსა, სათქმელი პატიჳსათჳს ყოვლად წმიდის სამების: და დაჰპირდა მას, რომ უკეთუ ყოველ დღივ იტყჳან მას, მოვხედავ იმათ სიკ-ვდილის ჟამსა, და შევეწეჳო.

ჳსთქჳ ერთი გიხაროდენი.

ჵი დედუფალო ჩემო წმიდაო მარიამ, ჳნადგან მამამან ღმერ-თმან ყოვლის მპყრობლობითა თჳსითა გყო შენ ფრიად შემძ-ლებელი, ამისთჳს გევედრები, იმყოფე ჩემთან ახლოს ჟამსა სი-კვდილისა ჩემისასა, და მორნ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ნაძიე ჩემგან ყოველი წინააღმდე-გი ძალა და მანქანება ეშმაკისა .

ჰსთქჳ ერთი გიხარო-დენი .

ჵ დედუფალო ჩემო წმიდაო მარიამ , ჳნადგან ძემან ღვთისა-მან გყო შენ ღირსი იგოდენი სიბრძნისა , და ბრწყინვალებისა ჳდრედა ანათლებ მრთლივ ცასა , ამისთჳს განანათლე და განაძლიერე სული ჩემი ჟამსა სიკვდი-ლისა ჩემისასა , რათა არა შესც-დეს იგი რაჲმე მაცდურობისა , ანუ უმეცრებისაგან .

ჰსთქჳ ერთი გიხარო-დენი .

ჵ დედუფალო ჩემო წმიდაო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ, ჯნადგან სულმან წმიდამან შთაღვარა შენს შორის სავსება სიყვარულისა ღვთისა, ამისთჳს ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა, შთაასწვეთე ჩემს შორის სიტკბოება სიყვარულისა მის, რომელმანცა დამიტკბოს მე მაშინ ყოველი სიმწარე. ა მ ი ნ.

ვედრება ყოვლად წმიდისა მიმართ.

ყოვლად ღირსეულო დედაო უფლისა ჩემისაო, გადიდებ, მიყვარხარ, და გაკურთხებ შენ ყოვლითა გულითა და გწირავ განუზომელსა მადლობასა ყოველთა

კეთილთა მათთჳს, რომელნიცა გიქმნია ჩემთჳს შუამდგომლობითა შენითა დამესა ამას, და ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა, და ვავედრებ დღეს ყოვლითურთ თავსა ჩემსა დედობრივს მოწყალებასა და ძლიერს მფარველობასა შენსა: რათა რომ ყოველნი ზრახვანი, სიტყვანი, და საქმენი ჩემნი იყვნენ დიდებისათჳს მხოლოდ შობილისა ძისა შენისა. პატიჳსა შენისათჳს, და ცხონებისათჳს სულისა ჩემისა, და სულთაცა მოყუასთა ჩემთა. ჵი ყოვლად მოწყალე ქალწულო, მიხსენ მე დღეს, და მარადის ყოველთა განსაცდელთაგან სულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კორცისა. ა მ ი ნ.

## ლოცვა მოქცევისათჳს ყოველთა კაცთა ღვთისადმი.

ჰოი საუკუნო მამაო, რომელსა გნებავს ცხონება ყოველთა კაცთა, სიმდაბლით გევედრები, დაუსრულებელი მოწყალებისა შენისათჳს, და განუზომელი ნაყოფისათჳს ვნებათა საყვარელი ძისა შენისა იესოსი მოეც წმიდა მადლი შენი ყოველთა კაცთა, რათა გიცნან და შეგიყვარონ შენ და აცხორონ ამითი სულნი თჳსნი. (ჳსთქჳ დიდება მამასა, და სხვაც.)

ჰოი საუკუნო ძეო, დამხსნელო

ადამის ტომისა, სიმდაბლით
გევედრები, მოაქციე შენდამი
ყოველნი სულნი, რომელთა და-
ხსნისათჳსაც იქმენ მორჩილი ზე-
ციერი მამისა შენისა ჳდრე სიკ-
ვდილადმდე და სიკვდილადმდეცა
ჯვარისა ზედა (დიდება მამას, და
სხვაც.)

ჰოი საუკუნო სულო წმიდაო,
ნაყოფისათჳს ვნებისა და სიკვდი-
ლისა იესოსი ქრისტესი, სიმდა-
ბლით გევედრები, შთაღვარე აღ-
გზნებული და ყოვლის შემძლე-
ბელი სიყვარული შენი ყოველი
კაცის გულში, რათა მრთელს
ქვეყანასა ზედა ყოველნი იყვნენ
ერთ სამწყსო და ერთ მწყემს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლით მოვსწიოთ ყოველნი სასუფეველსა შინა ცათასა სადიდებლად ღვთიური მოწყალებისა შენისა უკუნითი უკუნისამდე.

## ვედრება სულ ამამავალთათჳს.

ყოვლად მოწყალე იესოვ, მოყვარულო სულთაო, პატიჳსათჳს უწმიდესი გულისა შენისა ჯვარზედ სულ ამამავალობით შეჭირვებულისა და მწუხარებათათჳს ყოვლად უმანკო დედისა შენისა, შეიწყალენ და განბანე დაუფასებელი სისხლითა შენითა ყოველნი ცოდჳლნი იგინი, რომელნიც მრთელი დედა მიწის ზურგზედ

იმყოფებიან აწ სული ამამავალთა ბაშიდ და რომელნიცა უნდა მო-კვდნენ დღეს . ა მ ი ნ .

ყოველთა წმიდათა მიმართ ვე-დრება .

ურიცხვთა სასწაულთა , და საკჳ-რველებათა მომქმედნო , ვედრე-ბათა მსმენელნო და თქვენდამი მოლტოლჳლთა სწრაფად ნუგე-შის მცემელნო , წმიდანო ღვთი-სანო , წმიდაო ღვთის მშობე-ლო , წმიდაო მიქაელ , წმიდაო იოვანე ნათლის მცემელო , წმი-დაო მამაო იოსებ , წმიდაო პე-ტრე , წმიდაო პავლე , წმიდაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე, წმიდაო ნიკოლოზ, წმიდაო ვასილ, წმიდაო იოვანე ოქრო პირო, წმიდაო გრიგორ განმანათლებელო, წმიდაო გიორგი, წმიდაო ანტონ მეუდაბნოელო, წმიდაო ანტონ პატოელო, წმიდაო ფრანჩისკე ქსავერიანო, სახელ მოდგამო ჩემო წმიდაო (სახელი.) წმიდაო ნინა ქალწულო, და ყოველნო ანგელოზნო, წინასწარ-მეტყველნო, მოციქულნო, მამათ მთავარნო, წამებულნო, აღმსარებელნო, ქალწულნო, და ყოველნო წმიდანო, იმეოხეთ ჩემთჳს ღვთისა მიმართ, შემეწიენით, და დამიფარეთ მე დღესა ამასა, ყო-

ველსა ყამსა ცხოვრებისა-წუთისა. და ყამსაცა სიკვდილისა ჩემისასა. ამინ.

ხშირად მოსაგონნი და დასაფიქრებელნი საგანნი.

მოკლეა ჩემი სიცოცხლე, და მტკიცე რომ უნდა მოვჰკვდე. მაგრამ არ ჳცი თუ როდის, და რომელს წამს უნდა მოვჰკვდე. ერთი სული მაქვს მხოლოდი, რომელიცა თუ წარვსწყმიდე, უნდა ჳყო დაღუპული მარად და უკუნისამდე.

ღმერთი მხედავს მე ყოველთჳს, და ისვე გამასამართლებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ცხონება ან წარწყმედა უთუ-
ოდ წილად უნდა მხვდეს.
თუ ახლა არ გავეცდები, ცხონე-
ბისთჳს არ ჳშრომებ,
ბოლოს დრო არღარ მექმნება,
სულს წამალს ვერღარ დავადებ,
სოფელი მალე გაივლის, გათა-
ვდება სწრაფად ყოველა,
ჵ საუკუნოება კი არა ოდეს და-
სრულდება.
თუ ამათ მუდამ ჳფიქრებ, სიკვ-
დილისთჳს მოვმზადდები,
ცოდვათაგან შორს დადგომით,
ნეტარელი შეჳქმნები.
დღეში თჳთო ნაწილი ამ დალე-
ქსილისაგან აიღე ფიქრში და იფი-
ქრე ხოლმე იმაზედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## გევედრები მოვედ შ:ი დვ. 14.

თაყვანსა გცემ შენ, ღმერთო ჩემო, ჲ მიყვარხარ ყოვლითა გულითა ჩემითა. გმადლობ რამეთუ დამბადე, მყავ ქრისტიანედ, ჲ დამიფარე დღესა ამას, მომეც მე მადლი, რათა ვცნა ცოდვანი ჩემნი, ჲ შევჰნანო იგინ იჭეშმარიტებიით.

(აქ წაიკითხე სჯულიერი რაჲმე საკითხავი (ლექციურა) მერმედ ჰქმენ გამობიებნა სჳნიდისისა შენისა, და მის შემდგომ სთქჳ საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა და სინანულისა, ვითარცა

ითქვა დიდის დო-ცვაში) ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმე სრული სინანულისა.

უფალო ღმერთო ჩემო სიმდაბლით დავარდომილი წინაშე გამოუთქმელი დიდებისა შენისა, თაყვანის-გცემ, მრწამხარ, გესავ და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რამისაგან რადგან შენის დაუსრულებელი სისრულისათჳს დირსად ყოველი რამისაგან უფრო შესაყვარებელი და მისაჩნევი ხარ შენ. ესრეთვე მიყვარს, მიმაჩნია და მირჩევნია მე ნება შენი და მცნებანი შენნი უფროს ყოვლისა კეთილისაგან, და რადგან გძულს შენ ყოველი ცოდვა, ამისთჳს მეც

მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი
და მარადის სატირელნი და საგ-
ლოველნი არიან იგინი ჩემთვის
უფროს ყოვლისა ბოროტისა-
გან. ამისთჳს მრთელი გულითა
ჩემითა ვნანულობ და ვსწუხვარ
ყოველს ჩემს ცოდვებზედა, არა
მისთჳს, რომ მათით დამიკარგავს
მე სასუფეველი და მომიგია ჯო-
ჯოხეთი, არამედ იმისთჳს რომ
იმ ცოდვებითა შეგაწყინე შენ,
ღ͠ი განუზომელო კეთილო, ნე-
ტამც ათასჯერ მომკვდარ-ჳყავ და
არც ერთხელ არ შემეცოდებინა
და არ შემეწყინე შენ. ვსდებ მტ-
კიცე პირობასაც და გპირდები,
რომ ამიერით უფრო ჯრჩიო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ათასჯერ სიკვდილი და უ[illegible] ზიანი, ჯერეც თუ ერთხელ კიდე[ვ] შევაწყინო შენ ცოდჳთა, არამე[დ] მინდა მოვშორდე ყოველს ცოდვასა და ცოდჳს მიზეზთაცა, ჳხმარო (ეს და ის) საშუალობანი კელმეორ ცოდვაში ჩავარდნელობისათჳს, და გავსწორო სიცოცხლე ჩემი ყოვლითურთ მადლითა შენითა. აკურთხე უფალო პირობას ესე ჩემი რათა მტრედ აღვასრულო ყოველი ჳთარცა გპირდები აწ და მოწყალებითა შენითა შემინდევ ცოდვანი ჩემნი.

ყოვლად წმიდაო ღ̃თის მშობელო ქალწულო მარიამ რომელი ხარ დედა მარადის კეთილში

გამძლეობისა, მფარველო ანგე-
ლოზო ჩემო, სეხნა წმიდაო, და
ყოველნო წმიდანო ღვთისანო,
ევედრენით ჩემთჳს ღმერთსა,
მომიპოვნეთ მისგან ყოველი ჩე-
მთჳს საჭირო სულიერი თუ ხორ-
ციელი წყალობა, განმათაჳსუფ-
ლეთ, ყოველი შეწუხებისა და შე-
ჳწროებისაგან და უფროსი ერთი
მეოხებითა თქუენითა დამიფარეთ
მე ყოველი ცოდვისაგან დღეს და
მარადის, ყოველი განსაცდელი-
საგან სულისა და ხორცისა, დაუ-
მზადებელი სიკვდილისაგან, და
ღირს მყავით რათა სიკჳდილის
წამს დავავედრო სული ჩემი კე-
თილად ღვთის მადლში საქვე-

ლად ჭ სადიდებლად ღვთაებისა მარადის თქვენთან ერთად სასუფეველსა შინა ცათასა, ამინ.

( აქ სთქჳ სავარდი და ლითანია ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა. )

ლითანია წმიდისა ღვთის მშობლისა.

კირიე ელეისონ. ქრისტე ელეისონ. კირიე ელეისონ. ქრისტე ისმინე ჩვენი. ქრისტე, შეისმინე ჩვენი.

მამაო ზეცათაო ღმერთო, შეგჳწყალენ ჩვენ.

ძეო მაცხოვარო სოფლისაო ღმერთო შეგჳწყალენ ჩვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულო წმიდაო ღმერთო, შეგვიწყალენ ჩვენ.
წმიდაო სამებაო ერთო ღმერთო, შეგვიწყალენ ჩვენ.
წმიდაო მარიამ, მეოხ მეყავნ ჩვენ.
წმიდაო ღვთის-მშობელო.
წმიდაო ქალწულთა ქალწულო,
დედაო ქრისტესაო,
დედაო საღმრთოჲსა მადლისაო
დედაო უწმინდესო,
დედაო უხრწნელო,
დედაო შეუგინებელო,
დედაო უბიწო,
დედაო საყვარელო,
დედაო განსაკვირვებელო,
დედაო დამბადებელისაო,

დედაო მაცხოვრისაო,
ქალწულო ყოვლად მეცნიერო
ქალწულო პატივსაცემელო,
ქალწულო საქადაგებელო,
ქალწულო ძლიერო,
ქალწულო სახიერო,
ქალწულო სარწმუნო,
სარკეო სიმართლისაო,
საყდარო სიბრძნისაო,
მიზეზო სიმხიარულისა
ჩუენისაო,
ჭურჭელო სულიერო,
ჭურჭელო პატიოსანო,
ჭურჭელო ზეშთა მხურვალებისაო,
ვარდო საიდუმლოსაო,
გოდოლო დავითისაო,
გოდოლო სპილოს ძვლისაო,

მეოხ მეყავ ჩუენ.

ლოცვანი.

პალატო ოქროჲსაო,
კიდობანო აღთქმისაო,
ბჭეო ზეცისაო,
ვარსკულაო ცისკრისაო,
ცხოვრებაო სნეულთაო,
შესავედრებელო ცოდჳლთაო,
ნუგეშინის-მცემელო მჭირ-
ვებულთაო,
შემწეო ქრისტიანეთაო, გ.
დედუფალო ანგელოზთაო,
დედუფალო მამათ მთავართაო,
დედუფალო წინასწარ მეტყველ-
თაო,
დედუფალო მოციქულთაო,
დედუფალო მოწამეთაო,
დედუფალო აღმსარებელთაო,
დედუფალო ქალწულთაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედუფალო ყოველთა წმიდათაო
დედუფალო ყოვლად წმიდის სავარდისაო,
წმიდაო მარიამ უბიწოდ მუც-ლად-ღებულო,
კრავო ღჳთისაო, რომელმან აღი-ხჳენ ცოდვანი სოფლისანი,
მომიტევენ ჩვენ უფალო.
კრავო ღვთისაო, რომელმან აღიხჳენ ცოდვანი სოფისანი,
შეისმინე ჩვენი, უფალო.
კრავო ღვთისაო, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი,
შეგჳწყალენ ჩვენ.
ქრისტე, ისმინე ჩვენი.
ქრისტე, შეისმინე ჩვენი.
საფარველსა ქვეშე შენისა და-

ფარჳთ დაგჳფარე ჩვენ წმიდაო ღვთის-მშობელო, სათხოვარსა ჩვენსა ნუ უგულვებელს ჰყოფ ჭირთა შინა ჩვენთა, არამედ ყოვლისა წარწყმედილობისაგან გჳხსენ ჩვენ მარადის ქალწულო დიდებულო და კურთხეულო.

მეოხ მეყავ ჩვენ წმიდაო ღვთის-მშობელო.

რათა ღირს ჳქმნათ აღთქმათა ქრისტესათა.

ვ ი ლ ო ც ო თ.

მოგვმადლე ჩვენ მონათა შენთა უფალო ღმერთო, რათა სამარადისოჲთა ცხოვრებითა სულისა და ჴორცისათა ჳხარებდეთ, და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხებითა ნეტარისა დიდებულისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა დაჳხსნებოდეთ აწინდელით მწუხარებათაგან და სამარადისოჲთა სიხარჳლითა ჳ შჳებდეთ ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა.

## ლოცვა

ყოვლად ტკბილო გულო იესოსაო, გწირავ შენ ღამესა ამას შინა სულსა ჴორცსა და გულსა ჩემსა, რათა შენ მიერ განისვენონ მათ სიტკბოებითა. და რაჲდგან მივალ მე აწ დასაძინებლად, და მის-გამო ვეღარ შჳძლებ ენით ქებასა ღვთისასა, გევედრები ჯერ იჩინე შენ ნაცვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემისა შესრულებისა სამსახურისა ამის, დ҃ ყოველს თჳთეულს ფეთქაზედ გულისა ჩემისა შესწირე ხოლმე ნაცვლად ჩემისა ქება დ҃ მადრიელობა ყოვლად წმიდა სამებასა დ҃ თჳთეული ამოსუნთქვაცა ჩემი მოართჳ მას ჳთარცა თჳთოეული ნაპერწკალი ცხოველი სიყვარულისა თჳსისა, ამინ.

ღვთის მშობლის მიმართ მომოვნისათჳს მისი მფარველობისა.

ჵ ყოვლად წმიდაო ქალწულო მარიამ, დედაო ჩემო, ვხედავ განუზომელთა მოწყალებათა, რომელნიც მოგინიჭებია ჩემთჳს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდლამდი და ამასთანავე ვხედავ აღურაცხველთ უმადურობათაცა, რომელნიც მომიგებია მე შენთჳს, ამისთჳს თუმცა ამიერით არღარა ვარ ღირსი წყალობისა შენისა, მაგრამ მაინც არ ვჰქმნები უიმედო შენგან, რადგან შენი მოწყალება უფრო დიდია ჩემს უმადურობაზედ. ჰოი ძლიერო შუამდგომელო ჩემო, შემიწყალე მე საწყალობელი ტყვე ჯოჯოხეთისა სიმდაბლით დავარდომილი აწ ფერხთა თანა შენთა და მთხოვნელი მოწყალებისა შენისა; შენ ხარ დამრიგებელი ყოველი მადლებისა, რომელთაცა მოგვანიჭებს ხოლმე ღმერთი ჩვენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწყალობელთა, და ამისთჳს ღმერთმანცა გყო შენ ეგოდნად ძლიერი, ეგრეძ მდიდარი და ეგრეძ მოწყალე, რათა შეგვეწიო ყოველს ჩვენს საჭიროებასა და შეწუხებასა შინა. დედაო მოწყალებისაო, ნუ დამტოვებ ესრედ საცოდავად, არამედ რადგან შენ ხარ შუამდგომელი და ავოკატი საწყალობელთა და უპატრონოთა მათ, რომელნიცა მოგმართებენ შენ, მიპატრონე და შემეწიე მეცა, რომელსაცა მომიმართავს შენდამი სასოებითა და გავედრებ შენ ჩემი სულის ცხოვნების საქმესა და თჳთ თავსაცა ჩემსა. ნუ მეტყვი რომ შენი სულის ცხოვნების სა-

ქმე ისრე გაგიძნელებია უჯერო ცხოვრებითა რომ ძნელად წამალი დაედება მაგასაო, რადგან ჳსი სულის ცხოვნების საქმის გარიგებასაც რომ შენ თავზედ აიღებ, რამოდენადაც რომ ძნელი იყოს იგი, მაინც ძრიელ ადჳლად შეგიძლია შენ იმისი გარიგება მარადის. ამის-თჳს შენს ჴელში ვსტოვებ ამიერით ჩემი სულის საუკუნო ცხოვნების საქმესა და შენ მოგანდობ სულსა ჩემსა, რომელი აქამდისინაც იქმნებოდა წარწყმედილი, თუ რომ შენ არ დაგეფარა იგი მეოხებითა შენითა, დედუფალო ჩემო, მე მნებავს ჳყო შერაცხილი რიცხჳსა შინა ჴმრ-

ძოოპიითთ: მონათა შენთა, ამის-თჳს ნუ განმაძიებ მე პირისა შე-ნისაგან: და რადგან შენ მიმოვლი და ეძიებ საწყალობელთა, რათა შეეწიო მათ; ნუ დამტოვებ შეუ-წევნელად მეც საწყალობელს. ცოდვილსა რომელსაცა მომიმარ-თავს შენდამი. ევედრე ჩემთჳს შენს საყვარელს ძესა, და იგი შე-მისრულებს მე ყოველსასა, რაჲ-საცა სთხოვ შენ მას ჩემთჳს. მი-იღე მე ქვეშე მფარველობისა შენისა, და ესე მეკმავების მე ყო-ველის ფრად: დიდ, რადგან ო-დეს შენი მფარველობის ქვეშ ჳ-ქმნები მე, მაშინ არღარაფრისა შემეშინდება მე; არცა ცოდვათა

ჩემთაგან, რადგან შენ მომიპო-
ვნი მე მადლისა ღვთისაგან, რო-
მლით შეჳქმნა ჭეშმარიტი მო-
ნანული და წამალი დავადვა იმ ზი-
ანებსა, რომელნიცა მიმიცია მე
ჩემი სულისთჳს ცოდვების ქმნი-
ისა; არცა ეშმაკთაგან რადგან შენ
უმძვრო ძლიერი ხარ ვირემც მრთ-
ლივ ერთიან ჯოჯოხეთის ეშმაკე-
ბი; არცა ხორცისაგან და არც სოფ-
ლისაგან, რადგან შენ მომიპოვნი
მე ღვთისაგან ძალასა და შეწევნა-
სა, რათა ვსძლიო მარადის გასაც-
დელებსა და მატყუარობასა მათსა;
და არცადა იმავე მსაჯულისა ჩემი-
სა იესოსაგან, რადგნ ვედრებითა
შენითა დაამშჳდებ და შემარიგებ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთან, არამედ მეშინის მე მხოლოდ ზარმაცობისა ჩემისაგან, რომ ვაჲ თუ არ მოგმართო ხოდმე შენ ლოცჳთ ყოველი ჩემი სულიერი თუ ხორციელი დაჭირების დროს, და უმთვროსი-ერთი ეშმაკის განსაცდელების დროსა და ამითი დაჳკარგო მე. მოწალე დედაო ჩემო, დიდად გევედრები, მომიშოვნე მე ღვთისაგან სრული სინანული და მოტევება ყოველთა ცოდვათა ჩემთა, სიყვარული იესოსი და სრული შეთანახმავება ნებისა ჩემისა მის წმიდა ნებასთან, გამძლედ ყოფნა უცოდვო ცხოვრებასა შინა და ქრისტიანებრივ სისრულე, გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება ყოველთა განსაცდელთა და საცდურთაგან სულისა და ჴორცისა, და ანუ ძალა მუდამ ძლევისა მათისა, და დასასრულსა ცხოვრებისა ჩემისასაცა ღვთის მეგობრობაშიდ კეთილი სიკვდილი და ბოლოს სასუფეველი: ამათ გარდა კერძოობითად მომიშოვნე მე ღვთისაგან ეს მადლი რომ მარადის მოგმართო ხოლმე შენ ლოცჳთა. მართალია საყვარელო დედაო ჩემო რომ ბევრს და დიდს რაჲმებსა ვთხოულობ მე შენგან, მაგრამ არ არის ბევრი შენთჳს, რომელი ხარ ეგრეთ ფრიად მიჩნეული წინაშე ღვთისა, და ამისთჳს იგი მოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლამს შენ ყოვლისა მას, რაჲსაც კი ითხოვ შენ მისგან. საკმაოა რომ მიმაშუალო მე მასთან, და იგი უარს არ გეტყჳს შენ არასთჳერზედ, მაშა სადამე ევედრე ჩემთჳს იესოს: და მოახსენე მას რომ მე შეგიყვარნივარ შენი მოვარჯულობის ქვეშ, და იგი არ დამტოვებს მე შეუწყალებლად არაოდეს. ყოვლად საყვარელო და ყოვლად მოწყალე დედაო ჩემო, შემდგომად ღვთისა შენზედ დამიძს ყოველი სასოება ჩემი, და ამ სასოებითვე მნებავს სიცოცხლე და სიკვდილიცა, ამინ.

დავედრებაჲ ღუთის მშობელი მა-

რიამისადმი ფამილიისა გინა ო-ჯაჯხობისა ჩვენისა.

ჰოი ყოვლად უბიწოვ და ყოვლად კურთხეულო ქალწულო მარიამ, დედუფალო და დედაო ჩვენო, შესახიზარო და ნუგეშის ცემაო ყოველთა საწყალობელთა, აჰა ესერა მე დავარდომილი წინაშე ტახტისა შენისა მრთელი სახლეულობითურთ ჩემით, აღგირჩევ შენ ჩემს დედუფლად, დედად და შუამდგომელად ღვთისა მიმართ. შენ შემოგწირავ თავსა ჩემსა, სახლეულებსა და ნათესავებსა ჩემსა სამარადისო სამსახურებლად შენდა, და გევედრები დედაო ღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თისაო, რათა აღვავრცხო ჩვენ ყოველნი რიცხვსა შინა მონათა შენთასა, მიგჳდო ქვეშე მფარველობისა შენისა და შეგვეწიო ცხოვრებასა შინა ჩვენსა და მეტადრე ჟამსა სიკვდილისა ჩვენისასა. ჵი დედაო მოწყალებისაო ამიერით შენ დამიდგენიხარ მე პატრონად და მმართველად სახლისა ჩემისა, სახლეულებისა ჩემისა, ნათესავებისა ჩემისა, და ყოველი საქმისა ჩემისა, იქონიე მარადის მზრუნველობა ჩვენზედ და ყოველს ჩვენს საქმეზედ და განაგე ყოველი ეგრედ ვითარცა სათნო გეყოფის შენ. ამისთჳს მოიღე კურთხევა შენი ჩემ-

ზედ და ყოველს ჩემს სახლეულ-ებზედ, და ნუ მიუშვებ ოდესმე რომ ჳნმე ჩვენგანმა შესწყინოს საყვარელი ძე შენი. დაგჳფარე განსაცდელისაგან, განგვარინე საცდურისაგან, მოგვეც შემწეობა დაჭირებაში, რჩევა ეჭვნეულე-ბაში, ნუგეშისცემა შეწუხებაში, შეგვეწიე სნეულებაშიდ და უმფ-როსიერთი ბოლო წამსა მას სი-კვდილისა ჩვენისასა. ნუ მიუშვებ ეშმაკსა რათა დაიქადნოს რომ ჰყავს შებორკილებული ჩვენგანი ჳნმე შენდამი შემოწირული; ა-რამედ მოგჳმოვნე მადლი ღვ-თისაგან რათა ყოველთა გვე-ღირსოს მოსვლა სასუფეველშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობის გარდასახდელად შენ-დამი, და შენთან ერთად საქებ-ლად და შესაყვარებლად იესოსი მაცხოვრისა ჩვენისა უკუნითი უ-კუნისამდე, ამინ.

## მამა იოსების მიმართ.

ქალწულთა მფარველო, წმი-და მამაო იოსებ, შენ მაგჳერ ერთ-გულს სარწმუნო და ღვაწ-ლით შემოსჳლს მონასა ჩაგაბარა მამა ზეციერმა იესო ქრისტე სა-ყვარელი ძე თჳსი, რომელიც არ-ის თჳთ უმანკოება, და ქალწული ქალწულთა მარიამი ყოვლად წ-მიდა დედა მისი, მოჳლტჳ აწ

შენდამი მე უღირსი ესე; და გე-ვედრები რათა პატიჳსათჳს ტკ-ბილი გულისა იესოსი, ყოვლის ჟამსა იქონიო მამებრიჳ მზრუ-ნვაობა და კერძოობითი მფარვე-ლობა შენი ჩემზედ, იღვაწო მა-რადის დაცჳსათჳს უბიწოდ ჴორ-ცისა ჩემისა, და წმიდად სულისა ჩემისა, და იყო მუდამ მამად და წინა-მძღვარად ჩემდა გზასა სი-სრულისასა. ამისთჳს მომიშოვნე მე მადლი ღვთისაგან, რათა ვემ-სახურო მას წმიდა ფიქრითა, უ-მანკო გულითა, და უბიწო ჴორ-ცითა, იყვნენ ყოველნი საქმენი ჩემნი სადიდებლად იესოსი, და მარიამისა. ესრეთვე გევედრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმყოფვე ჩემთანა ჟამსაცა სულ-ამამავალობისა ჩემისასა განუშორებლად იესოსით, და მარიამითურთ ერთად, წმიდაო იოსებ მოხეო სულ-ამამაჳალთა, რათა მფარველობითა შენითა განვერინო მე ყოველი მზაკვრობისა და საცდურისაგან ეშმაკისა, და მეწევნითა შენითა დავავედრო ღვთის მადლში სული ჩემი, რომელი ხელითა შენითა შთაავედრო ხელთა იესოსი და მარიამისა, ამინ.

წმიდა იოაკიმ და ანნას მიმართ:

ჰოი ყოვლად დიდებულნო წმიდანო იოაკიმ და ანნა, რომელთა

შუამდგომლობა ფრიად გა[illegible]არის წინაშე იესოსი და მარიამი-სა, გვედრები პატივსათჳს იმ გამოუთქმელი სიხარულისა, რომელიც გაქუნდათ ჟამსა შობისა ყოვლად კურთხეული ასულისა თქვენისა ქალწული მარიამისა, მისივე სიყვარულისათჳს, მომი-შოვნეთ საყვარელი იესოსგან გამკვეთი მადლი რომ ნამდჳლად მოჳქცე ყოველი ჩემი ცოდვე-ბისაგან, სრულიად განჳსწორო ცხოვრება ჩემი და გავატარო იგი უცოდვოდ სიყვარულსა შინა მის-სა. ესრეთვე დამავედრეთ უმან-კოდ მოასახებულს ასულსაცა მას თქვენსა, რათა აღმწეროს მე

რიცხვსა შინა ნეტარელთა მხუ-
რუალე მონათა თჳსთა, იქონიოს
მარადის დედობრიჳ მფარუელო-
ბა თჳსი ჩემზედა, და არა დაჯსც-
ხრეს შეოხებისაგან ჩემთჳს სა-
საყუარელი ძისა მიმართ თჳსისა,
ჳდრემდის არ მიხილოს მე ცხო-
ნებული ცათა შინა მადიდებელად
ღვთისა უკუნისამდე, და მადლო-
ბის გარდამხდელად თქუენი და
მისი ნაცვლად თქუენგან მიღე-
ბულთა ესოდენთა დიდთა კეთი-
ლთა.

მფარუელი ანგელოზისა მიმართ.

ანგელოზო ზეცისაო, სარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენო მცველო და მოწყალეო წი-ნამძღვარო ჩემო, მომიმოვნე მე ღვთისაგან მადლი, რათა ჰყო მა-რადის მორჩილი მოვლინებათა გინა შინა-ქროლვათა, და დარი-ღებათა შენთა: განაწრთველე კე-თილად სლვანი ჩემნი რათა არა მოვსცილდე ოდესმე გზისაგან მცნებათა ღვთისა ჩემისათა ამინ.

სეხნა წმიდისა მიმართ.

ჵი დიდო და დიდებულო წმი-დაო (სახელი) რომლის სახე-ლის წოდების პატივ მომცემი-ეს მე; გევედრები იყავ მარადის მფარველი და მეოხე ჩემი, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს ჳდვა მეცა მსახურება ღვთის-
სა, იმ სახით რა სახითაც. შენ
ემსახურე მას ამას სოფელსა ში-
ნა, და ბოლოს ჳქმნა ღირსი შენ-
თან ერთად ქებისა მისისა ცათა
შინა უკუნისამდე, ამინ.

## წმიდა ანტონ პატოველისა მიმართ.

საკჳრველებათა მომქმედო და
ყოვლად დიდებულო წმიდაო ან-
ტონ პატოველო, განწესებულო
ღვთისაგან დასარიგებლად აღუ-
რაცხველთა შეწეობათა გაცთად-
ი, მოგმართავ შენ დიდის სა-
სოებით, და გევედრები, რათა

მომიშოვნო მე ღვთისაგან ყოვე-
ლი მადლი და წყალობა იგი რო-
მელნიცა მესაჭიროებიან მე სუ-
ლისა-თჳს თუ ჴორცისათჳს სა-
ქაოს თუ საიქაოს . ამის გარდ
ვევედრები დიდის წადილითა გუ
ლისა ჩემისა , მიმეოხე ღმერთ
დან რათა მომანიჭოს მე მადლ
და წყალობაცა ესე ( აქ დაასახელ
რა მადლისა და წყალობასაც რო
ნატრობ შენ ღვთისაგან . )

ცხრა დღის მხურვალება ( ნო-
ენა ) პატივსათჳს წმიდა ფრანჩის
ვე ქსავერიისა .

წმიდა ფრანჩისვე ქსავერმა ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს განჰკურნა სასწაულით მომ-კვდინებელი წყლულისაგან, ერთი თჳსი მხურვალეთაგანი დაჰპირ-და მას რომ ყოველსა რაჲსაცა ითხოვს იგი მას ამ ცხრა დღის ლოცვსა (ნოვენის) განმავალო-ბაში მიანიჭებს მას იგი. ამისთჳს სთქვ ხოლმე შენც შემ-დეგი ლოცვა.

ჵ ყოვლად საყვარელო და ყო-ვლად მოწყალეო წმიდაო ფრან-ჩისკე ქსავერი. სიმდაბლით თა-ყვანსა გცემ შენ შენთან დიდე-ბულობასა ღვთისასა და ფრიად მი-ხარის წარმოვდგენ რა ფიქრშიდ იგოდენითა კერძოობითთა მადლ-

თა მონიჭებულთა შენდამი მის[illegible] ცხოვრებასა შინა შენსა და იმ დიდსა დიდებასაცა, რომელიცა მოუგანიჭა მან შენ შემდგომად სიკვდილისა შენისა, ამისთჳს ვს-წირამ ღმერთს ფრიად დიდს და მ-რავალს მადლობასა ამ საგანზედ. ამის შემდგომ გევედრები მრთე-ლი გულითა ჩემითა ჵი წმიდაო ფრანჩისკე, რათა გამკვეთი მე-ოხებითა შენითა მომიშოვნო მე ღვთისაგან ფრიად საჭირო მად-ლი ესე რათა ჳცოცხლო მე მუ-დამ სიწმიდითა და ბოლოს სიწ-მიდითვე მეღირსოს სიკვდილიცა: ამის გარდა გევედრები მომიშო-ვნე მე ღვთისაგან კვალად მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცა ესე, ( ნუ დაასახელე ვერ ბოობითი წყალობა იგი რომელიც გინდა რომ მოგეცეს ღვთისაგან )

და თუ რომ წყალობა ესე რომელსაც ვითხოულობ მე არ არის გამოსადეგი დიდებისათჳს ღვთისა, და სასარგებლოდ სულისა ჩემისა, მაშინ მომიშოვნე ის მადლი და ის წყალობა, რომელიც უფრო გამოსადეგია ერთისა, თუ მეორისათჳს ;

(ჴსთქჳ 3. მამაოჩვენო და 3. გიხაროდენი.

( ეს ლოცვა შეკიბლია იხმარო-ხოლმე როგორც ამ წმიდისა, ესრეთვე სხვა წმიდის ნოვენის-

თჳს, ჳსთჳსაც გინდოდეს, შეცვლით მხოლოდ ამ წმიდის სახელისა და დაწყობით ამ ლოცვთქმისა უფროსიერთი იმ წმიდის დღესასწაულის ცხრა დღით უწინ.)

დიდთა შეწუხებათა შინა, და მძიმე გაჭირვების დროს, შეწევნის მიღებისათჳს ღვთისაგან, და მეტადრე მოქცევისათჳს დაჟინებულთა ცოდვილთა ნაცადია ფრიად განმკვეთი მფარველობა და მეოხობა წმიდა სტანისლაო კოსტკასი და ამისთჳს მხურვალებით სთქჳ ხოლმე შენცა შემდეგი ლოცვა.

ლოცვა წმიდა სტანისლაოს კოსტკას მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი! ყოვლად საყვარელო წმი-
დაო სტანისლაო, რომელი ფრი-
ად შეუყვარებითა ღვთისა და საკვირ-
ველი შმანკოებითა ცხოვრებდი
შენ ქვეყანაზე ჳთარცა ზეციერი
სერაფიმი, მე უღირსი მონა შე-
ნი გავედრებ შენ სულსა ჩემსა,
და გევედრები რათა პატიჳსათვის
იმ სიყვარულისა, რომელიც აქ-
უნდა შენდამი იესო ქრისტესა,
რომელსაცა ყმაწვილის სახითა
მიირქვემდი ხოლმე მკლავთა შენ-
თა ზედა, და სიყვარულისათვის
ღვთის მშობელი ქალწული მა-
რიამისა, რომელიცა მოჳდოდა
ხოლმე ხშირად შენს სანახავად,
და იმ ღირსებისათჳს, რომელიცა

მოგანიჭა შენ ღმერთმან, რომ ეზიარებოდი ხოლმე ანგელოზების კელითა, დამიფარე მე ყოველი ცოდჳსაგან, მომეცი მე ის შენი იმფერი ყოვლად დიდი ზიზღვა ცოდჳსა, რომელიცა ბევრჯერ ეგოდნად დაგასნეულებდა შენ ჯდრედა მიგიყვანდა ხოლმე სიკვდილის კარსა. მომიმოვნე ღვთისაგან ანგლოზებრივ უმანკოება გულისა, და ძალი დაძლევჳსათჳს ყოველთა განსაცდელთა. აღბეჭდე ჩემს გულშიდ მშვენიერი გრძნობა ესე შენი, რომელს იტყოდი: რომ არა ვარ მე შობილი ამ ქვეყნის საწუთო კეთილებისათჳს, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ საუკუნო კეთილებისათჳს და ამისთჳს მე უნდა ვცოცხლო-ბ ამათთჳს და არა იმათთჳსაო, რა-თა რომ ამ ნაირი სიცოცხლითა მეღირსოს მეც შენსავით სიკვ-დილის დროს დავედრება სული-სა ჩემისა იესოს წმიდა გვერდის დაკოდილებასა შინა და მკლავთა ზედა ღვთის მშობელი ქალწული მარიამისათა. ა მ ი ნ.

ლოცვა წმიდა ალოიზი გონზა-ვას მიმართ, რომელი არის მეო-ხე ახალ გაზრდებისა.

ჵი წმიდაო ალოიზი, ანგელო-ზებრ ცხოვრებითა შემკულო, მე ყოვლად უღირსი, გარნა მხუ-

რვალე მონა შენი გავედრებ შენ
თავსა ჩემსა, და ჳთხოვ შენგან
სიმდაბლით რათა გამკვეთი შეო-
ხებითა შენითა მომიშოვნო მე
ღვთისაგან ჴორცის სიწმიდე და
უბიწოება სულისა და ჴორცისა.
გევედრები რათა პატიჳსათჳს ან-
გელოზებრივ უბიწო და უმანკო
ცხოვრებისა შენისა, დამავედრო
მე უმანკო კრავსა იესო ქრის-
ტესა, და ყოვლად წმიდა დედასა
მისსა ქალწულს მარიამსა, რათა
რომ დამიფარონ მე მარადის
ყოველი მძიმე ცოდჳსაგან, და უმ-
ფროსი ერთი წინამდეგობისაგან
უბიწოების წმიდა სათნოებისა.
ყოვლად საყვარელო ჩემო წმი-

დაო ალოთიჳსი, ნუ მიმიშვებ შე-
რათა რაჲმე ნაირად გავამანკიე-
რო ოდესმე სული ჩემი ბიწისა-
გან არა წმიდებისა; არამედ რო-
დისაც მიხილავ მე განსაცდელე-
ბში, ანუ ცოდვაში შთავარდნის
საცდურშიდ, განაშორე გულისა
ჩემისაგან ყოველი უწმიდური
ფიქრი და ნატვრა, გამახსენე სწ-
რაფად საუკუნო ცეცხლი ჯო-
ჯოხეთისა, და ჯვარსცმა იესო-
სი ქრისტესი და შთაბეჭდე ჩემს
გულში წმიდა შიში და სიყვარული
ღვთისა, რათა შეუდგე მე ამ ქვე-
ყანაზედ წმიდასა და უბიწოსა
ცხოვრებასა შენსა, და ბოლოს
დაჲმშვენო შენთან ღმერთი ცათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა, ამინ. ჰსთქჳ ერთი მამაო ჩვენო და გიხაროდენი.

მოციქულთა სწორი წმიდა ნინა ქალწულისა მიმართ.

სიტყჳსა ღვთისა მსახურთა თანა მოსაღდრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინა, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათჳს.

საუნჯე შენდობათა

იესოვ მარიამ. ( შენდობა 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისა.)

იესოვ შემიწყალე, (100 დღისა.)

ჰოი ტკბილო იესო, ნუ მსაჯულად, არამედ მაცხოვრად მექმენ მე. (50 დღისა.)

იესოვ მშჳდო და მდაბალო გულითა, ჰყავი გული ჩემი გულისა-ებრ შენისა, (300 დღისა.)

ქებულ იყოს იესო ქრისტე, (პასუხი) უკუნითი უკუნისამდე. (100 დღის შენდობა და სიცუვებით ერთმან ერთისადმი სალამის მიმცემთათჳს.)

ყოვლადა წმიდა გულო იესოსო, შეგჳწყალენ ჩვენ. (100 დღის შენდობა)

ყოვლად უმანკო გულო მარიამისაო, მეოხ მეყავნ ჩვენ. ( 100 დღის შენდობა. )

კურთხეულ იყავნ წმიდა და უმანკო ჩასახებას ნეტარელი ქალწული მარიამისა. ( 100 დღის.)

ტკბილო გულო იესოსაო, იყავნ სიყვარულად ჩემდა. ( 300)

ტკბილო გულო მარიამისაო, იყავნ ცხოვრებად ჩემდა. ( 300 დღის შენდობა. )

ღმერთო ჩემო, იესოვ, მიყვარ ხარ შენ უფროს ყოვლისა რამისაგან. ( 50 დღის. )

იყავნ ყოველს ადგილს შეყვარებული წმიდა გული იესოსი. ( 100 დღის )

იყავნ ყოველსა შინა ქებულ და უკუნისამდე ადმატებულ ყოვლად სამართლიერი, ყოვლად მადლი და ყოვლად საყვარელი ნება ღვთისა. (100 დღის.)

იყავნ დიდებულ და ქებულ ყოველსა წამსა ღვთიული საიდუმლო ყოვლად წმიდა ზიარებისა. (100 დღის შენდობა.)

საუკუნო მამაო, გწირავ შენ ყოვლად დაუფასებელს სისხლსა იესო ქრისტესასა სალხინებლად ცოდვათა ჩემთა და შესავსებლად საჭიროებათა წმიდისა ეკკლესიისა. (100 დღის შენდობა.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი სიკვდილის ღირსად გახდენისათჳს ყოველ დღივ სათქმელი ლოცვა.

უფალო ჩემო იესო ქრისტევ, პატიჳსათჳს იმ სიმწარისა, რომელიცა დაითმინა ყოვლად წმიდა სულმან შენმან ჟამსა გამოსვლისა კურთხეული ჴორცისა თჳსისაგან, შეიწყალე ცოდჳლი სული ესე ჩემი ჟამსა მას ოდეს იწყებს იგი გამოსვლასა ჴორცისა ჩემისაგან, ამინ.

ლოცვა მოქცევისათჳს ურწმუნოთა და მწვალებელთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნო და ყოვლთა არსთა და-
მბადებელო ღმერთო, მოიხსე-
ნიე შენგან შორს დაშთენილნი
იგოდენნი ურწმუნოთა და მწვა-
ლებელთა სულნი, რომელნიცა
გაგიჩენია შენ ხატისა და მსგავ-
სებისა ებრ შენისა. აჰა ესერა,
უფალო, თუ რაოდენნი აღურიც-
ხველნი სულნი ურწმუნოთა და მწ-
ვალებელთანი ურწმუნოებითა და
მწვალებლობითა მათითა გალახ-
ჯისათჳს შენი წმიდა სახელისა,
წყმდებიან საუკუნოდ და იმსება
მათით ჯოჯოხეთი. მოიხსენიე
რომ საყვარელმან ძემან შენმან
და უფალმა ჩვენმან იესო ქრის-
ტემან თავს იხსა იგოდენი ვნება.

და მწარე სიკვდილი ჯვარსა ზე-
და დახსნისა მათისათჳს. ბევრედ-
რები, უფალო, ნუდარ მიუშვებ
ამიერიდგან რომ კიდევ შეურაცხ
ყოფილ და ფეხქვეშ გაქელილ იქ-
მნას ურწმუნოთაგან და მწვალე-
ბელთაგან საყვარელი ძე შენი;
არამედ დაასცხრომე მათზედ მო-
ლებული რისხვა შენი წმიდაო და
მართალო, და მეოხებითა წმიდა-
თა შენთა და ლოცვითა წმიდისა
ეკკლესიისა მოჰხედე მათ ყოვ-
ელთა ,,ანუზომელი მოწყალები-
თა შენითა, დაიჳწყე კერპმსახუ-
რობა და ურწმუნოება ურწმუნო-
თა და მწვალებლობანი მწვალებ-
ელთა, მოანიჭე მათ წმიდა ნა-

თელი დ҃ მადლი შენი, მოაქციენ ყოველნი მწვალებელნი დ҃ განანათლე ურწმუნონი რათა გიცნან დ҃ შეგიყვარონ შენ იმათაც უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელი შენთანა დ҃ სულისა წმიდისა თანა ცხოველ-არს დ҃ სუფევს უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

1. მამაო ჩვენო, გიხარ, დიდება.

ვედრება ღვთისადმი ცოცხალთა და მიცვალებულთათვის.

გარდამოავლინე უფალო, კურთხევა შენი, მშობელთა ჩემთა ზედა, მეგობართა ჩემთა ზედა, კეთილის მყოფელთა ჩემთა ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ჲ მტერთა ჩემთა ზედა, დაიცევ ყოველნი სასულიერნი წინამძღვარნი ჲ სამოქალაქო მმართებელნი ჩვენნი. შეეწიე გლახაკთა, დატყვევებულთა, სნეულთა, ჲ მომაკვდავთა, მოაქციე მწვალებელნი, ჲ განანათლე ურწმუნონი, რათამცა გიცნან ჲ შეგიყვარონ შენ. ღმერთო სახიერო, რომლისა მოწყალება განუზომელ არს, შეიწყალენ სულნი ყოველთა ქრისტეს მიერ მიცვალებულთანი, ჲ განუსვენენ მათ ყოველთა, რომელთათჳსაცა თანამდებ ვარ მე ლოცვად.

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ უფალო, ჲ ნათლითა სამარადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფთა განანათლენ იგინი. განისვენონ მშჳდობით. ამინ.

## მიქაელ მთავარ ანგელოზისა მიმართ.

ჵ ყოვლად დიდებულო მთავარ ანგელოზო წმიდაო მიქაელ! ზევედრები დამითვარე მე ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა, და მეტადრე ბოლო წამსა მას სიკვდილისა ჩემისასა ყოველთა განსაცდელთა და მანქანებათაგან ეშმაკისათა; ამის გარდა მომიშოვნე ღვთისაგან ღვაწლი სიმდაბლისაცა რათა ამპარტავნობამან არ გამხადოს მე ღირსი წარწყმედისა საუკუნო ჯოჯო-

ხელთსა შინა.

მიხვალ რა დასაძინებლად ჰსთქუ ესრედ.

დამიცევ მე უფალო უცოდველად დამესა ამასა შინა, და განმარინე ყოვლისა ბოროტისაგან.

ყოვლად წმიდაო სამებაო, მომეც მე მადლი კეთილად დავედრებისა სულისა ჩემისა შენდამი ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა.

იესოვ, მარიამ, და მამა იოსებ, თქვენ გწირავ სულსა, გულსა, და ცხოვრებასა ჩემსა.

იესოვ, მარიამ, და მამა იოსებ, შემეწიეთ მე ჟამსა ბოლოსულ ამამავალობისა ჩემისასა.

იესოვ, მარიამ, და მამა იოსებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიღეთ ჩემზედ ეს დიდი წყა-
ლობა რომ თქვენი ჩემთან აწმ-
ყოდ დასწრების დროს დავავე-
დრო მე სული ჩემი მშვიდობით.
(100 დღის შენდობა.)



ეროვნული ბიბლიოთეკა



მნიშვნელობა წმიდისა წირჳსა ვნებათა ზედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

## ლოცვა.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან ცხოვრებისათჳს ჩვენისა დაამტკიცე საიდუმლო წმიდისა წირჳსა მოსახსენებლად ვნებათა შენთა; გევედრები შენ, მომეც მე ეგოდენი მადლი და შეწევნა, რათა შეჳძლო მორწმუნედ მოსმენა მისი და მითვე მოჳგო ნაყოფი ვნებათა შენთა. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟამს მწირველი ტრაპეზი წინაშე მივალს, იესოს გეთსამანის მტილში მისლვას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! როდესაც შენის ვნების დროჲ მოიწია იწყებდი ზრუნვასა დახსნისა ჩვენისათჳს; ხოლო შიშისაგან გუამი შენი ძრწოდა: ეგრეთვე მომმადლე მეცა, რათა ვნებისა შენისა მოხსენებითა ჳზრუნვო ცოდვათათჳს ჩემთა, და ცხონებისათჳს ჩემისა.

რაჟამს მწირველი წირვას დაიწყებს, იესო ქრისტეს გეთსამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მტილში ლოცვას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! ოდეს მამისადმი ილოცჳდი, ინებე განძლიერება ანგელოზისაგან, ბმჰედრები, მომმადლე მეცა, რათა მოვარგელი ანგელოზი ჩემი მადლითა ლოცჳსა შენისათა წინამძღვარ მექმნას, ყოველნი საქმენი და განზრახვანი ჩემნი შენდამი წარმიმართოს.

რაჟამს მწირველი ალჳარებას იტყჳს. იესო ქრისტეს მიწაზედ პირდამხობას და სისხლის ოფლის დენას ჰნიშნავს, და ეს ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვა ჴსთქვი .

უფალო ჩემო იესო ქრისტე! ოდეს გულს მოდგინებით საუკუნოჲსა მამისა მიმართ ილოცვედი, მწუხარესა სისხლის ოფლი გდიოდა. გევედრები, მომმადლე მეცა, რათა შენის ვნების მოხსენებითა თვალთაგან ჩემთა სინანულის ცრემლმა იდინოს.

რაჟამს მწირველი ტრაპეზზედ ადვალს და ემთხვევა იესო ქრისტეს ორგული იუდას ჴამბორითა გაცემას ჴნიშნავს, და ეს ლოცვა ჴსთქვი.

უფალო ჩემო იესო ქრისტევ რომელმან ინებე ორგული იუდისაგან ჰამბორით მიცემა თაჳსა შენისა ჰურიათა, გევედრები მომმადლე, რათა არაოდეს ჳქმნა ორგული და მოღალატე არცა შენი არცა თაჳსა ჩემისა და არცა მოყვასისა ჩემისა, ხოლო აღმასრულებელი ნებათა შენთა, შეჳყვარებდე მოყვასთა ჩემთა.

რაჟამს მწირველი სამოციქულოსაგან გაბრუნდება იესო ქრისტეს ჰურიათაგან შეპყრობას და უწყალოდ შეკვრას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ

უფალო ჩემო იესო ქრისტე, რომელმან ინებე ბოროტთა ჰურიათაგან უწყალოდ შეკვრა მსგავს ავაზაკისა, გევედრები შენ, განმხსენ მე კრულებათაგან ცოდვათა და შემკარ საკრველითა ჰსჯულისა შენისათა; რათა ყოვლითა ძალითა სულისა და ჴორცისა ჩემისათა შეუძლო შენდა უზრუნველად მსახურება.

რაჟამს მწირველი სამოციქულოს კერძოთ წინა სიტყვაობის წაკითხვას დაიწყებს, იესო ქრისტეს ანნას სახლში მიყვანას ჰნოშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალო ჩვენო იესო ქრისტევ! რომელმან ინებე მღდელთ მთავრის ანნას წინაშე წარდგენა და უწყალოთა ჴურიათაგან ყურიმალისა ცემა, გევედრები, მყავ მობაძავ შენდა, რათა მტერთა ჩვენთა მიუტევო და ამიერითგან წმიდისა ნებისა შენისა აღმსრულებელ ვიყო.

რაჟამს მწირველი კირიელეისონს იწყებს, იესო ქრისტეს კაიაფასთან მიყვანას და პეტრე მოციქულის უარის ყოფას ჴნიშნავს, და ეს ლოცვა ჴსთქვ.

უფალო ჩვენო იესო ქრისტე!

რომელი კაიათვას სახლში შე
მოციქულმან სამ გზის უარ გყო
ჰეჳედრები , დამიფარე მე ამხანა
კობისაგან ბოროტთა კაცთასა
რათა ბოროტის მაგალითით
არასოდეს შეგცოდჳდე მომავლ
ნეჰელად .

რასყამს მწირველი ერისაკენ მო
ბრუნდება და იტყჳს : უფალი თ
ვენთანა , იესო ქრისტეს პეტრ
მოციქულისაკენ მიხედვას და ი
პეტრე მოციქულის მოქცევ
ჳნიშნავს , და ეს ლოცვა ჳსთქ

უფალო ჩემო იესო ქრისტ
როგორათაც შენის წმიდის მ

ხედვით პეტრე მოციქულმა უარის-ყოფა თაჳსი ჰსცნა და მასვე წამს მწარე ცრემლითა იტირა, ეგრე-თვე მოʼხედენ მეცა, რათა ცრე-მლითა შეჳნანო ყოველნი ცთო-მანი ჩემნი და ამიერიდგან არღა-რა გცოდჳდე შენ.

რაჟამს მწირველი სამოციქუ-ლოს წარიკითხავს, იესო ქრისტეს პილატეს სახლში წაყვანას და ჰუ-რიათაგან ცილის წამებას ჰნიშნა-ვს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან სხვა და სხვა სატან-ჯველებითა უწყალო ჰურიათაგან

ბოროტად წარდგენა [illegible] წინაშე ნებიერად იტჳრთე, გევე-დრები, რათა ბოროტთა მოქმედებათაგან მარადის ჳხსნებოდე და კეთილის განზრახვათა წმიდათა მცნებათა შენთა დაჳცვემდე.

რაჟამს მწირველი მეტანიას იქმს, და შევევედრება, რათა გული მისი განჰსწმიდოს, იესო ქრისტეს ჰეროდესთან მიყვანას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი წინაშე ჰეროდისა ისმენდი ნებიერად ბოროტთა ცილის წამებათა და განკიცხვანი ნებიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფად იტჳრთე, მომმადლე მეცა რათა მტერთა ჩემთაგან შეგინებითა არ აღშფოთდეს გული ჩემი, და უწმიდესნი საიდუმლონი შენნი დავიცვა სიწმიდით.

რაჟამს მწირველი სახარებას წაიკითხავს და მრწამს იწყების, იესო ქრისტეს პილატესთან მეორედ მიყვანას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტევ! რომელმან ჰქროდეს ბრძანებით ისევ პილატესთან წარდგენა ინებე და მათი ურთი ერთის სათნოების მიზეზი იქმენ, გევედრები,

შეც განმაძლიერე, რათა ბოროტთა ვნებათაგან არ მეშინოდეს ხოლო შეჳნიშნევდე გასასწორებელად ბოროტებათა ჩემთა, რათა მით მომბაძავ შენი ჳქმნე.

რაჟამს მწირველი ბარძიმს აჴდის, იესო ქრისტეს გამიშვლებას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან ინებე განძარცვა, რათა შიშველი ჴორცითა უმეტეს გატანჯულ იყავ ჩვენთჳს, გევედრები, მომმადლე, რათა სრულის აღსარებითა ცთომანი ჩემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი განჴძარცვო და შემოსჳლი ას-ლის მადლითა კეთილს გზაზე ჳდოდე.

რაჟამს მწირველი სეფისკვერს შესწირავს, იესო ქრისტეს სვე-ტზე მიკვრას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან თანამდებნი ცოდვანი ჩემნი გარდაიხადე ვნებით სვეტსა ზედა სისხლის დანთხეჳთა, გევე-დრები, რათა სული ჩემი წმიდი-თა სისხლითა შენითა განბანილი და განწმედილი ვნებითურთ შენით შევჰსწირო მამასა შენსა.

ლოცვ. წალკ. 5.

რაჟამს მწირველი ბარძიმს უ ჰბურავს, იესო ქრისტეს ეკლით დაგჳრგჳნებას ჰნიშნავს, და ქს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! დახსნისა ჩუენისათჳს ეშმაკის ტყუეობისაგან ეკლის გჳრგჳნით, ჳთარცა მეფე ჰურიათა დაგჳრგჳნებულ იქმენ, გევედრები მომმადლე მეცა, რათა ჳთმენდე შეწუხებათა და მომბაძაჳ სასჯელითა ღირს ჳქმნე შენის გჳრგჳნის მონაწილეობისა ცათა შინა.

რაჟამს მწირველი თითებს დაიბანს, იესო ქრისტეს უბრალოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჯას და პილატეს კელის დაბანვას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! პილატემ შენი უმანკოება აღჳარა, და შენ ნებიერად ისმენდი გამტანჯველთაგან უკადრისთა დალადებათა, გევედრები, მომმადლე მეცა მოთმინება და უცოდველი ცხოვრება, რათა წინადმდეგად ბრძანებათა შენთა არ მივაგებდე მტერთა ჩემთა.

რაჟამს მწირველი ერისაკენ მობრუნდება და იტყჳს « ილოცეთ ძმანო » პილატეს ცდილობის უნაყოფობასა და იესოს აჰა გაცად

ჩვენებასა ჰურიათა ჰნიშნავს, და ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი ურცხვმან პილატემან აჩვენა ჰურიათა წყლული გვამი და სახე შენი შემუსვრილი, გევედრები, მომმადლე მეცა ამათ ამპარტავნობათაგან განშორება, რათა განკითხჳს დღესა წარმოვსდგე შენს წინაშე სულით ბრწყინვალე.

რაჟამს მწირველი წინა სიტყუაობას იტყჳს, იესო ქრისტეს სასტიკად დაჰსჯასა ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალო ჩემო იესო ქრისტე, რომელი პილატემ უმსჯავროდ და შეურაცხებით სასიკვდილოდ გსაჯა, გევედრები, შემიწყალე, რათა დღესა აღსასრულისა ჩემისასა არა დავისაჯო, მოყვასთა ჩემთათჳს არა მწადოდეს ბოროტი, არამედ ვეცდებოდე მადლითა შენითა შეჳყვარო იგინი, ჳთარცა თავ ჩემი.

რაჟამს მწირველი ცოცხალთათჳს ილოცავს, იესო ქრისტეს ჯვარის ტჳრთჳსა ჰნიშნავს, და ეს ლოცვა სთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე

რომელმან მხართა ზედა შეჰყართა სიმძიმე ჯვრისა იტჳრთე და მთასა გოლგოთისასა ჴდოდი, გევედრები, მომმადლე მეცა რათა სიყვარულისათჳს შენისა მრავალნაირი სასჯელი ჴტჳრთო და ესრედ მომბაძაჲ შემოგიდგე შენ.

რაჟამს მწირველი ბარძიმს ჴელით დაათვარებს, იესო ქრისტეს ვერონიკე დედაკაცის მანდილით ოთვლის მოწმედას და მანდილზე სახის გამოხატვას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე, ოდეს წარხჳდოდი სჳრჳლიით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა
სიკვდილოდ და საწყალობელთა დედათაგან ტირილი გესმოდა და ეტყოდი მათ, რათა თავთა თჳსთა ზედა სტიროდნენ, მომმადლე მეცა, რათა თვალთაგან მდიოდეს ცრემლნი სინანულისა განსაბანვად ცოდვათა ჩემთა.

რაჟამს მწირველი ჯვარს გამოსახავს სეფისკვერზე, იესო ქრისტეს ჯვარზედ დალურსმნას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! სიყვარულისა და დახსნისა ჩვენისათჳს ინებე, რათა გვამი შენი ჯვარისა ზედა დალურსმნულ იყო,

ბეჭედრები, მომმადლე, რათა სჯული შენი წმიდათ დაჳმარხო და სიმართლის გზასა მარადის დამსჭვალული ჳყო.

რაჟამს მწირველი წმიდა სეფის-კვერს აღამაღლებს, იესო ქრი-სტეს ჯვარსა ზედა ამაღლებას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან ჩუენ ცოდჳლთათჳს ინებე ქვეყნით ამაღლება ჯვარსა-ზედა ბეჭედრები, აღამაღლე სუ-ლიცა ჩემი ზეცად, რათა მარა-დის ჰსტკბებოდეს შენ მიერ გა-ნმზადებულს სუფევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟამს მწირველი ბარძიმს აღამაღლებს, იესო ქრისტეს წყლულთაგან სისხლის დენას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან სიყვარულისა ჩვენისათჳს ინებე ცხოველ-მყოფელთა წყლულთაგან სისხლის დენა მოსატევებელად ცოდვათა ჩვენთა, მომმადლე ჟამსა აღძრვისა გულის თქმათა ჩემთა შეცოდებად, შევევედრებოდე წყლულთა შენთა, რათა ღირს ჳქმნა განკურნებისა.

რაჟამს მწირველი მიცვალებულთა მოიხსენიებს, იესო ქრის-

ტეს ჯვარსა ზედა კაცთათჳს ლოცვას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე ვითარცა შენ ჯვარსა ზედა მამასა შენსა ევედრებოდი კაცთათჳს და შენს განმტანჯველთათჳს, ეგრეთვე მომმადლე მეცა, რათა ბრძანებისაებრ შენისა შეჳყვარებდე მტერთა ჩემთა და ნაცვლად სიბოროტისა მივაგებდე კეთილსა.

რაჟამს მწირველი მკერდსა იცემს თქმითა « და ჩვენ ცოდვილთაც მოგვეც შენდობა » ავაზაკის მოქცევას ჰნიშნავს; და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! ოდეს მორწმუნე ავაზაკმა ძედ ღვთისად გიწოდა, და შენ მოქცეულს შენდამი დაჰპირდი: » დღეს ჩემთან იყავ სამოთხესა » ეგრეთვე მომმადლე მეცა, ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა, დავსტკბე შენის მოწოდებითა და შენთან ვხარებდე საუკუნო დიდებაში.

რაჟამს მწირველი მამაო ჩვენოს იტყჳს, იესო ქრისტეს შჳდი ლექსის წარმოთქმასა და იოვანე მახარებელისადმი ჩაბარებასა დედისა თჳსისასა ჰნიშნავს და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან უწინარეს სიკვდილისა შენისა ყოვლად წმიდა დედა შენი წმიდასა იოვანეს ჩააბარე და წმიდა იოვანეცა დედასა შენსა, ეგრეთვე შევავედრებ სულსა ჩემსა კელთა მათთა, რათა ამ საგლო-ველ სოფელში მეოხებას მათი და მოწყალებას შენიცა მოვარჯდეს მე.

რაჟამს მწირველი სეფისკვერს განსტეხს, იესო ქრისტეს ჯვა-რსა ზედა სულის განტევებას ჰნი-შნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე, რომელმან ჯვარსა ზედა სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მამასა შენსა შეავედრე, ეგრეთვე მომმადლე მეცა, რათა კეთილის ცხოვრებითა შენ მოვეგზაძო და სიკვდილის დროს სული ჩემი შენ შეგავედრო.

რაჟამს მწირველი სეფისკვერის უმცირესს ნაწილს ბარძიმში ჩაასვენამს, იესო ქრისტეს ლიმჰოზში ჩასვლასა და წმიდათა სულთა დახსნას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი ჩახველ ლიმჰოზში, მართალთა სულების დასახსნელად, და დააქციე მართალთ ჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოხეთი და დაასტკბე მართალთა სულები სასუფეველურის დიდებითა, გვედრები, მორწმუნეთა მიცვალებულთაცა მიუტევო ცოდვანი მათნი, რათა ჰსტკბებოდნენ შენთანა სასუფეველსა ცათასა.

რაჟამს მწირველი კრავო ღვთისავო იტყჳს, იესო ქრისტეს სიკვდილის დროს საკჳრველების ხილჳთ ცოდჳლების ტირილსა და გამტანჯველების მოქცევას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! გითარცა თჳთ გამტანჯველთა შენთაცა ჰსცნეს შეცოდებანი თჳსნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერდსა იცემდენ სინანულითა. ეგრეთვე გევედრები, მომმადლე მეცა შენის ვნების მოხსენებითა ცოდვათა ჩემთა ვსტიროდე და ამიერიდგან აღარ გცოდჳდე.

აქ სამ გზის კრავო ღვთისაო ჰსთქვი.

რაჟამს მწირველი ეზიარება, იესო ქრისტეს დასაფლავებას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან ინებე ახალს საფლავში შენი ღვთიური გვამის დამარხვა, გევედრები, სული და გული ჩემი განაახლე და აღავსე შენის წმიდა მადლითა, რათა ღირს ჳქმნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი მონაწილეობისა.

რაჟამს მწირველი ბარძიმში თითებს ჩაიბანს, იესო ქრისტეს ნელსაცხებელით ცხებას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქვ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან შემდგომ სიკვდილისა ინებე ნელსაცხებელითა ცხება და ახლითა ტილოთი შემურვა და იოსებ ნიკოდიმოზის მიერ წარგრაგნა, ბე[illegible]ედრები, მომმადლე, რათა განწმედილი სულითა ჩემითა ღირს ჳქმნა უკანასკნელს დროსა მიღებად უწმიდესისა ჴორცისა შენისა.

რაჟამს მწირველი ზიარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ ილოცავს, იესო ქრისტეს აღდგომას ჰნიშნავს და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი დაკრძალული საფლავაჳდამ მკჳდრეთით აღჰსდგები და დასთრგუნჳე ძალი სიკჳდილისა, გეჳედრები, აღადგინე სულიცა ჩემი განთაჳსუფლებული მომაკვდინებელთა ცოდვათაგან სრულის სინანულითა, რათა ღირს ჳქმნე საუკუნჲსა დიდებისა შენისა.

რაჟამს მწირველი ერისაკენ მობრუნდების და იტყჳს « უფალო თქვენთანა » იესო ქრისტეს აღ-

დგომის შემდგომ დედისა და მო-ციქულთ ჩვენებას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი მკვდრეთით აღდგომი-ლი ეჩვენე გასახარებლად დედასა შენსა და ყოველთა მოციქულთა, რომელთაცა სრული ნუგეში ეც, მომმადლე მეცა, რათა ღირს ჳ-ქმნე პირის პირ შენის ღვთაების ხილჳსა.

რაჟამს მწირველი უკანასკნელს ლოცვას იტყჳს, იესო ქრისტეს ორმოც დღეს მოციქულებთან ყოფნას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი ორმოცი დღე მოწაფეთათანა იქცეოდი და ასწავებდი სჯულიერთა საიდუმლოთა, ზეგედრები, მასწავე მეცა საიდუმლონი სარწმუნოებისა შენისა, რათა სისრულით დაჳცვა მცნებანი შენნი.

რაჟამს მწირველი კვალად ერისაკენ მობრუნდების, და იტყჳს «უფალი თქვენთანა» იესო ქრისტჱს ამაღლებას ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელი შემდგომ ორმოცი დღისა

წინაშე მოციქულთა ამაღლდი ზეცად, გვევედრები, მომმადლე რათა დაუტევო ქვეყნიერი სიამოვნება სიყვარულისა შენისათჳს და კეთილის განზრახჳთა ღირს ჳქმნე სასუფეველისა.

რაჟამს მწირველი ჯვარს გამოსახავს და აკურთხებს ერსა, სულწმიდის მოსვლას ჰნიშნავს, და ელოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე რომელმან მოავლინე ზეცით სული წმიდა შენი მოწაფეთა ზედა როდესაც ილოცჳდნენ, გვევედრები, განსწმიდენ გული ჩემი ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლის მწიკლოვანებისაგან და ღირს მყავ სადგურად სულისა წმიდისა შენისა.

რაჟამს მწირველი უკანასკნელს სახარებას წაიკითხავს, მოციქულთაგან ქადაგებას და მოციქულთა ნათლის-ცემისა ჰნიშნავს, და ეს ლოცვა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო იესო ქრისტე! რომელმან წარავლინე მოწაფენი შენნი ქადაგებად, რათა ეცნათ ყოველთა დაბადებულთა წმიდა ჰსწავლა შენი და ნათელი ეღოთ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, გევედრები,

რათა მიღებული ესე სარწმუნოება ნათლის ღებითა უბიწოდ დაჳცვა სიკვდილამდე დ ღირს ჳქმნე დიდებასა შენსა, მამით, დ სულით წმიდითურთ. ა მ ი ნ.

ლოცვა ჯზიფისა წმიდა ზიარების საიდუმლოს მიმართ სათქმელი.

ყოვლად საყვარელო უფალო ჩემო იესოვ, მრწამს ხარ რომ აწმყოდ იპოები შენ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოსა შინა, გესავ, დ მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, თაყვანსს ჰცემ, დ მოჳკითხავ სიმდაბლით ყოველთა მოყვარეს, დ ყოვლად

საყვარელს წმიდასა გულსა მაგსა შენსა, გმადლობ იგოდენთა კეთილთა მათთჳს, რომელნიც მოგანიჭებია ჩემთჳს, გჳსწუხვარ მეწყენისა შენისათჳს გა[illegible]ლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა, დ҃ გპირდები რათა ამიერით უფრო ჯრჩიო სიკუდილი ჯრემც შეწყუენა შენი მადლითა შენითა. მომეც მე წმიდა სიყუარული შენი, გამძლეობა უცოდველო ცხოვრებასა შინა, სისრულით შესრულება ნებისა შენისა, დ҃ დასასრულსაცა სიცოცხლისა ჩემისასა კეთილი სიკუდილი, მოანიჭე ცოდვილთა მოქცევა, ყოველთა ცოცხალთა უხჳ წყალობა, დ҃ მადლსა შინა შენსა მიც-

ვალებულთა საუკუნო განსვენებისა:

ლოცვა ჳზიცისა წმიდისა ღვთის მშობლისა მიმართ.

ჵ ყოვლად წმიდაო ქალწულო მარიამ, დედუფალო ცისა და ქვეყნისაო, შეამდგომელო, იმედო, და შესაჳედრებელო ცოდჳლთაო, მოჳლტჳ აწ შენდამი მე საწყალობელი ცოდჳლი ესე, და გევედრები სიმდაბლით რათა მიმიღო მე მონად შენდა, დამიცვა მარადის ქვეშე მფარველობისა შენისა, განმარინო ყოველთა განსაცდელთაგან სულისა თუ ჴორცისა, მომიპოვნო ღვთისაგან ჭეშმარიტი სიყვარული იესო ქრი-

სტესი, და მხურვალებს შენი, შე-
მეწიო მე მარადის და მეტადრე
ბოლოს წამსა მას სიკუდილისა
ჩემისასა, შენთჳს მომინდჳა დიდი
საქმე იგი საუკუნო ცხოვრებისა
ჩემისა, და შენ მიერ მოველი სიწ-
მიდით და ედრებასა სულისა ჩე-
მისასა ღმრთისადმი ჟამსა სიკვდი-
ლისა ჩემისასა.

წმიდა ზიარების გამოსვენების
და ვკურთხევჳს დროს სათქმელი
ლოცვა.

ყოვლად ტკბილო და ყოვლად
საყვარელო ჩემო იესოვ, წყარ-
ოო ყოველი ზეციერი კურთხევ-
საო, გევედრები მაკურთხე მე,

აკურთხე სახლეულნიცა ჩემნი, და იგინიცა, რომელთათჳსაც თანა-მდებ ვარ მე ლოცვად იმ კურთხევით, რომლითაცა აკურთხე შენ მოწაფენი შენნი ჟამსა დიდებული ამაღლებისა შენისასა ცათა შინა, იმ სახის კურთხევათა, რომელმანც მოგვაშოროს ჩვენ ამაო რაჲმეთაგან ამ ქუეყნისა, აღგვავსოს სიყვარულითა შენითა, და ღირსი გაგვხადოს მისაღებლად იმ კურთხევისაცა, რომელიც უნდა მისცე ბოლოს რჩეულთა შენთა, თქმითა: « მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისაგან. «

ა მ ი ნ.

საქმე სურვილით ზიარებისა სასა-

ჩვეულად პირთა მათ, რომელ-ნიც ჰყოფენ ხოლმე ამას საწ-მუნოებით, სიმდაბლით, სრული სინანულით და სიყვარულითა.

უფალო ჩემო იესო ქრისტე, მრწამს რომ აწმყოდ იპოები შენ წმიდა ზიარების საიდუმლოში, მიყვარხარ შენ და ვნატრობ მოს-ვლასა შენსა საწყალობელს სულ-სა შინა ჩემსა. მოვედ უფალო მო-ნანულსა და დამდაბლებულსა გულ-სა შინა ჩემსა.. და აწ ჳთარცა მო-სულისავე ჩემშიდ, მოგემთხვევჳ და გწირავ შენ ყოვლითურთ თავსა ჩემსა; გევედრები მომეც მე წმი-და სიყვარული შენი, განმძლეობა მთილოს ცხოვრებისა შინა, ნუგა-

რაოდეს ნუ წახვალ შენ ჩემგან,
ნურცადა მიმიშვებ მე ოდესმე
განყრად შენგან ცოდვითა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავალობასა შინა დღისა სათქმელნი ლოცვანი.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგჳწყალენ ჩვენ, უფალო გჳხსენ და გჳლხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო შეგჳნდევ უსჯულოებანი ჩვენნი. წმიდაო მოიხილენ და განჰკურნე უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის მცემელო სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველთავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო,

მოვედ ჩვენ შორის, და წმიდა-მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნე საზიერო სულნი ჩვენნი.

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულისა უქმობისასა, და მიმოწულილელობისასა, მთავრობის მოყვარებისა, და ცუდად მეტყველობისასა ნუ მიმცემმე.

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა, სიყვარულისა მომმადლე მონასა შენსა.

ჰე უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თჳსთა ცოდვათა, და არა განკითხვა ძმისა ჩე-

მისა რამეთუ კურთხეულ ხარ [illegible]
საუკუნოეთა უკუნისამდე. ამინ.

შენ გევედრებით ღვთის მშობელო ქალწულო შეურყეველსა მაგას ზღუდესა ცხოვრებისა ჩვენისასა, წინააღმდგომთა ზრახვანი განაქარვენ, და ერისა შენისა მწუხარება სიხარულად გარდასცვალე, და სოფელსა შენსა აღმოუწოდე მშვიდობისათჳს, სოფლისა ევედრე ღვთის მშობელო, რამეთუ შენ ხარ სასოება ჩვენი.

განსტრის შენ ყოველი თესლები ღვთის მშობელო ქალწულო, რამეთუ შენ შორის დაუტევნელმან ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან დატევნა ნებსით სათნო ინო-

ნა, და ნეტარ ვართ ჩვენცა რო-
მელთა მორჩილ შენ გჳჳ. და დღე
და ღამე გუფარავ ჩვენ, და კვერ-
თხსა მორწმუნეთა მეფეთასა გა-
ნამტკიცებ, ამისთჳსაც ანგელ-
ზისა ხმასა გიღაღადებთ: გიხა-
როდენ მიმადლებულო, უფალი
შენთანა

უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და
აღმატებით უზესთაესსა სერაფი-
მთასა, განუხრწნელად მშობელ-
სა სიტყვასა ღვთისასა, მხოლო-
დსა ღვთის მშობელსა გალობით
ვადიდებდეთ.

ღირს არს ჭეშმარიტად რათა
გადიდებდეთ შენ ღვთის სიტყვა-
სა, რომლისაგან სძრწის და ეში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის კერუჯმთა, და გადიდებენ შენ ძალნი ცათანი, რომელი აღსდგეს მესამესა დღესა საფლავით; ქრისტესა ცხოვრების მომცემელსა შიშით გადიდებთ.

სიტკბოებაო ანგელოზთაო მწუხარეთა სიხარულო; ქრისტიანეთა მეოხეო ქალწულო, და დედაო უფლისაო შემწე გვეყავ ჩვენ და გამომიხსენ საუკუნოეთა სატანჯველთაგან;

მარიამ წმიდათა უწმიდესო ოქროსა სასაკმელო რომელიცა დატევნელისა ერთისა სამებისაგანისა საუნჯედ, და მშობელად გამოსჩნდი, რამეთუ მამამან სათნო იყო, ხოლო ძე დაემკვდრა

ჵ ყოვლად წმიდა სულო-[illegible] ღებდა, რამეთუ გამოსჩნდი ქალწული ღვთის მშობლად.

ჯვარო მფარველო ყოვლის სოფლისაო.

ჯვარო მშვენიერო ეკლესიისაო.

ჯვარო სიმტკიცეო მეუფეთაო.

ჯვარო შემწეო მორწმუნეთაო.

ჯვარო დიდებაო ანგელოზთაო, შემმუსვრელო ეშმაკთაო.

მიწყალეენ ჩვენ უფალო, შეგჳწყალენ ჩვენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყჳს მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ მეუფისა სახიერისა, ცოდჳლნი ესე შევჰსწირავთ, მიწყალეენ ჩვენ

უფალო, შეგჳწყალენ ჩვენ.

უფალო შეგჳწყალენ ჩვენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განგჳრისხდები ჩვენ ფრიად, და ნუცა მოიჴსენებ უსჯულოებათა ჩვენთა, არამედ მოიხილე ჩვენზედა წყალობითა, ვითარცა სახიერ ხარ, და გჳხსნენ ჩვენ სამართლად რისხჳსაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, და ჩვენ ვართ ერნი შენნი, და ყოველნივე ქმნილნი ჴელთა შენთანი ვართ, სახელი შენი წოდებულ არს ჩვენ ზედა და შეგჳწყალენ ჩვენ.

მოწყალებისა კარი განგჳღე კურთხეულო ღვთის მშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ,

არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესაჳსა ქრისტიანეთასა.

წმიდანო დიდებულნო მოციქულნო, წინასწარ-მეტყველნო, მღვდელთ-მთავარნო, მოწამენო, და ნეტარნო მამანო, რომელთა ღვაწლი კეთილად მოიღვაწეთ, და სარწმუნოება დაიმარხეთ, კადნიერება გაქვსთ მაცხოვრისა წინაშე, მას ევედრენით სანატრელნო, ცხოვრებისათჳს სულთა ჩვენთასა.

ღმერთო მამათა ჩვენთაო, რომელი ჰყოფ მარადის ჩვენ ზედა კეთილსა სახიერებისა შენისასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ განმაშორებ წყალობასა შე-
ნსა ჩვენგან, არამედ მათითა მე-
ოხებითა, მშჳდობით განაგე ცხ-
ოვრება ჩვენი.

სოფლისა შემომქმედისა პირ-
ველად ნაყოფად, მსხნელო, შე-
ჰსწირავს შენდა სოფელი მხნეთა
მოწამეთა, და ბეჱედრებისა, მა-
თითა ოხითა, მშჳდობა მომად-
ლე ეკკლესიათა, და ერსა და ქა-
ლაქთა, და სოფელსა შენსა, და
იხსნენ ყოვლისაგან ჭირისა ვედ-
რებითა ღვთის მშობლისათა.

ყოვლისა სოფლისა წამებულ-
თა, მოწამეთა შენთა სისხლნი ჯ-
თარცა პორფირი და ბისონი ჰშ-
ოსიან ეკკლესიასა, და მათ მიერ

ზეჳედრებით ქრისტე ღმერთო მშჳდობა სოფელსა მოანიჭე და სულთა ჩუენთა დიდი წყალობა.

წმიდათა თანა განუსუენე ქრისტე სულთა მონათა შენთასა. სად იგი არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

რომელი ყოველსა დღესა, და ყოველსა ჟამსა მარადის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა თაყუანის იცემები, და იდიდები, ქრისტე ღმერთო ცხოველო, სულო გრძელო, და მრავალ მოწყალეო, რომელსა მართალნი გიყვარს, და ცოდვილთა ჰსწყალობ, რომელმან ყოველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გჳწოდე ცხოვრებად, ალთ მიი-მით ყოვლადთა კეთილთა შენთათა, შენ უფალო შეიწირე ლოცვა ჩვენი ჟამსა ამას, წარმართენ ცხოვრებაჲ ჩვენი მცნებათა შინა შენთა, სულნი ჩვენნი წმიდა ჰყვენ, ჴორცნი უბიწოდ, გონებანი განგჳწმიდენ, და გულის სიტყვანი განგჳმართლენ, და გჳხსენ ჩვენ ყოვლისაგან ჭირისა, ძჳრთა და სალმობათაგან, და შეგჳზღუდენ ჩვენ წმიდათა ანგელოზთა შენთა ჰიერ, რათა დაბანაკებითა მათითა, დაცულნი და ძღუანებულნი მივიწიენეთ ერთობასა სარწმუნოებისასა, და მეცნიერებასა უხილავისა დიდებისა შენისასა, რამე-

თუ კურთხეულ ხარ შენ; უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

## ლოცვა ყოვლად წმიდა სამებისა მიმართ.

ყოვლად წმიდაო სამებაო შენდა ქება, შენდა დიდება, შენდა მადლობა, და თაყვანის-ცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ. ალელუია.

საუკუნო მამაო, აჰა ესე რა მე საწყალობელი და უძლური გაჩენილი შენი, რომელი სრულიად არა რაჲსა შემძლე ვარ, ვსცნობ ყოვლითურთ შეუძლებლობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემსა, და დაუსრულებელსა შეძლებასა შენსა; შენდამი მოჳვლტჳ საჭიროებისა ამის ჩემისათჳს, შენ გესავ, შენ მოგანდობ თავსა ჩემსა, და გევედრები რათა შენ იზრუნო ჩემთჳს მუდამ. დიდება მამასა. და სხვა.

საუკუნო ძეო, აჰა ესე რა მე საწყალობელი და უმეცარი განჩენილი შენი, რომელი სრულიად უმეცარი ვარ, ვჰსცნობ ყოვლითურთ უმეცრობასა ჩემსა, და დაუსრულებელს სიბრძნესა შენსა; შენდამი მოჳლტჳ საჭიროებისა ამის ჩემისათჳს, შენ გესავ, შენ მოგანდობ თავსა ჩემსა, და გევედრები რათა შენ იზრუნო ჩემთჳს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ. დიდება მამასა. და სხვა.

საუკუნო სულითა წმიდათა, აჳ ესე რა მე საწყალობელი და უმძლო განწირული შენი, რომელ სრულიად არა რასა ღირსი ვარ, გსცნობ ყოვლითურთ უძლურობასა და ულირსობასა ჩემსა, და დაუსრულებელს საჴიერებასა შენსა; შენდამე მოჳლტი საჭიროებისა ამის ჩემისათჳს, შენ გევე, შენ მოგანდობ თავსა ჩემსა, და გევედრები რათა შენ იზრუნო ჩემთჳს მუდამ. დიდება მამასა. და სხვაც.

ყოველი სიწმიდე და სისრულე ქრისტიანი სულისა მდგომარეობს გულით შეყვარებასა შინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესოსი ქრისტესი ღვთისა ჩვე-
ნისა, რომელი არის დაუსრულე-
ბელი კეთილი და მაცხოვარი ჩვე-
ნი. ამისთჳს ყოველნი ჩვენნი
ზრუნვა და მეცადინეობა უნდა იყ-
ოს ამაზედ, რათა შევიძინოთ ჭე-
შმარიტი სიყვარული იესო ქრი-
სტესი. (ამბობს წმიდა ალფონ-
სო ლიგორი.)

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე
ეჩვენა ნეტარელს მარიამ მარგა-
ლიტა ალაქოკს და აუწყა მას
შემდეგნი დაპირებანი ყოველთა
მათთჳს, რომელნიცა იქმნებიან
მხურვალენი იესოს წმიდა გუ-
ლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მე მივანიჭებ მხურვალეთა წმიდა გულისა ჩემისათა ყოველთა მადლთა საჭიროთა მდგომარეობისა მათისათჳს.

ბ. მე შთავაგდებ მშჳდობასა მათს ოჯახში ⁊ სახლეულებში.

გ. მე ნუგეშინის-ვსცემ მათ ყოველს თაჳანთს შეწუხებაში.

დ. მე ვქმნები მათი უშიშარი შესახიზარი განმავალობაში მათი სიცოცხლისა ⁊ უფროსი ერთი მათი სიკვდილის ჟამსა.

ე. მე მოჳდებ უხვს კურთხევასა ყოველსა საქმესა ზედა მათსა.

ვ ცოდჳლნი ჰპოებენ ჩემს გულში წყაროსა ⁊ დაუსრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედს ოკეანესა მოწყალებისასა.

ზ. გრილი სულები შეიქმნები-
ან მხურვალენი.

ჱ. მხურვალე სულები მიეწევ-
ან დიდს ალსავალსა სისრულისა-
სა.

თ. მე ვაკურთხებ იმ სახლებ-
საც, რომლებშიაც ჩემი წმიდა
გულის ხატი იქმნების დასვენე-
ბული და პატივცემული.

ი. მე მივანიჭებ მღვდელთა
ტალანტსა, რათა სიტყვათა მათ-
თა დაარბილონ გულნი ფრიად
განფიცხებულნი.

ია. სახელნი პირთა მათ, რო-
მელნიცა მოჰფენენ მხურვალებას-
სა ამას, იქმნებიან აღწერილნი

 ეროვნული ბიბლიოთეკა
ჩემს გულშიდ აუხოცველად

## გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი .

პატიჳსათჳს ღვთიური გულის იესო-სი .

ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხე-დენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფე .

დიდება მამასა, და ძესა, და სუ-ლსა წმიდასა, ვითარცა პირველად იყო აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ა მ ი ნ :

ა. ყოვლად საყვარელო ჩემო იესოვ, განჳზრახავ რა ყოვლად კეთილსა გულსა შენსა, ზედა და ვხილავ რომ არის იგი ყოვლი-

თურთ მოწყალე და ტკბილი ცო-
დჳლთა მიმართ, მით ვგრძნობ
დის სიხარულსა და იმედსა,
რომ მაშა სადამე მეც კეთილად
მიღებული და შეწყნარებული ჳქ-
მნები შენგან. ვაჲ მე, რაოდნად
განგარიმოდ შემცოდებისა მე
შენთჳსა! არამედ აწ ჳთარცა პე-
ტრე და ჳთარცა მაგდალენელსა ვსწუ-
ხვარ, ვსტირი, და შეურაცხ ვჰყო-
ოფ ყოველთა ცოდვათა ჩემთა,
რადგან არიან იგინი შემაწყენელ-
ნი შენნი დაუსრულებელო კეთი-
ლო. გპირდები მტკიცედ რომ ამ-
იერით უმეტესად ჯრჩიო სიკვდი-
ლი ჯერემც კიდევ შეწყენა შენი.
ბავედრები, პატიჟისათჳს ყოვლისა.

კეთილი გულისა შენისა; მომანიჭე მე მოტევება ყოველთა ცოდვათა ჩემთა, და წმიდა მადლი შენი რათა ამიერიდგან ვჰსცხოვრებდე მე მხოლოდ შეყვარებისა შენისათჳს მარადის.

ჰსთქჳ ერთი მამაო ჩვენო და ხუთი დიდება მამასა პატივსათჳს ხუთთა დაკოდილებათა და პატივსათჳს ღვთიური გულისა იესოსი.

ტკბილო გულო იესოსო, მომეც მადლი შენი შეყვარებისა მარადის და ფრიად.

ბ. მაცხოვარო ჩემო იესოვ, ვადიდებ და ვაკურთხებ ყოვლად მდაბალსა გულსა შენსა და ფრიად გმადლობ რომ მოგიცია იგი ჩე-

მოჳს მაგალითად სიმდაბლისა და
ყოველი ღვაწლისა, რომლის
მიერ არა მხოლოდ დიდად მაგუ-
ლიანებ რათა შევუდგე მას, არა-
მედ შენი იგოდენ გზის ნაქმნარი
სიმდაბლის საქმებითაცა, როგ-
ორც თუ თითით მიჩვენებ, წრ-
ფელსა გზასა სიმდაბლისასა გა-
კეთებულსა და გასწორებულსა
შენგნითვე. ვაჲ მე, უგუნურსა და
უმადლოსა, რავდენ ჯერ გარდა-
ვხედ და მოვსცილდი მე ამ ჭეშმა-
რიტს გზასა შენსა! მომიტევე,
უფალო, ამიერით არდარ მნება-
ვს შედგომა ამპარტავნებისადმი,
არამედ მნებავს შემოგიდგე შენ
მარადის მდაბალი გულითა, სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლის საქმებითა, თაჳს უარის-ყოფითა, ჴორცის მოკვდინებითა, ნების გატეხითა, და ჩემი ბოროტი ვნებაების მოზნობითა, რათა ამიერით მივაწიო მე საქა-ოს გულის მშჳდობასა მყუდროებასა და საიქაოს საუკუნო ცხოვრებასა. განმაძლიერე უფალო და შემეწიე რათა შევასრულო კეთილად პირობა ესე ჩემი პატიჳსათჳს საუკუნოდ კურთხეული გულისა შენისა.

ჰსთქუ ერთი მამაო ჩვენო და 5. დიდება მამასა, ტკბილო გულო და სხვაჲ.

გ. სახიერო უფალო ჩემო იესოვ, განკჳრვებულვარ ყოვლად

მომთმენსა გულსა შენსა ჴედავ,
და გმადლობ იგოდენი შენის უძ-
ლეველი მოთმინების საკჳრველი
მაგალითების მოცემისათჳს ჩვე-
ნდა. ვაჲ მე, ესრედ რიგის გა-
რეთს მოუთმენელსა, რომელსა
ისივე ერთი მცირედი მხილება
ანუ ყვედრება, ერთი მსუბუქი
ჭირი ანუ შეწუხება მამიზეზებს
ოლმე მოუთმენლობასა. გევე-
დრები უფალო ჩემო, მომეც წმ-
იდა მადლი შენი, რათა ამიერით
სიყვარულით ჳტჳრთო ჯვარი
ჩემი, სულგრძელობით მოჳთმი-
ნო ჭირნი და შეწუხებანი, გულს
მოდგინედ შევუდგე ჴორცის მო-
კვდინებასა და საკანუნოების კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევასა, და ამითი შემოგიდგე შენ გოლგოთადმდე, რომლით შეჰქმნა ბოლოს ღირსი მოსვლისა შენთან საუკუნო დიდებასა და სიხარულსა შინა სასუფეველისასა.

ჰსთქუ ერთი მამაო ჩვენო და 5 დიდება მამასა. ტკბილო გულო, და სხვაჲ.

დ. საყვარელო ჩემო იესოვ; წინაშე ყოვლად მშჳდი გულისა შენისა ფრიად მრცხვენის, ვხედავ რა ესოდენად განრჩეულსა გულსა ჩემსა გულისა შენისაგან. ვაჲ მე, რომ იმავე ერთს წინამდღეგობის ჩრდილზედ, ერთს მწარე სიტყვაზედ, და ერთს მცირე ზიანზედ ხშირად აღვშფოთდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვრისხდები ⁊ დავჰწყობ ხოლმე ჩიჯლსა. გეჳედრები უფალო; მომიტევე უსანგარიშო ნაკლებულოვანნი ესე ჩემნი ⁊ მომეც წმიდა მადლი შენი, რათა ამიერიდგან ყოველს წინამდლდეგს შემთხვევაში შევჰუდგე ხოლმე განუსხვავებელს სიმშჳდესა შენსა რათა ამითი დავჰმშვენო მუდამ სანატრელი მშჳდობა იგი გულისა.

ჰსთქჳ ერთი მამაო ჩვენო და 5. დიდება მამასა. ტკბილო გულო; და სხვაჲ.

ქ. ყოვლად კურთხეულო ⁊ საყვარელო ჩემო იესოვ, უგალობდეს ყოველი სოფელი ყოვლად სახიერსა ⁊ ყოვლად მხნესა გუ-

ლსა შენსა, მძლეველსა სოფ-
ლისა და ჯოჯოხეთისასა, რომ-
ლისათჳს ღირსია იგი ყოველ ნა-
ირი ქებისა და დიდებისა. ვაჲ მე,
ამ ადგილს უფრო მეტად მრც-
ხვენის, მით რამეთუ ვხედავ გუ-
ლსა ჩემსა ეგოდენად სუსტსა, ჳ-
დრეღა ეშინის მას ღვთის სამსა-
ხურის დროს ყოველ ნაირი კრ-
იტიკისა და გაცინჳსაგან უღმრ-
თოთა პირთა, და თჳსი სარწმუნ-
ოების და კეთილი ზნეობის თა-
ნამდებობის აღსრულების დრო-
საცა მოხედვულობისაგან კაცთა,
გარნა აწ მტკიცედ გპირდები
რომ ამიერიდგან არღარაოდეს
მოჳქცე ესრედ. ამისთჳს გევედ-

რები უფალო, მომანიჭე ძალი და მხნეობა, რათა ვეოცხო და ვსძლიო საცთოსა ყოველსა მას, რაჲცა არის წინამღდეგი და დამმძლელი ცხონებისა ჩემისა და საიქაოს ჯსართ შენთან სასუფეველში გამარჯვებულმან მადლითა შენითა.

ესთქვ ერთი მამაო ჩვენო და 5. დიდება მამასა. ტკბილო გულო, და სხვანი.

ქალწული მარიამისა მიმართ.

ყოვლადწმიდაო ქალწულო მარიამ დედაო ღმრთისაო, და დედაო ჩემო, გევედრები, პატივისათჳს უპირატესთა ღირსებათა ყოვლად ტკბილი გულისა შენისათა მო-

მიშოვნე მე ღვთისაგან ჭეშმარი-ტი და მტკიცე მხურვალობა უწმიდესი გულისა მიმართ იესოსი ძისა შენისა, რათა შევსწირო მას ყოველნი განზრახვანი და ნატვრანი ჩემნი კეთილად შესრულებით ყოველთა თანამდებობათა ჩემთა და გულს მოდგინებით ვემსახურო იესოს მარადის, და მეტადრე დღევანდელსა დღესა ამას.

ა. სიყვარულითა ჩვენითა აღტყინებულო გულო იესოსაო,

მ. სიყვარულითა შენითა აღაგზენ გულნი ჩვენნი.

ვილოცოთ.

ვევედრებით, უფალო, სულმან

წმიდამან აღანთოს გულნი ჩვენ-
ნი სიყვარულის ცეცხლითა მით;
რომელიცა უფალმან ჩვენმან იე-
სო ქრისტემ აღტყინებული გუ-
ლისა თჳსისაგან მოჰფინა ქვეყა-
ნასა ზედა და ინება რათა აღგზ-
ნებულ იყო იგი ფრიად. რომე-
ლი ცხოველ არს და სუფევს შე-
ნთანა ერთობით იმავე სული წმ-
იდისა თანა უკუნითი უკუნისამდე.
ა მ ი ნ.

ლიტანია იესოს წმიდა გულისა;

კირიე, ელეისონ.
ქრისტე, ელეისონ.
ქრისტევ, ისმინე ჩვენი.
ქრისტევ, შეისმინე ჩვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაო ზეცათაო ღმერთო, მო-
გჳწყალენ ჩუენ.

ძეო მაცხოვარო სოფლისაო
ღმერთო,

სულო წმიდაო ღმერთო,

წმიდაო სამებაო ერთო ღმე-
რთო,

გულო იესოსო არსებითად
შეერთებულო ღვთიური სი-
ტყჳსა თანა.

გულო იესოსო სავანეო
ღვთაებისაო.

გულო იესოსო ტაძარო
წმიდის სამებისაო.

გულო იესოსო უფსკრუ-
ლო სიბრძნისაო.

გულო იესოსო ოკიანეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახიერებისაო.
გულო იესოსაო ტახტო
მოწყალებისაო.
გულო იესოსაო საუნჯეო
დაუსრულებელო.
გულო იესოსაო, რომლისა-
გან მოგვეფინების ჩვენ სიუ-
ხვე ყოვლის კეთილისა.
გულო იესოსაო დაზავებაო
და მშვიდობაო ჩვენო.
გულო იესოსაო მაგალითო
ყოველთა სათნოებათაო.
გულო იესოსაო განუზომე-
ლად მოყვარულო და დაუს-
რულებელად საყვარელო.
გულო იესოსაო წყაროვ
წყლისა ცხოვრებისაო.

შეგვიწყალენ ჩვენ.

გულო იესოსა, რომელში-
ცა სათნოეყავნ საუკუნო მა-
მასა.
გულო იესოსა მლხინებე-
ლო ცოდჳლთაო.
გულო იესოსა ვნებულო
მწარედ ჩვენთჳსა.
გულო იესოსა სიკვდილა-
დმდე შეწუხებულო მტი-
ლის შინა.
გულო იესოსა საკჳრველ-
ად მომთმინევ შეურაცხ ყო-
ფათა და ყვედრებათა.
გულო იესოსა ჩვენის სი-
ყვარულისათჳს დაწყლუ-
ლჳლო
გულო იესოსა დაცლილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლისაგან ჯვარსა ზედა
გულო იესოსო ცოდვათა
ჩვენთაგან შეწუხებულო.
გულო იესოსო ყოვლად
წმიდა საიდუმლოში ბორო-
ტთა პირთაგან შეურაცხ
ყოფილო.
გულო იესოსო ცოდვილთა
შესავედრებელო.
გულო იესოსო უძლურთა
ძლიერებაო.
გულო იესოსო შეჭირვე-
ბულთა გულთა ნუგეშის
ცემაო.
გულო იესოსო სიმტკიცეო
მართალთაო.
გულო იესოსო ცხოვრებაჲ

შეგვიწყალენ ჩვენ.

მოსავთა შენთაო.
ეროვნული ბიბლიოთეკა
გულო იესოსო იმედო სუ-
ლაშამავალთაო.
გულო იესოსო ტკბილო
მოვარველო თაყვანის მცე-
მელთა შენთაო.
გულო იესოსო განცხრო-
მავ ყოველთა წმიდანთაო.
გულო იესოსო შემწეო
ჟამსა შეწუხებისა ჩვენისასა.
კრავო ღვთისაო, რომელმან
აღიხვენ ცოდვანი სოფლისა-
ნი მომიტევენ ჩვენ.
კრავო ღვთისაო, რომელმან
აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი
შეისმინე ჩვენი.
კრავო ღვთისაო, რომელმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი
შეგვიწყალენ ჩვენ.
მ. ქრისტე ისმინე ჩვენი.
ქ. ქრისტე შეისმინე ჩვენი.

### ვილოცოთ.

ყოვლის მპყრობელო და საუკუნო ღმერთო, მოხედენ გულსა ყოვლად საყვარლისა ძისა შენისასა და ამასთანავე პატივს ცემათა, კმაყოფილებათა და გარდასახადთა მათ, რომელთაცა გწირავს იგი შენ ჩვენ ყოველთა ცოდვილთათჳს, და მ[illegible]ელბელთა შენთა დაჰკუტები და მოგვანიჭე მოტევება ცოდვათა ჩვენთა, სა-

ხელითა მისივე იესოჳს ქრისტე-სი ძისა შენისათა, რომელი სუ-ფევს შენთანა და სულისა წმიდი-სათანა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მხურვალებაჲ მწუხარე გულისა მიმართ ღვთის მშობელი ქალწუ-ლი მარიამისა.

ღმერთო შეწევნასა ჩემსა მო-ხედენ.

უფალო შეწევნად ჩემდა ისწ-რაფე.

დიდება მამასა, და ძესა, და სუ-ლსა წმიდასა, და სხვაჲ.

ა. ჵი მწუხარე ქალწულო მა-

ამ, თანა მწუხარე ვარ შენთან
მ დიდი მწუხარებისათჳს, რო-
მელიცა იტჳრთა ყოვლად წმი-
დამან გულმან შენმან, რაჟამს
ამოგეცხადა შენ წინასწარ-მე-
ტყველობისა მიერ მოხუცებული
სიმეონისა მწარე სატანჯველი და
სიკვდილი საყვარელი ძისა შენი-
სა. საყვარელო დედაო, გევედ-
რები, პატიჳსათჳს ივრისად შეწუ-
ხებული გულისა შენისა მომი-
მოვნე მე ღვთისაგან სათნოება
სიმდაბლისა და ნიჭი ღვთის ში-
შისა.

აქ ჰსთქუ ერთი გიხაროდენი.

ზ. ჭი მწუხარე ქალწულო მა-
ლოცვ. წალგ· 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიამ, თანა მწუხარე ვარ შენთა
იმ დიდი მწუხარებისათჳს, რო
მელიცა იგრძნო ყოვლად წმიდ
მან გულმან შენმან, ჟამსა განლ
ტოლჳსა და ყოვნისა თქვენი
ეგჳპტეშიდ. საყვარელო დედა
ჵ შევედრები პატიჳსათჳს ყოვლა
მეწუხებული გულისა შენისა
მომიშოვნე მე ღვთისაგან სათ
ნოება უხვობისა უფროსი ქრთ
გლახაკთა მიმართ, და ნიჭი ღვ
თის მსახურებისა.

გიხაროდენ და სხვაცა.

ბ. ჵო მწუხარე ქალწულო მა
რიამ, თანა მწუხარე ვარ შენთა
იმ დიდი მწუხარებისათჳს, რო
მელიცა იგრძნო ყოვლად წმიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გულმან შენმა, რაჟამს დაკა-რგულად ჰგონებდი ყოვლად საყვარელსა ძესა შენსა იესოსა. საყვარელო დედაო, გევედრები პატიჳსათჳს ყოვლად შეწუხებული გულისა შენისა, მომიპოვნე მე ღვთისაგან სათნოება ჴორცის სიწმიდისა და ნიჭი მეცნიერებისა, გიხაროდენ და სხვაც.

დ. ჵი მწუხარე ქალწულო მარიამ, თანა მწუხარე ვარ შენთან იმ გამოუთქმელი მწუხარებისათჳს, რომელიცა იგრძნო დედობრივმან გულმან შენმან, რაჟამს შეემთხჳე იესოსა აღტჳრთულსა მძიმე ძელის ჯვარითა და აღმავალსა გოლგოთად. საყვარელო

დედაო, გევედრები, [illegible] თჳს ყოვლად შეწუხებული გულისა შენისა, მომიშოვნე მე ღვთისაგან სათნოება მოთმინებისა და ნიჭი მხნეობისა.

გიხაროდენ და სხვაჲ.

ე. ჰოი მწუხარე ქალწულო მარიამ, თანა მწუხარე ვარ შენთან იმ მწარე წამებულობისათჳს, რომელიცა იტჳრთა სახიერმან გულმან შენმან, რაჟამს ჰხედევდი იესოს სულ ამამავალს ჯუარსა ზედა. გევედრები, საყუარელო დედაო, პატიჳსათჳს ეგრედ მწარე წამებულობაში მყოფი გულისა შენისა, მომიშოვნე მე ღვთისაგან სათნოება ზომიე-

რობისა და ნიჭი რჩევისა წურთო-
ნისა.

გიხაროდენ და სხვაცა.

ვ. ჵი ყოვლად მწუხარე ქალ-
წული მარიამ, თანა მწუხარე
ვარ შენთან იმ განუზომელი მწ-
უხარებისათჳს, რომელიცა იგრ-
ძნო ყოვლად ფაფუკმან გულმან
შენმან, რაჟამს უგმირეს შუბით
გვერდსა იესოსასა და დაიკოდა
ყოვლად საყვარელი გული მისი.
საყვარელო დედაო, გევედრები
ჱატიჳსათჳს ეგრედ მწარე შეწუ-
ხებული გულისა შენისა, მომი-
პოვნე მე ღვთისაგან სათნოება
მოყჳსის სიყვარულისა, და ნიჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ-ხმიერებისა.

გიხაროდენი და სხვაჲ.

ზ. ჰო ყოვლად კურთხეულო ქალწულო მარიამ, თანა მწუხა-რე ვარ შენთან იმ გამოუთქმელი მწუხარებისათჳს, რომელიცა იტჳრთა ყოვლად საყვარელმან გულმან შენმან, ჟამსა დასაფლა-ვებისა იესოსი, საყვარელო დე-დაო, პატივსათჳს ეგრედ ფრიად მგლოვარე გულისა შენისა, მო-მიმოვნე მე ღვთისაგან მადლი გულს მოდგინებით შრომისა ცხონებისა ჩემისათჳს და სხვათა და ამასთანავე ნიჭი სიბრძნისა.

გიხაროდენი და სხვაჲ.

ა. ევედრე ჩვენთჳს, ფრიად

## მწუხარე ქალწულო!

მ. რათა ღირსი ჳქმნათ აღთქმათა ქრისტესათა.

### ვ ი ლ ო ც ო თ.

გევედრებით; უფალო ჩვენო იესო ქრისტე; მეოხე იყავნ ჩვენთჳს სახიერებისა შენისადმი აწ და ჟამსა სიკვდილისა ჩვენისასა ნეტარელი დედა შენი ქალწული მარიამი, რომლის ყოვლად წმიდა სულსა შინა განვლო მწუხარების მახჳლმან ჟამსა ვნებისა შენისასა, რომელი ცხოველ ხარ და სუფევ უკუნითი უკუნისამდე. ამინ:

# ჯვარის გზა.

## ტრაპეზის წინ სთქვი.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა ამინ.

ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ. უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფე. დიდება მამასა და სხვა, ვითარცა პირველად იყო და სხვა. ქება შენდა უფალო, მეუფეო საუკუნო დიდებისაო.

სათქმელი გალობა « დგა ჯვართანის » ხმაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯვარის გზა.

მოდით ერნო წავჰყვეთ იესოს
ჩვენთჳს ჯვარით აღტჳრთულსა
და გოლგოთას მიმავალსა.
გული მეწვის მაცხოვარო!
რომ გხედამ შენ განმზადებულს
სასიკუდილოდ ცოდვილთათვის.
არ იკმარე ჩემთჳს იესოვ,
ბაღში სისხლის ოფლის დენა,
და სულ-ამამავალობა!
მხედართაგან ჴელთა შეკვრა,
უსამართლოდ კიცხვა ნერწყვა,
და ყურიმალსა შემოკვრა!
ყოვლად მწარე შოლტით ცემა,
მკლებით დაგვირგვინება,
და ახლაც გნებავს ჯვარს ეცვა!
მაშ მოგჰყვები სისხლოვან გვალს
შენსას მონანული დიდად,

და შეგიყვარებ შენ ფრიად.

ამ პირველსა ადგილსა ქრისტე განსამართლდების სასიკვდილოდ.

თაყვანისა-გცემ შენ ქრისტევ და გაკურთხევთ შენ, რამეთუ წმიდისა ჯვარისა მიერ შენისა დაიხსენ ქვეყანა.

უფალო ჩემო იესო ქრისტეო, რომელი სრულიად უბრალო და მართალი იყავ, გარნა ჩვენ ბრალიერთათვის დაისაჯე სასიკვდილოდ; რადგან სიმრავლემ ჩვენის უსჯულოებისამან გარდასჭრა სიჯილი შენი სიკვდილისა, ვაჲ მე ორგულსა და უსვინიდისოდ გამსასამართლებელსა

ძმათა ჩემთა. შევედრები ესავლეო მიხსენ მე საუკუნოს სიკვდილისა-გან; რომლისაცა ღირსი ვარ ამინ. მამაო ჩვენო. გიხაროდენ ქ დი-დება მამასა სთქვი.
მიწყალეენ ჩვენ უფალო, მიწყა-ლეენ ჩვენ. მორწმუნეთა მიცვა-ლებულთა მოწყალებითა ღვთისა-თა განისვენონ მშჳდობით ამინ.

მე ჯუაჯ; რომელმანცა
ჩემის ცოდვით გარდგიწყვიტე
განაჩენი სიკვდილისა!

უცოდველო. ტკბილო იესოვ!
შევედრები მონანული,
მომიტევენ ბრალნი ჩემნი!

ამ მეორე ადგილსა, ქრისტეს

მისცემენ მხართა ძელის ჯვარისა.
თაყვანისა-გცემ და სხვა.

მაცხოვარო ჩემო იესოვ! დიად გულს მოდგინედ მიიღე მკარზედ ეგ მძიმე ჯვარი ძელისა შემზადებული ჩემის ცოდვებითა. ვაჲ მე უბედურსა, გრილს და უმადლოსა! ბევრები მომე-მე მადლი რათა ნებიერად ჯტჯ-რთო შენგან მოვლენილი ყოველი ჯვარი ჩემი. განმელოს გონება, რათა ვსცნა სიმძიმე ჩემის ცოდვებისა და შეჯნანო იგინი ჯდრემდისნ ცოცხალ-ვარ: ამინ.

მამაო ჩვე: გიხარო. და დიდება. შეწყალენ ჩვენ. მორწმ. და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ იესოვ, ის ცოდვილი,
რომელმანცა მძიმე ჯვარი
დასდევი შენ მხართა ზედა.
ვესწუხ-ვარ ფრიად ჩემს ცოდ-
ვებზედ,
რომლებითაც გამიზეზე
საშინელი ვნება ეგე.

აჰ მესამესა ადგილსა ქრისტე
პირველად დაეცა გზასა ზედა.
თაყვანისა-გცემ შენ.

მაცხოვარო ჩემო იესოვ! არა
ეგრედ ძელის ჯვარის სიმძიმის
გამო; როგორც ჩემის ცოდვე-
ბის სიმრავლით აღმძიმებულმა
დაეცი პირველად გზაზედა! ვაჰ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დაყინებულს ცოდჳლსა! ამი-
ერიდგან მოჳძულებ სრულიად და
მოვშორდები ჩემს ცოდვებსა,
ჰევედრები მომიტევე და მომე
მე მადლი მყათე განწმედილის ი
სამარიტელი კეთროვანისა, რომ
კეთილ მოქმედებით გმსახურო
შენ სიკვდილამდინ, ამინ.

მამაო ჩვენ, გიხარო, და დიდება
მიწყალენ ჩვენ უფალო, მიწყა-
ლენ ჩვენ. მორწმ. და სხვაც.

სიმძიმეთა ბრალთა ჩემთა
მაგივერ გტანჯეს, და უწყალოდ
დაგცეს ჯვარ ქვეშ მიწაზედა.
მნებავს იესო, ჯტჯროთო მეც
ჯვარი ჩემის ცოდვებისა
ნებიერად და მადლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მეოთხე ადგილსა, შემოეგე-
ბება ყოვლად წმიდა მარიამი იე-
სოსა. თაყვანის-გცემ,

ყოვლად წმიდაჲ დედაო! რა
ნაზე მაცხოვარი ჩემი ეგრედ ვნე-
ბული ჩემის ყოვლად ბოროტის
ცოდვებითა, შთაიღუშე მწუხარე-
ბის უფსკრულსა! მე თჳთან ვყო-
ფილვარ ვაჲ მე! მიზეზი თქვენ-
ის ვნებისა დღევანდლამდისინ!
გევედრები მე განმათვრთხილე ა-
მას იქით ცოდჳსაგან, მოქცეული
მეძავსაჲთ, მადლებითა მხოლოდ
შობილის შენის ძისა რომ სი-
კვდილამდინ დავშთე ღვთის მსა-
ხურებით თქვენს სიყვარულსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა: ა მ ი ნ.

მამაო ჩვე. გიხარ. ჲ დიდება. მიწყალენ ჩვენ უფალო. მიწყალენ ჩვენ, მორწმუნე.

რა დიდი სიმწარე იგრძნეს
იესომან ჲ მარიამმან
შეემთხჳვნენ რა ურთი ერთს.

მწუხარეო ტკბილო დედავ!
მომეც მადლი ტირილისა
ვნებისათჳს მაცხოვრისა.

ამ მეხუთეს ადგილსა სიმო[ნ] კჳრინელი ჰშველის იესოს ჯვარის ზიდვასა. თაყვანისცემ[ა]

მაცხოვარო ჩემო იესოვ! ნეტარ ამ სიმონ კჳრინელსა, რო აღიკიდა ჯვარი შენი! დიად მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტარელი ვქმნებოდი, თუ რომლისა-
თავს მედვა ამ წუთს ყოველი ჭი-
რი ჩემი და შეწუხება. მაგრამ ვაჲ
მე ურჩსა, გლისპსა და გამდეგა-
რსა! რამდენ-ჯერ ჩემის სულ-
მოკლებითა ბოროტ მდიდარსა-
ჳთ მიდრეკია პირი შენის ჯვრ-
ისაგან: ამისთჳს გევედრები უ-
ფალო ჩემო იესოვ! მომანიჭე
მადლი, რომ მოჳთმინო ყოვე-
ლი ჭირნი ჩემნი მუდამ ნებიერად
შენს სადიდებლად: ამინ.
მამაო ჩვე. გიხარ. და დიდება.
მიწყალენ ჩვენ უფალო. მიწყა-
ლენ ჩვენ, მორწმ. და სხვაც.
ნეტარ სიმონ კჳრინელსა,
რომ ღირს იქმნა ტჳრთვად ჯვრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისა

მიიღო მით მადლი ღვთისა.

გთხოვ მეცა წყალობისა
უდრტჳნველად ტჳრთვად ჯვრისას და ცოდვისგან მოქცევისა

ამ მექვსესა ადგილსა ვერონიკა ოფლსა და სისხლს მოსწმენდ იესოს პირთაგან. თაყვანსა-გცემ

გაცთ მოყვარეო მაცხოვარო ჩემო იესოვ! რომელმან ინებე შენის სახის გარდახატვა ვეროწნიკას ველსახოცზედა, რომლითაც მოგწმინდა სისხლი და ოფლი, ვაჲ მე თავმხედს ქვეყნის მოყვარულსა! რავდენჯერ ჩემის უგუნურობით შთამიხატავს ჩემ

გულში წუთი აძაოება, სიამო-ვნე და ყოველი სიბოროტე! გე-ვდრები აღმოკოცე ჩემის გულ-ითგან იგინი და აღბეჭდე მწარე ვნებანი შენნი, რომ მუდამ ვი-ზრახო იგინი: ამინ.

მამო ჩვე. გიხარ. და დიდება.

მიწყალეენ ჩვენ უფალო, მიწყა-ლეენ ჩვენ, მორწმ და სხვაც.

ვერონიკა მოჰხოცს ოფლსა,
და იესოც მყის გარდომხატავს
მანდილზედ თჳს პირის სახეს.

გთხოვ უფალო, რომ აღბეჭდო
ჩემს გულშიდაც ვნება შენი,
და მასთან ყოველი ღვაწლი.

ამ მეშვიდესა ადგილსა იესო

მეორედ დაეცა გზასა ზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაყვანსა-ცემა.

მაცხოვარო ჩემო იესოვ! მე-
რედ დაგიმძიმეს ჯვარი ჩემ
ცოდვათა, რომ მეორედ დაე
გზაზედა! ვაჲ მე ანგაარსა და უ
ყალოსა! რამდენჯერ ჩემის უს
მართლობითა შენის ბრძანებ
წინაღმდეგ დამიჩაგრია ქვრივ
ობოლი და გლახაკნი, შემეწიე მ
გევედრები, როგორც მეზვერეს
რომ აღარ შთავარდე ჴელახლავ ა
საშინელს ცოდვებში: არამედ
გულუხჳ მოწყალების მიცემით,
სიმართლით და ღვთის მსახურები-
თა აღვჴოცო ბრალნი ჩემნი: ამინ.

მამაო ჩვე. გიხა. ჲ დიდება.
წყალენ ჩვენ უფალო, მიწყა-
ლენ ჩვენ. მორწმ.

ქცების ბუნების ნიშნად
აქეცი მეორედ მიწად
ვენ ცოდვილთა აღდგინებად.
აღგვადგინე ცოდვათაგან
ვლავ დაგჳცევ საცდურთაგან
ჲ ცოდვაში შთავარდნისგან.

ამ მეერვესა ადგილსა იესო ა-
ნუგეშებს იერუსალიმელ დედათა.

თაყვანის-ცემ.

მაცხოვარო ჩემო იესოვ! რო-
მელმან ანუგეშე იერუსალიმელნი
მოტირალე კეთილ-მს ახურნი
დედანი, ვაჲ მე ფარსეველს ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულსა! რამდენჯერ პირად აღ-მითქვა მსახურება შენი და საქმით კი ძლიერ შორს დავშთენილვარ კეთილ-მოქმედებისაგან, ბევედ-რები ნუგეშ-ეც ჩემს სულსაცა ღვთის შიშით, ღვთის მსახურე-ბით და სულიერის სიხარულითა, რომ მტკიცედ დაჳცვა მარადის ბრძანებანი შენნი: ამინ:

მამაო ჩვე. გიხა და დიდება.
მიწყალენ ჩვენ უფალო; მიწყა-ლენ, მოწრმუნე.

სწურთნი მტირალთა დედათა რათა სტირონენ ცოდვათა მისაღებლად შენდობისა.

მომეც მადლი ტირილისა ცოდვათა ჩემთა გლოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესოვ მლხინებელო ბრალთა!

ამ მეეცხრესა ადგილსა იესო ჯვარ ქვეშ მესამედ დაეცა.

თაყვანის-ცემა.

მაცხოვარო ჩემო იესო! კვალად ძელის ჯვარ ქვეშ მგრედ შესჭირდი, რომ მესამედ პირქვე დაეცი მიწაზედა. ვაჲ მე გლისპს მოუქცეველს ცოდვილსა, რომელიც დღიდგან დღეზედ უმფრო ვაბორკილებ ჩემს სულსა სხვა და სხვა სამინელის ცოდვებითა და გიმეორებ შენ ვნებასა. გევედრები მომეც მე მადლი სამარიტელი დედაკაცისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ შეგცოდო შენ, ტ̃ე უფალო ამას იქით სიკვდილი უფრო მნებავს, ჯრემცდა შენი შეცოდება. მამაო ჩვე. გიხა. დ̃ დიდება. მიწყალენ ჩვენ უფალო, მიწყალენ, მორწმუნე.

მესამედ დაეცი აქა
ცოდნით მრავალთ წარწყმენდისა
თაჯანთის ცოდვებითა.

ნუ მიმიშვებ უფალო, რომ
მათგანი ერთიც მე ჯყო,
არ განვლოს მაგ ვნებამ უქმად.

ამ მეათესა ადგილსა განაშიშვლებენ იესოს დ̃ ასმევენ ნაღველასა. თაყვასა-გცემ.

მაცხოვარო ჩემო იესოვ! აგერ განვაშიშვლეს მოსისხლე მტარვალთა და განგიმხამეს გული მწარე ნაღველითა. ვაჲ მე დაბრმავებულს ცოდვილსა! რამდენჯერ ჩემის ნაყროვანებით და სიმთვრალითა განმიმწარებია სახიერება შენი. გევედრები აღმძარცვე მე ძაძა უძლებობისა და შემმოსე მე მირჩეული სამოსი მადლისა, რომ შეურაცხ-ვჰყო სიამოვნენი და მოვშორდე ყოველს ჩემის ცოდჳს მიზეზთა: ამინ.

მამაო-ჩვე, გიხარ და დიდება.
მიწყალეენ ჩვენ უფალო მიწყალეენ ჩვენ. მორწმუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგაშიშვლეს სამოსთაგან
განგიახლეს მწარედ წყლულნი
და გასვეს ძმარი ნაღველი.
მომეც მადლი სიწმიდისა
და ჴორცის მოკვდინებისა
თაჳსაც უარ ყოფვისა.

ამ მეათერთმეტესა ადგილსა მოლაშკრენი ჯვარს აცმენ იესოს თაყვანისა-გცემ.

მაცხოვარო ჩემო იესოვ! მწარე ტკიჳლი იგი, რომელიც იგრძენ ჯვარცმის ჟამს მწვეტიანის ლურსმნებისაგან, სრულ ჩემი უწმიდური გულის-თქმანი და სიამოჳნენი იყვნენ მიზეზი. ვაჲ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუნანელს თავ-მოყვარულისა-
გევედრები მომეც მე მადლი სუ-
ლი წმიდისა, რომ ჯვარს ვაცვა-
კორცი ჩემი მოკვდინებითა სა-
გრძნობლებისა და მოჯმზნო ყო-
ველი ბოროტი ყოფვა ქცევა-
ჩემი: ამინ.

მამაო ჩვე. გიხარ. და დიდება.

მიწყალენ ჩვენ უფალო, მიწყა-
ლენ ჩვენ. მოწყალებითა.

დაგმსჭვალეს ჯვარზედ უწ-
ყალოდ
დაგილუსმნეს ჴელნი ფერხნი
მით უხვად იღვრება სისხლი.
მზად ვარ შენთჳს მეც ჯვარს
ვაცვა
კორცი ჩემი მოკვდინებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საგრძნობელნი დათმენით.

ამ მეათორმეტესა ადგილსა, ჯვარცმული იესო მოკვდების ჯვარსა ზედა. თაყვანის-გცემ.

მაცხოვარო ჩემო იესოვ, რომელი ჯვარზედ აღმაღლებული სამ საათს სულ-ამომავლობაში გამოუთქმელის სიმწარით იტანჯებოდი ჯვარსა ზედა და შემდგომ დაავედრე სული შენი მამა ზეციერსა. ვაჲ მე სულ მოკლე უსიბრძნოსა რომ არა მქონია გამძლეობა კეთილს საქმეში! გევედრები, მომეც მე მადლი მოწაფეთა, სიმტკიცე წამებულთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწლი რჩეულთა შენთა, რომ-
მარადის ვიცოცხლო შენს წმიდა
სიყვარულსა და მსახურებასა ში-
ნა: ამინ.

მამაო ჩვე. გიხარ. და დიდება.

მიწყალეენ ჩვენ უფალო, მიწყა-
ლეენ ჩვენ. მორწმუნე.

აღვმართეს რა ჯვარსა
ზედა,
დაბნელდა მყის მზე და მთვარე;
ვაჲ მე ვჰხედავ, აზრი სულსა.
მიმიზიდე მეც შენთანა
ჯვარცა ავაზაკი და
მონანული ასის თაჲ.

ამ მეათსამეტე ადგილსა, გა-
რდმოხსნიან ჯვარითგან იესოს

სამღთო გვამსა.

თაყვანსა-ცემ.

დედაო მწუხარეო! რა ჯვარით-
გან გარდმოხსნილი სხეული მხო-
ლოდ შობილი შენის ძისა, გარ-
დისვენე შენს წიაღთა შინა, არა
თუ მარტო წმიდა მამანი და დე-
დანი; მაგრამ ანგელოზნიცა აღ-
მოჩნდნენ შენთანა მგლოვარედ!
ვაჲ მე გულ ქვას გარეგანსა! მხო-
ლოდი მე კი ვსიამოვნებ და ვხარ-
ობ ცოდჳანი სიცოცხლის გატა-
რებით ურიებსაჳთ თქვენს ვნება-
ზედა. ჩავედრები მომიშოვე მე
შენის შჳდი ლახვრისა და იესო
სიკვდილისათჳს, რომ ამიერი

ჯცხოვრო შე მადლში სასუფევე-ლის დასამკჳდრებლად: ამინ.

მამაო ჩვე. გიხარ. ჭ დიდება.

შიწყალენ ჩვენ უფალო, შიწყა-ლენ ჩვენ. მორწმუნე.

გარდმოხსნილს გვამს იე-სოსსა
მიირქვამს შგლოვარე დედა
აჩნევს უხვად სისხლის ცრემლსა.
ყოვლად მწუხარე დედაო
ჰყავ რომ მეც შენთან ვჰსტიროდე
მაცხოვრის ვნებას ვგლოვობდე.

ეს შეათოთხმეტესა ადგილსა დაასაფლავებენ იესოს სამღთო გვამსა. თაყვანის-ცემ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცხოვრო ჩემო იესოვ! მარადის ვნატრობ მე შენთან სიცოცხლესა და სიკვდილსაცა; მაგრამ ბოროტ მიდრეკილებანი ჩემნი, მარადის მაშორებენ მე საქმით შენგან. ვაჲ მე დატყვევებულსა საგრძნობლებისა ჩემისაგან! გევედრები აღმადგინე მე ცოდვებში მკვდარი ლაზარესაჳთ, რათა ღირს ვიქმნა სააქაოს დათვლევად შენთან და საიქაოს დაჳმკჳდრო სასუფეველი ყოველთა წმიდათა შენთა თანა: ამინ.

მამაო ჩვე. გიხარ. და დიდება.

მიწყალეენ ჩვენ უფალო, მიწყალეენ ჩვენ. მორწმუნე.

ასათვლავებენ რა იესოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკოდება მწარედ გული
დაობლებულს ღთის მშობელსა.
ჵი წყეულნო ცოდვანო,
ქრისტეს სიკვდილის მიზეზნო,
მოგიძულებ მე თქვენ ფრიად.

აქ სთქვ ხუთი მამაო ჩვენო, გიხაროდენი და დიდება მამასა პატივსათჳს ხუთთა დაკოდილებათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ა. დაკოდილებისათჳს მარჯვენე ხელისა მისისა; რათა მოგვცეს ჭეშმარიტი სინანული ცოდვათა ჩვენთა ზედა. ბ. მარცხენე ჴელისა მისისა, რათა შეგვეწიოს არაოდეს ჩავარდეთ მომაკვდინებელს ცოდვაში. გ. მარჯვენე

ფერხისა მისისა, რათა [illegible] ყოველი განსაცდელისაგან ეშმაკისა, შეფადრე სიკვდილის წამს. დ. მარცხენე ფერხისა მისისა, რათა მოგვცეს მადლი მყუდრომ ღირსეულად მიღებისათჳს წმიდათა საიდუმლოთა. და ე. დაკოდილებისათჳს ყოვლად წმიდა გვერდისა მისისა, რათა დაგვცვას მარადის მას შინა უცოდვოდ.

ჰსდგა ჯუართანა იესოს დედა
სიმწუხრით მას ზედ ჰგოდევდა
ოდეს მას ჯუარზედ ხედევდა.
ოდეს მის გულშიდ მახჳლმან
განვლო დიად მოლესილმან,
ფრიად სიმწუხრე იტჳრთა მან.

227
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯსდჯა.

ჯთარ მწვე მეწუხებული;
მარიამ იყო ნეტარელი,
დედა უფლისა პირმშოსი.
რომელი მწარედ სწუხდა,
ოდეს თვის ძისა ხედავდა,
სატანჯველსა, რა ითმენდა.
რომელი გული ფიცხელი,
არ იტირებს მტკივნეული,
იესოს დედისა მხილველი?
ვის ძალუძს რომ არ იტიროს,
გულ მწარე დედა რა ნახოს,
მწუხარე თვის ძისთან ახლოს!
კაცთ ცოდვათათვის გვემულსა,
ხედავს იესოსა ჯვარცმულსა,
მწარე შოლტითა ცემულსა.
იხილა ძე საყვარელი,
ჯვარზედ სიმწარით მომკვდარი,

ოდეს განუტევა სული.

დედაო, ძის საყვარლისა;
შომეც ძალი გულ დაწჳსა,
შენთან ცრემლების დალვრისა!
შომეც მე გული აღმეგზნოს,
ქრისტეს სურჳლით აღმენთოს,
ჩემს სულთან ყოფნა ინდომოს.
წმიდავ დედავ ესე მიქმენ,
ჯვარცმულის წყლულნი დანერგენ
ჩემს სულსა შინა დამსჭვალენ
ძესა შენსა დაკოდილსა,
ჩემთჳს მაგფერ გატანჯულსა,
მაწილადე მე მის წყლულსა!
შომეც მე შენთან ვსტიროდე,
ჯვარცმულისათჳს ვჰგლოვობდე,
ჳდრეამ სოფელს ვსცხოვრობდე,
ახლოს ჯვრისა შენთან ჳყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმდუღარებით ვიცრემლო
შენთან ძის მტირალი ჰყო!
ქალწულთ შორის უადრესო!
ნუ განმაძევ მწუხარეო,
ჰყავ რომ შენთანა ვიგლოვო.
ღირს მყავ ჯვარსა ჰტჳრთევდე,
ქრისტეს ვნებას ჰხსენებდე,
მის წყლულთა განჰზრახევდე.
მომეც შოლტით წყლულვა მეცა
ჯვარით ამით ტანჯვა შევსვა,
შენის ძისათჳს ჯვარს ვეცვა.
სიყვარულითა აღვგენთო,
შენგნით შეწევნილი ჰყო,
სასჯელის დღეს რა მივეწიო!
გიხოვ დამიფარე ჯვარითა,
მიცევ უფლის სიკვდილითა,
განვხურდე მისი მადლითა!

ოდეს მოკვდეს კორცი ჩუენი,
მოემადლოს მადლი შენი,
ჯუაროვ სასუფეველი!
ეუედრე ჩუენთჳს ქალწულო
ყოვლად მწუხარეო!
რათა ღირსი ვქმნათ აღთქმათა
ქრისტესათა.

ვილოცოთ

ღმერთო, რომელმან ცხოვრებისათჳს სოფლისა ინებე შობა, წინადაცუეთა, ურიათაგან მოძაგება, იუდა მოციქულისა შენისაგან ამბორითი განცემა, ჯვარცა უმანკო კრავ დასაკლავად მიყვანება, ანნასა ჵ კაიაფას წინაშე წარდგინება, ჴეროდესაგან შეუ-

რაცხყოფა, ცრუ მოწმებით შე-
სმენა, პილატეს სამსჯავროსა
მოლტის ცემით გაკიცხვა, ნერ-
წყჳთ შენერწყვა, ეკლით დაგჳრ-
გჳნება, ლერწმით ცემა, პირის-
დაბურვა, სამოსისაგან განში-
შვლება, ჯვარზედ შემსჭვალვა,
ორთა ავაზაკთა შორის აღმაღ-
ლება, ავაზაკებთან შერაცხვა,
ძმრითა და ნაღვლით გამწარება და
შუბით განგმირვა. შენ უფა-
ლო ჩემო! ყოველთა პატიჟთა
ამათ შენთა პატივს ვსცემ მე
უღირსი ესე და გევედრები წმი-
დითა ვნებითა, ჯვარცმითა და სი-
კვდილითა შენითა, მიხსენ პატი-
ჟთაგან ჯოჯოხეთისა და ზეცას

სასუფეველსა აღყვანებად ღირს-
მყავ მე ჳთარცა აღიყვანე შენთა-
ნა ჯვარცმული ავაზაკი; რომე-
ლი მამისა და სული წმიდისა თა-
ნა ჰსუფევ ღმერთი უკუნითი უკუ-
ნისამდე. ა მ ი ნ.

გამოვალს ნიში მეფისა და სხ.



უწინარეს დღესასწაულთა წმი-
დისა ღვთის-მშობლისათა ცხ-
რა დღის წინა დამზადების ლო-
ცვანი რომელნი იხმარებიან შესა-
წირავად მაისის თჳსაცა პატიჳ-
სათჳს მისისა.

ყოვლად კურთხეულო ღვთის
მშობელო ქალწულო მარიამ,
დედაო მშვენიერო სიყვარული-
საო, აჩვენე დიდითა სახიერე-
ბითა შენითა ყოველთა დაბადე-
ბულთა, უაღრესობაჲ, დიდებუ-
ლებაჲ, და საყვარელ მყოფობაჲ
შენი, რათა იცნემონ სიტკბოებაჲ
შენი იგი, რომელიცა ჰგიებს შე-
ყვარებასა შინა ყოვლად უბი-

წოჲსა გულისა შენისა, და შეურაცხ-მყოფელთა სოფლისა ამის მატყუარებათა, ჴსცნან ყოვლადვე თუ ვითარ უფროს ყოვლისა უტკბილესი, უსათნოესი, და ნაყოფებით აღსავსე არს სიყვარული იგი ყოვლად უწმიდესი, და ყოვლად მშვენიერი გულისა მიმართ შენისა.

ჰსთქვი სამი გიხაროდენი, და შემდგომ გალობა ესე.

შენ შემოგწირავ ამა ჩემს გულსა, დედაო ტკბილო სიყვარულისა, ფრიად მოწყალე გული რომლისა არს სახიზარი ცოდვილე-

ისა. ყოვლად უბიწო წმიდა ქა-
ლწულო უძლიერესო და ნეტარე-
ლო, მყავი მე ჵი ბჭეო ზეცისა,
კეთილ მორწმუნე მსახური ღვ-
თისა.

მიმართვა მარიამისადმი.

მოუხდეთ უკვე განცხადებულად
საყდართა მათ მადლისათა, რა-
თა მოვიღოთ წყალობაჲ, და ვჰ-
პოვოთ მადლი ჟამსა შეწყნარე-
ბისასა, ( ებრაელთა. თავი. 4.
) იტყვის წმიდა ანტონინე ვი-
თარმედ: საყდარი ესე არის მა-
რიამი, რომლისაგან ღმერთი
განჴვიყოფს ყოველთა მადლთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი დედუფალო ყოვლად საყვარელო! უკეთუ ეგრედ გულს მოდგინეობ შენ სადამე შეწევნასა ცოდვილთასა, აჰა ესერა მე დიდი ცოდვილი ესე, რომელი მოვილტვი უკვე შენდამი, შემეწიე მე ფრიად, და შემეწიე მე სწრაფად, ამინ.

გიხაროდენ დედოფალო და სხვაჲ. ვილოცოთ, ყოვლის მპყრობელო და სხვაჲ იხ. 265

მეორე დღისა.

ჰოი უტკბილესო დედაო იესოსაო, და დედაო ჩემო მარიამ! ვინადგან შენ ეგზომ დიდითა

 ეროვნული ბიბლიოთეკა

სახიერებითა შენითა აღმოვირ-ჩევივარ მე შენს ბედნიერ შჯლად, შემოგწირავ შენ ძეებრივსა სურ-ვილსა ამას ჩემსა, და მით მონად ქმნილი, მსგავსადვე მოგიძღუნი ყოვლადვე გულსაცა ამას ჩემსა: რომელიც წე მართლიად თუმც ყოვლადვე უმსგავსი არის გული-სა შენისა, რომელი ეგე ყოვლი-თურთ აღსავსე არის ყოველი ღვთიური ღუაწლითა; გარნა ესე შენ-ზედ არს მონდობილი, რა-თა შემიცჳალო ესე სხვა გულად განმდევნელო ყოველთა შეცდუ-ნებათა, და მომნიჭებელო სათ-ნოებათაო. მაშ მოჰფინე ჩემ-ზედა დედობრივი ლმობიერებაჲ

შენი, რათა ვისწავო მარადის მორჩილობაჲ, მსგავსებაჲ, და სიყვარული შენი უკუნისამდე.

აქ ჰსთქვი სამი გიხაროდენი, და გალობა. შენ შემოგწირავ, და სხვაც.

მიმართვა მარიამისადმი.

დედუფალო ჩემო, წმიდა ბერნარდე ლაღადებს შენთჳს მეტყველი: « მარიამი არს, რომელიც წარიტაცებს გულთა. »
ეს ჭეშმარიტად რომელი მიმოჴდი შენ წარიტაცებად გულთა კეთილობითა, და სახიერებითა მით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენით, ამის-თჳს გევედრები მიმიზიდე მეცა შენდამი; და ეგრეთვე წარიტაცე კვალად გული ჩემი, და ნებაცა ჩემი. შემოგწირავ მათ ყოველთავე შენ, მიუპყარ ჰყავ შენცა ესენი შემომქმედის შეერთებითა გულისათანა შენისა.

ჴსოქვი გიხაროდენ დედოფალო და სხვანი.

ვილოცოთ, ყოვლის-მპყრო. და სხვანი.

მესამე დღისა.

შ.ი. ყოვლად სახიერო დედუფალო ანგელოზთაო, და ყოვლად მოწყალე დედაო ყოველთა კაც-

ჲაო, მარიამ, თაყვანის ვსცემთ ყოვლად ცალიერებისა-გან არა რაჲობის ჩემის ყოვლად უბიწო გულსა მაგას შენსა, რომელიც არს უფსკრული სისრულებათა და ყოველთა ღვაწლთა. შეისმინე უბუჵ. ჰოი გულო ყოვლად საყვარელო, ხმაჲ შეჭირვებულთა, და გამოუცხადე ჭეშმარიტი ნუგეშის-მცემელობაჲ იგი შენი შეწუხებულთა, და შეჭირვებულთა: ვითარცა წმიდა ეგე გული შენი, ჰოი მარიამ, მარადის მზად არს შეწევნად, და კეთილის ქმნად ყოველთა.

სთქვი სამი გიხაროდენი, და გა-

ღვთის მშობლის მიმართ. 
ლობა. შენ შემოგ. და სხვანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიმართვა მარიამისადმი.

მე, ვარ იტყვის მარიამი, მშვენიერი ხეა ზეთისხილისა, რომლისა-გან გამოვალს მარადის ზეთი მოწყალებისა: და ვსდგა-ვარ ველსა ზედა რათა ყოველთა მიხილონ, და ყოველთა მომმართონ მე « ამისთჳს ვჰრქუათ მას ჩვენცა წმიდა აგვისტინესაებრ » მოიჴსენიე ჩი ყოვლად სახიერო დედუფალო მარიამ, ჳთარმედ არა სმენილ არს ოდესმე ქვეყანასა ზედა, რომელ მოლტოლვილი ვედრებითა პატრონობისადმი

შენისა უგულვებელს ყოფილიყოს სადამე. ჵე ყოვლად მოწყალეო დედუფალო, არ არის ოდესმე სმენილი, რომელ ვისმეს მოემართოს შემწეობისადმი შენისა, და დაშთენილ იყოს იგი დაგდებულად, და შეუწევნელად; ეგრეთვე არ მნებავს, რომელ მეცა უკანასკნელი უბადრუკი, და მეწუხებული ესე, და შენდა სასოების დამდები დავშთე შენგან შეურაცხ-ყოფილი შეუწევნელად.

ჯსთქვი გიხნ. დედ, დნ ვილო- და სხ.

მეოთხე დღისა.

ჵი! მარიამ ყოვლად ბრძენთ
მასწავლებელო ღვთის სიყვარუ-
ლის კელოვნებისაო, რომელი
აბრწყინებ ეკკლესიასა ღუთივ მი-
მადლებული სიბრძნითა მით შე-
ნითა; ვინადგან აღ''ოგირჩევი-
ვარ მე მოწაფედ შენდა, განანათ-
ლე უკვე ნათლითა მით შენითა
ცოდვებით დაბნელებული გონება
ესე ჩემი, და მასწავე მე გაკვე-
თილნი ღვაწლთა, და სათნოება-
თა შენთა.

სტიქვი 3. გის. და გალობა,
შენ შემოგწირავ, და სხვაჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიმართვა მარიამისადმი.

დედუფალო ჩემო ყოვლად საყვარელო, ყოვლადი ეკკლესია ადიარებს, და გიდიდებს შენ ესრედ მეტყველი « სასოებაო ჩვენო » მაშა-სადამე შენ ეგე, რომელი ხარ უკვე სასოება ყოვლეთა, ეგრეთუე ხარ კვალად სასოებაცა ჩემი « მტკიცე საფუძველო სასოებისა ჩემისაო » გიდიდებს შენ წმიდა ბერნარდე, და გხადის იგივე კვალად « შენ ბესგიდეს იგი, რომელიც არს სასო წარკვეთილი » ესრეთვე მნებავს თქმა მეცა შენდამი: ჰო. მარიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, რომელსაცა ძალ-გიძს დახსნა სასო წარკვეთილებისა მისან, შენ ზედ დავაფუძნავ ყოველ სასოებასა ჩემსა.

აქ ესთქვი გიხაროდენ დედოფალო,. და (ვილოცოთ) ყოვლის-მპყრობელო; და სხვაც.

მეხუთე დღისა.

ჵი უწმიდესო, ჵ ყოვლად უბიწო გულო მარიამისა, ღირსო შეყვარებისა; გამდიდრებისა, ჵ კურთხევისაო ყოველთა კაცთაგან, ნეტარ თუ შემეძლოს მე განცხადება ყოვლისა ქვეყანასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩედა უაღრესითა ღირსებათა, ბრ-
წყინვალე დუაწლთა, და გამოუთქ-
მელთა სიმდიდრეთა შენითა, რა-
თა ყოველთა კაცთა გიცნან, შე-
გიყვარონ, და გმსახურონ შენ!
ამისთვის ჩი. უსაყვარლესო დე-
დაო სიყვარულისაო, მარიამ,
გამოუცხადე სახელი ეგე შენი ყო-
ველთა სიყვარულიანი სიტკბოე-
ბითა, და ძლიერებითა მით შენითა
მიზიდვად ყოველთა სულთა შენ-
დამი, რათა მცნობელთა გონე-
ბით მიუწვდენელი საუნჯისა მა-
გის შენისა, რომელიც ჰგიებს
გულსა შორის შენსა, და ყოვლად
საყვარელსა სახელსა შენსა,
ყოველთავე ჩვენ პატივი, და დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება შენ უკუნისამდე.

ჰსთქვი სამი გიხარო-დენი, და ცალობა, შენ შემოგწირავ. და სხვაც.

მიმართვა მარიამმისადმი.

ჵ უწმიდესო მარიამ; წმიდა გერმანე გიღაღადებს შენ ესრედ მეტყუელი: არვინ არს, რომელიცა ცხონებულ იყოს უმწეობითა შენითა; არა ვინ განთავისუფლებულ არს ბოროტისა-გან ხელის აუპყრობელად შენი; და არცა ვისმეს მიემადლებიან ზეციერნი ნიჭნი, უკეთუ არ მხოლოდ შუამდგომელობითა შენითა, ამა

სადამე ჵი უფალო და სასოებაო ჩემო, უკეთუ შენ არ შემეწიო, მე წარვწყმდები; და ვერ შევიძლებ მოსვლასა სუფევასა საკურთხევე-ლად შენდა. განა მე აღძრული წმიდათა-გან, რომელნიცა ერთ-ბამად ვითარ ერთითა ხმითა მეტ-ყველნი აღგიარებენ შენ უფალო ჩემო, ვითარმედ შენ არ დააგდებ, და არცაღა უგულებელს-ჰყოფ ყო-ველთა მათ, რომელნიცა მოგ-მართვენ შენ ვედრებითა, არამედ წარწყმდებიან მხოლოდ იგინი, რომელნიცა არ მოგმართვენ შენ, და არცა შეგეხიზნებიან. რომლი-სა-გამო მეცა საწყალობელი ესე შენ მოგმართავ, და შენ ზედ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძს ყოველი სასოებაჲ ჩემი

ჴსთქვი გიხაროდენ დედოფალო, და ვილოცოთ ყოვლის მპყრობელო, და სხვაჲ.

მექუსე დღისა.

ჵი თჳთ მპყრობელო დიდებულო დედუფალო გულთაო, მარიამ, ვინადგან გამოგირჩევივარ მე შენს სარწმუნო მონად, მომიშოვნე წყალობაჲ იგი ღვთისაგან, რომელ ვითარცა მონანი შეიმოსვიან საცნაურ მონებრივსა სამოსსა შინა უფალთა მათგან, რათამცა მით იცნობებოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წენ მონად მათდა; ებრძოდნენ
შევიმოსო ღვაწლნი, და სათნო-
ებანი ეგე ვითარნი, რომლის მი-
ერ ძალ შემდუსცა უკეთილესად
მსახურებას შენი. კვალად ჵი
უწმიდესო ქალწულო, ეგ ზომი
სიხარულითა დაკმაყოფილებული
ვერ შენდა სამონებო სახელსა
ამას ჩემსა ზედა, ვიდრედა სრუ-
ლიად არ შევსცული წოდებასა
ამას ყოველს მსოფლიო კელმ-
წიფებასა, და დიდებასა ზედა:
ამისთჳს გევედრები მომმადლე
მე, რათა შევიძლო მოსვლა კვა-
ლადცა მსახურებად შენდა ზე-
ცას სად სუფევ შენ ძისა შენისა,
და ღვთისა ჩემისა და შენისათანა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსთქუ სამი გიხაროდენი და გალობა, შენ შემოგწირავ და სხვაც.

მიმართვა მარიამისადმი.

მაცადე, რათა კვალად მეცა გხადო შენ, ჵი უტკბილესო უფალო ჩემო; წმიდის ბერნადისაებრ მონის შენის მეტყველი «ყოვლითურთ მისაყრდომელო სასოების ჩემისაო» დ̃ კვალად ვიტყოდე წმიდის იოვანე დამასკელისათანა «შენ ზედ დამიძს ყოველი სასოება ჩემი» მაშ შენ უნდა მომიშოვნო მე ღვთისაგან მოტევებისა ცოდვათა ჩემთა; დ̃

ეროვნული ბიბლიოთეკა
სიწმიდესა შინა. მარადის გამძ-ლეობაცა ვიდრე სიკუდილადმ-დე. რამეთუ იგი ყოველნი, რო-მელნიცა ცხონებულ არიან, ყო-ველნივე შენის შეამდგომლო-ბით არიან ცხონებულნი. მაშ სადამე, ჵი მარიამ, შენ უნდა და-მიხსნა, და მაცხოვნო მეცა. « ვის ცხონებასაც ინებებ შენ, იგი ცხონდებისო » იტყვის წმიდა ბონავენთურა. მაშ სადამე ინებე შენ [illegible] ცხონებაცა ჩემი, და ვს-ცხონდე მე. მაგრამ შენ აცხონებ ყოველთა მათ, რომელნიცა მოგ-მართვენ, და გხადიან შენ. რო-მლისათვის აჰა ესე რა, მომი-მართავს შენდამი მეცა, და გხადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მეტყველი წმიდა ზონავე-თურასაებრ « ჵი მაცხოვნებელო ყოველთა მათ, რომელნიცა გხა-დიან შენ, მაცხოვნე მეცა.

ესთქვი გიხაროდენ დედოფა-ლო, ვილოცოთ, და სხვაც.

მეშვიდე დღისა.

ჵი ყოვლად ტკბილო გულო მარიამისაო, აღვიარებ, რომელ ღმერთმან განგამდიდრა შენ ეგ-ზომი უაღრესობითა, ვიდრედა ვერ ძალუძს მიწუდენა მათდა ვერ-ცა კაცებრივსა, დ̃ ვერცა ანგე-ლოზებრივსა გულის-ხმის მყო-

ფელობასა. ამისთვის შენ ჰო! ყოვლად წმიდაო დედაო მაცხოვრისა ჩემისაო, იგულს-მოდგინე ყურადღებითა კეთილ მყოფელობანი ჩემთვის, და ცხოვრებისათვის ყოვლისა სოფლისა, და ღირს-მყავ ჩვენ მიყვანებად ძისა შენისა იესოსთან.

ჰსთქვი სამი გიხარო-დენი და გალობა, შენ შემო-გწირავ, და სხვაც.

მიმართვა მარიამისადმი.

უფალო ჩემო, შენ ჰრქვი წმიდასა პირიჯიტასა, მეტყველმან: ჭკუით ვინმე იყოს ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვილი, და მოიქცეს ჩემდამი ჭეშმარიტებით განწრფელებად ცხოვრებისა მისისა, მზად ვარ მე მსწრაფლ შესაწყნარებლად მისა, რამეთუ არ განვიკითხავ თუ რაოდენი შეუცოდებია, არამედ თუ ვითარი ნებითა მოვალს იგი ჩემდა, მე არ დაუზოგავ ცხებასა, და განმართლებასა წყლულთა მისთასა; რამეთუ ვიწოდები და ვარ ჭეშმარიტად დედა მოწყალებისა. მაშა-სადამე, რადგან ძალ-გიძს განკურნება ჩემი, და გაქვს ნება განმართლებისა ჩემისა, ამისთჳსცა მოვივლტვი მეცა შენდამი, ჰოი მკურნალო ზეციერო, განკურნე უბუშვე ადურიცხველნი წყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
დუღებანი ესე სულისა წმიდისა მხოლოდ ერთი სიტყვითა მით შენითა, რომლითაცა მიმეოხე მე შენს საყვარელს ძესთანა, განვიკურნები მე სრულიად.

სთქვი გიხაროდენ დედოფალო, ვილოცოთ, და სხვა.

მეერვე დღისა.

ჰოი ყოვლად საყვარელო ღვთისმშობელო ქალწულო მარიამ « ჰოი წარმტაცებელო გულთაო » ვითარცა გიწოდს შენ წმიდა ბერნარდე; ვუწყი რომელ წმიდა გული ეგე შენი არს ყოვლითურთ

ღტყინებული სიყვარულითა ცხონებისა-თჳს კაცთა, ვინაჲდგან სიყვარული მათი გისწავიეს ღგ-თიული ძისა შენისა-გან. შენ რომელსაც ძალ გიძს, აღაგზენ გუ-ლი ესე ჩემი, რომელი ნატრობს სიყვარულსა შენსა, და სიყვარულ-სა მაცხოვრისა ჩემისა იესოსასა. თქვენც ერთ-ბამად ჵი წმიდანო გუნდნო ანგელოზთანო, მიმერ-ხეთ მარიამისა მიმართ დედუფ-ლისა თქვენისა, რათა ძლიერითა სიყვარულითა შევიყვარებდე მას, რომლის მიერ ღირსეულად აღო-რძინდეს უბიწო სიყვარული ესე ჩემი მის მიმართ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰსთქჳ სამი გიხარო-დენი, და გალობა, შენ შემოგწირავ, და სხვაც.

მიმართვა მარიამისადმი.

ჰო დედუფალო ჩემო ყოვლად ტკბილო, ყოვლად სახიერო, და ყოვლად საყვარელო, ჰო თუ ვითარ გულ-მიდების მე წმიდა ბერნარდე, რაჟამს მოგმართავ მე შენ! იტყვის რომელი, შენ არ გამოიძიებ ნაყოფსა, და ღირსებასა მათსა, რომელნიცა მოჰმართვენ სახიერებასა შენსა, არამედ შეეწევ ყოველთა მათ რომელნიცა გევედრებიან შენ « მარიამი არ გა-

ოიძევს ღირსეულობასა, არამე-
ოველთა უსმენს ვედრებათა მათ-
ა » მაშა-სადამე მეც, რომელი
სე გევედრები შენ, შემისმინე
ულ-ლმობიერებითა მით შენითა,
მისმინე თუ რაჲსა ვეძიებ მე
შენგან. მე ვარ საწყალობელი
ცოდვილი ერთი, რომელი ღირს
ვარ ათას გეცილი ჯოჯოხეთისა.
ხოლო ამიერითგან მნებავს მე გა-
მოცვლა, და განწრთვლება ცხოვ-
რებისა ჩემისა; და მნებავსცა შეყ-
ვარება ღვთისა ჩემისა, რომე-
ლიც ფრიად შემიწყენია. მე
აჰა ესე რა მომირთმევია შენთჳს
თავი ჩემი მონებად, მომიძლუ-
ნავს მე საწყალობელი გული ესე

ჩემი შენთჳს: და დამიხსენ მე (მო-
ვედრები შენ) რომელი ამიერიდ-
გან ვარ შენი, და არღარ ჩემი, ჵი
დედუფალო ჩემო, შემისმინე მე.

ჳსთქვი გიხაროდენ დედუფა-
ლო, ვილოცოთ, ყოვლის-მპყ-
რობელო, და სხვანი.

მეცხრე დღისა:

ჵი! დედუფალო ყოველთა
ღვაწლთაო, ჵი დედაო დიდების
შეუფისაო, მარიამ, რომლისა
გარეშე სხვა არავინ არს უმაღ-
ლესი თუ არა მხოლოდ ღმერთი,
რომელსა მოუნიჭებია შენთვის

ყოველი დიდება , და ყოველი სიწ-
მიდე , რომლის მიერ აღვსილ არს
ყოვლითურთ გული ეგე შენი . წი-
ნაშე შენსა , ჵი დედაო მაცხოვ-
რისა ჩემისაო , დავარდომილი
მიწად თაყვანის-ვსცემ ყოვლად
უმანკოსა , და უბიწოსა გულსა
მაგას შენსა ეგრეთ სავსესა მად-
ლებითა , და ღვაწლებითა . ვაკურ-
თხებ აიასუზაის ღმრთისა მას ,
რომელსა ეგე ვითარად , უადრე-
სად , და წარჩინებულად გაუმდიდ-
რები-ხარ შენ წინასწარ ცათა , და
ქვეყნის შექმნისა , აღმორჩევით
ყოველთა დედათა შორის თვის
ღირსეულ დედად . ვადიდებ შენს
შორის თჳთ იმავე უფალსა , რო-

შელი თჳთ განკაცდა შენ მხე
მნებავს ქონვა ათასი ენისა საკუ
რთხეულად, და პატივის-ცემა
შენდა, ეგრედ ვითარცა გშვენი
შენ, და ეგრეთვე ვნატრობ ქონ
ვასა ათასი გულისასა შესაყვარ
ბლად შენი, ყოვლად საყვარელ
ძისა შენისათანა უფლისა ჩვენი
იესო ქრისტესი ამას სოფელ
შინა, და შემდგომ მოსვლადის
დამშვენებად და ქებად შენი მ
რადის ცათა შინა.

ჳსთქვი სამი გიხაროდენი, დ
გალობა, შენ შემოგწირავ
და სხვაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიმართვაჲ მარიამისადმი.

ჵი თუ რაოდენს აღმსუბუქებასა ჭირისასა ვგრძნობ მე მყოფი უბადრუკებასთა შინა ჩემთა, რაოდენს ნუგეშის-ცემასა შეწუხებათა შინა ჩემთა, და რაოდენს სიმხნესა განსაცდელთა შინა რაჟამსაც განგიხსენიებ, და გხადი შენ შემწედ, ჵი უტკბილესო, და უწმიდესო დედაო ჩემო მარიამ? ჭე რომ გქონებიათ დიდი სიმართლე თქვენ, ჵი წმიდანო ღვთისანო, რომელ გიწოდებიათ დედუფლისა ამის ჩემის-თვის: (ნავთსაყუდელი შეწუხებულთა) ჴთარ-

ცა შენ, ჰოი წმიდაო იეორ[illegible] « წამალი საწყალობელთა, ნუგეშის ცემა და ძალი საბრალობელთა » ვითარცა შენ, ჰოი წმიდაო ბონავენთურა. « აღმხოცველი ცრემლთა ჩვენთა » ვითარცა შენ ჰოი წმიდაო გერმანე. ჰოი დედაო ჩემო, ნუგეშინის-მეც უკვე მე რამეთუ განვიცდი მე თავსა ჩემსა აღვსილსა ცოდვებითა, გარე-შემოცულსა მტერთაგან, დაშთენილსა შეცდუნებათა შინა, და გრილსა ღვთის სიყვარულისაგან. ნუგეშინის მეც უკვე მე, ნუგეშინის-მეც, და ნუგეშის ცემა იგი შენი იყოს ჩემდა ესე, რომელ დავიწყო მე ამიერიდგან ერთი ეგრედი ახალი

ცხოვრება, რომლითაც ჭეშმარი-
ტებით სათნო-საყოფელი ვიყო
წინაშე ძისა შენისა, და წინაშე
შენსა. ამინ.

აქ ჰსთქვი გიხაროდენ დედუფა-
ლო და სხვაც.

გიხაროდენ დედუფალო, მო-
წყალების დედაო, ცხოვრებაო,
სიტკბოებაო, და სასოებაო ჩვე-
ნო, გიხაროდენ, შენდამი ვღა-
ღადებთ განდევნილნი ევას ძენი
შენდამი სულს ჯთქვამთ ცრემ-
ლითა და გოდებითა ღელესა ამას
გლოვისასა. მაშ ჰოი შუამდგომე-
ლო ჩვენო, მოაქციე შენი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობის თვალი ჩვენ ზედა. და კურთხეული იესო ნაყოფი მუცლისა შენისა ამ ექსორიის შემდგომ გჳჩვენე ჩვენ ჰოი მოწყალეო, ჰოი კეთილო, ჰოი ტკბილო ქალწულო მარიამ.

მეოხ მეყავნ ჩვენ წმიდაო ღვთის-მშობელო.

რათა ღირს ვიქმნეთ აღთქმათა ქრისტესათა.

ვილოცოთ

ყოვლის-მპყრობელო და სამარადისოო ღმერთო, რომელმან დიდებული ქალწულის მარიამისა სული და ხორცი სულისა წმიდისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ განამზადე, რათა მშვენიერად ღირსეული სადგომი ყოფილ იყო ძისა შენისა, მოგვეც ჩვენ გვედრებით რათა რომელნიც მოხსენებით მისით ხარობთ, მისივე მოწყალისა მეოხებითა აწინდელთა ბოროტთაგან და სამარადისო სიკვდილისაგან დავიხსნებოდეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, ამინ.

ცხრა დღის ლოცვა (ნოვენ) პატივისათვის ღვთის მშობელი ქალწული მარიამის უმანკო შთასახებისა.

. ჰო ყოვლად წმიდაო ქალწუ-

ლო მარიამ! ჯთარცა შენს უმან-
კო შთასახებას მოასწავებდა მო-
სეს მიერ ხილული საიდუმლოვა-
ნი მაყვალი იგი, რომელი გარეშე
მოცული ალისაგან ცეცხლისა,
ჰგიებდა დაუწველად და უვნოდ; ეს-
რეთვე ზევედრებით განაქრე ჩვენ-
შიდ ცეცხლი ბოროტი გულის
თქმისა, რომლის მიზეზითაც
იგოდენნი სულნი მიდიან საუბე-
დუროდ ჯოჯოხეთში განსატანჯა-
ვად დაუშრეტელს ცეცხლსა შინა.

სთქვი ერთი გიხაროდენი და
შემდეგი გალობა.

ჵი მარიამ ქალწულო!
უმანკოდ შთასახებულო,
გჳმეოხე ჩვენ ცოდვილთა,

შენდამი შემოხიზნულთა.

კურთხეულ იყავნ წმიდა ჲ უმან-
კო შთასახება ყოვლად ნეტარე-
ლი ქალწული მარიამისა.

. ბ ჵი ყოვლად ნეტარელო
ქალწულო მარიამ! ჳთარცა უმან-
კოდ შთასახებასა შენსა მოასწა-
ვებდა საიდუმლოვანი ნოეს კი-
დობანი იგი, რომელი მხოლოდ
ჟამსა მას მსოფლიო წყლის
რღვნისასა დაიცვა ღმერთმან
დაღუპჳსაგან, ესრთვე გვევედრე-
ბით დაგჳცვე ჩვენც იგოდენი
განხრწნილობისა ჲ ცოდჳსაგან;
რომელიცა ჳთარცა წარყვნა მო-
დებულ არს აწ მრთელს ქვეყანა-
ზედ. გიხაროდენ. ჵი მარიამ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურთხეულ და სხვაც.

გ. ჵი ყოვლად სპეტაკო მტრედო ქაწულო მარიამ, რომელი მსგავსად ნოეს ტრედისა ფრინავდი მარადის ვერცხლის ფრთებითა თჳნიერ რომლისმე შეხებისა რაჲმე მანკიერებისადმი, ჳთარცა მტრედიცა ნოესი შეუხებლად დამხჩვალი ლეშებისადმი, რომლებითაცა დაფარულ იყო წარყვნის დროს მრთელი ქვეყანა: გევედრებით მოგჳმოვნე ღვთისაგან მადლი რათა არა ოდეს მიაკრათ ჩვენც გული ჩვენი წუთებრივთა და მატყუართა კეთილთა სოფლის ამისათა. გიხაროდენ, ჵი მარიამ, კურთხეულ. და სხვა.

დ. ჵი მადლით სავსეო ქალწუ-
ლო მარიამ, რომელი მსგავსად
წყაროსთან დარგული მშვენიერი
ჲ ნაყოფებით სავსე დანაკის-კუ-
დისა, იმყოფები შენცა ახლორ-
ეს წყაროსთან მადლებისა მარად-
ის აღყვავებული ჲ მარადის აღ-
სავსე ნაყოფებითა. გევედრებით
გუმეოხე შენს საყვარელს ძეს-
თან, რათა განგჯდოს ჩვენც წყა-
რო ღვთიური მადლისა თვისისა,
რომლითაც გამოჯდოთ ნაყოფი
ჭეშმარიტი სინანულისა.

გიხაროდენ. ჵი მარიამ. კუ-
რთხეულო. ჲ სხვა.

ე. ჵი ყოვლად საყვარელო
ღვთის-მშობელო ქალწულო მა-

რიამ, რომელი ხარ წ[illegible] იგი დახშული და სამოთხე იგი სიხარულისა, რომელშიდაც ვერ შეიძლო ვერცადა ერთს წამს შესვლა ყოვლად მეშურნე გველმან; გევედრებით მოგვმოვნე ღვთისაგან ეს დიდი წყალობა: რომ ვერაოდეს შეიძლოს შემოსვლა ჩვენს გულში ცოდვამან ვერც ერთს წამსა.

გიხაროდენ, ჰოი მარიამ, კურთხეულ იყავნ და სხვა.

3. ჰოი ყოვლად სახიერო ქალწულო მარიამ, რომელი ვითარცა ყოვლად ბრწყინვალე ვარსკულავ ცისკრისა, ჰფენ ნათელს ორიზონტსა ზედა ცხოვრებისა კაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თასა თჳნიერ ღრუბლისა და ნის-
ლისა რათა არაოდეს, არცალა
მცირედ დაუჩრდილონ და დაუმა-
ლონ მათ ყოვლად ნათლოვანსა
ბრწყინვალებასა შენსა, ბეჭედ-
რებით ნუ მიუშჳებ რომ დასჯდეს
ოდესმე სული ჩვენი სიბნელესა და
აჩრდილსა შინა სიკვდილისასა,
გიხაროდენ, ჵი მარიამ და სხ,
კურთხეულ იყავნ და სხვაც.

ზ. ჵი ყოვლად ტკბილო ქალ-
წულო მარიამ! რომელმან ჳთარ-
ცა ფრიად ნაყოფიერმა ვაზმან
ფაფუკი ყრმობიდგანვე შენისა
გამოეც და მოჰფინე კეთილნი
სულნელებანი სიტკბოებისა,
რომელთაგან განივლტჳს შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადის ყოველი უწმიდური ჰაერი და ყოველი სული მავნებელი, ზეჲედრებით, მოგვმადლე ჩვენცა რათა არა განიხრწნას გული ჩვენი სიმყრალისაგან არა წმიდებისა.

გიხაროდენ, ჵი მარიამ და სხვა.

კურთხეულ იყავნ და სხვაცა.

ლ. ჵი ყოვლად უბიწო და ყოვლად უმანკო ქალწულო მარიამ! რომელი ხარ შროშანი იგი ველისა, აღმოცენებული ეკალთა შორის თჳნიერ შეხებისა მათგან და თჳნიერ რაჲმე ვნის მიღებისა მათგან სისპეტაკისა შენისადმი ზევედრებით მოგჳმოვნე ჩვენცა ღვთისაგან ას სიწმიდე და ის უმანკოება გულისა, რომლისათჳსცა

ქონეთა მისთა დაჭპირებისა საყ-
ვარელი ძე შენი ხილვასა პირისა
ღვთისასა.

განხაროდენ, ჵი მარიამ, და სხ.

კურთხეულ იყავნ, და სხვა.

თ. ჵი ყოვლად მოწყალეო დედაო
და დედუფალო ჩვენო ქალწულო
მარიამ! მარადის საყვარელო და
მარადის მიჩნეულო ღვთისაგან,
მშვენიერო მშვილდო (ცისარტ-
ყელავ მშვიდობისაო, დიდებულო
ტაძარო ნაკურთხო და შეწირუ-
ლო პირველი წამიდგანვე ღვთი-
სადმი ნამდვილი აწმყოობითა
სულისა წმიდისა და ყოველ ნაირი
სავსებისაგან ნიჭთა მისთა; გე-
ვედრებით მოგვიმოვნე ღვთისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან მადლი რათა იმნაირად ჳცოცხლოთ ამ ქვეყანა ზედ რომ ღირს ჳქმნათ ერთ დღეს ხილვად შენი ზეციერს ტაძარსა შინა დიდებისასა; ამინ.

გიხაროდენ, ჵი მარიამ, და სხ;
კურთხეულ იყავნ და სხვა.

მეოხ მეყავნ ჩვენ: რათა ღირს და სხვაც.

### ვილოცოთ

ღმერთო, რომელმან უმანკოდ შთასახებისა მიერ ქალწული მარიამისა ღირსეული სადგომი განუმზადე ძესა შენსა: გვედრებით, რათა ჳთარცა წინად ხილული სიკვდილისათჳს ძისა მი-

სისა პირველი წამიდგანვე დაიცვე იგი ყოვლისა მანკისაგან , ესრეთვე ღირს გვყავ ჩვენცა მეოხებითა მისითა შენდამი მოსვლად უმანკო სიცოცხლითა . იმავე ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა , ამინ. სახიერისა ძისა თჳსისა თანა გვაკურთხოს ჩვენ ქალწულმან მარიამმან , ამინ .

ცხრა დღის წინა დამზადება შობისათჳს უფლისა ჩვენისა იესოქრისტესი .

1 . კურთხეულ იყავნ ათას გზის და უკუნისამდე საშო შენი ჵ მარადის ქალწულო მარიამ , რომელსა შინა იდგომა ცხრა თვეს

ძემან ღვთისამან განკაცებულმან დახსნის ჩვენისათვის. გიხაროდენ ჲ სხვა.

2. კურთხეულ იყავნ ათას გზის ჲ უკუნისამდე ყოვლად უბიწო წიაღი შენი, ჰი მარადის ქალწული მარიამ, რომელსა ზედა განისვენებდა, დაიძინებდა, ჲ განსცხრებოდა ხოლმე ძე ღვთისა განხორციელებული დახსნის ჩვენისათჳს. გიხაროდენ ჲ სხ.

3. კურთხეულ იყავნ ათას გზის ჲ მარადის უწმიდესი ძე შენი, ჰი მარადის ქალწული მარიამ, რომელიცა სწოვა ძუძუთა შენთაგან ძემან ღვთისამან განკაცებულმან დახსნის ჩვენი-

ათჳს. გიხაროდენ და სხვა.

4. კურთხეულ იყავნ ათას გზის და მარადის წმიდა მკლავნი შენნი, ჵი მარადის ქალწულო მარიამ, რომელთაცა მიირქუეს, იტჳრთეს და ტკბილად მოეხჳვნენ ყრმას იესოს ძესა ღვთისასა განხორციელებულსა დახსნისა ჩუენისათჳს. გიხაროდენ.

5. კურთხეულ იყავნ ათას გზის და მარადის უწმიდესნი კელნი შენნი, ჵი მარადის ქალწულო მარიამ, რომელნიც შეეხნენ და რომელთაც დაუყვავეს და გულს მოდგინებით ჰმსახურეს ძესა ღვთისასა განკაცებულსა დახსნისა ჩუენისათჳს გიხაროდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. კურთხეულ იყავნ ათას-გზის და მარადის უწმიდესნი ყურნი შენნი, ჵ მარადის ქალწულო მარიამ, რომელთაცა ესმათ ხში-რად წოდება შენი ამთვერად: სა-ყვარელო დედაო, ტკბილო დე-დაო, ძისა ღვთისაგან განკაცე-ბულისა დახსნისა ჩვენისათვის, გიხაროდენ და სხვა.

7. კურთხეულ იყავნ ათას გზ-ის და მარადის ზეციერნი თვალ-ნი შენნი, ჵ მარადის ქალწულო მარიამ, რომელნიცა უმზერდნენ და გამოუთქმელი სიხარულითა სჭვრეტდნენ ღვთიურს მშვე-ნიერებასა მას ძისა ღვთისასა განკაცებულისა დახსნისა ჩვენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის. გიხაროდენ.

8. კურთხეულ იყავნ ათას გზ-ის და მარადის წმიდანნი ბაგენი შენნი, რ͠ი მარადის ქალწულო მარიამ, რომელნიცა გამოუთქ-მელი მხურვალებითა და მატივის ცემითა მოემთხვეოდნენ ხოლმე ყოვლად საყვარელს პირსა ძისა ღვთისასა განკაცებულისასა დახ-სნისა ჩვენისათჳს. გიხაროდენ:

9. კურთხეულ იყავნ ათას გზ-ის და უკუნისამდე ანგელოზებ-რივი ენა შენი, რ͠ი მარადის ქალწულო მარიამ, რომელიც და-უცხრომელად აქებდა, ადიდებდა აკურთხებდა, და უწოდებდა თავს საყვარელს შჳლად ძესა ღვთისასა

განკაცებულისა დახსნისა ჩუენისა-თჳს . გიხაროდენ და სხუა . სახიერისა ძისა თჳსისა თანა გვა-კურთხოს ჩუენ ქალწულმან მა-რიამმან , ამინ .

აქ სთქჳ დიდებანი წმიდისა ღუ-თის-მშობლისა იძიე : 68 .

მეოხ მეყავნ ჩუენ წმიდაო ღუთ-ის-მშობელო ,

რათა ღირს ჳქმნათ აღთქმათა ქრისტესათა .

ვ ი დ ო ც ო თ

ზემდრებით უფალო გონებათა ჩუენთა შინა და სხუაც .

ცხრა დღის დოვცა გინა მცირე გჳრგჳნი ათორმეტი გიხაროდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისა და კურთხევანისა ზეცად მი-
ცვალებისათჳს, ღვთის-მშობელი
ქალწული მარიამისა.

ა. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
მიწვეულ იქმენ ზეცას ყოვლად
საყუარელი ძისა შენისაგან, გი-
ხაროდენ დ̃ სხვა.

ბ. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
იქმენ ამაღლებული ზეცას წმი-
დათა ანგელოზთაგან. გიხარო.

გ. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
წინ მოეგებნენ შენ ზეცით ყო-
ველნი გუნდნი ნეტარელთა ანგე-

ლოზთა და წმიდანთანი. გიხარ-

დ. კურთხეულ არს ჟამი იგი, ჵ ქალწულო მარიამ, რომელსა შეწყნარებული იქმენ იგოდენი პატივს-ცემითა ცათა შინა. გიხ.

ე. კურთხეულ არს ჟამი იგი, ჵ ქალწულო მარიამ, რომელსა დასჯედ მარჯვენით ძისა შენისა ცათა შინა. გიხაროდენ.

ვ. კურთხეულ არს ჟამი იგი, ჵ ქალწულო მარიამ, რომელსა იქმენ დაგჳრგჳნებული ცათა შინა იგოდენი დიდებითა. გიხარ.

ზ. კურთხეულ არს ჟამი იგი ჵ ქალწულო მარიამ, რომელს იწოდე ასულად, დედად, და სძლად ღვთისა ცათა შინა. გიხ

ჱ. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
განწესდი უპირატეს დედუფლად
ცისა და ქვეყნისა. გიხაროდენ.

თ. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
თაყვანის-ცემულ იქმენ ყოველთა
ნეტარელთა სულთაგან სასუფე-
ველისა. გიხაროდენ.

ი. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
განწესდი ჩვენს მეოხედ ცათა
შინა. გიხაროდენ.

ია. კურთხეულ არს ჟამი იგი,
ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა
დაიწყე მეოხება და შუამდგომ-
ლობა ჩვენთჳს ღმერთთან ცათა

შინა. გიხაროდენ.
ეროვნული ბიბლიოთეკა
იბ. კურთხეულ არს ჟამი იგი, ჵი ქალწულო მარიამ, რომელსა ღირსი უნდა გვყო ჩვენ ყოველნი შეწყნარებისა ცათა შინა.
გიხაროდენ და სხვა.

ა. აღმაღლებულ იქმნა ქალწული მარიამ ცათა შინა უხარისთ ანგელოზთა.

მ. და აკურთხებენ ქებითა უფალსა.

### ვილოცოთ.

გევედრებით, უფალო, მოგჳტევენ ბრალნი მონათა ამათ შენთა, რათა რომელნი საქმითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუენითა ვერ გეყოფით შენ[illegible]
თნოდ, მეოხებითა მშობლისა
ძისა შენისა და უფლისა ჩუენისა
ვსცხონდეთ, რომელი შენთანა
ცხოველ არს და სუფევს უკუნითი
კუნისამდე, ა მ ი ნ.
სახიერისა ძისა თჳსისა თანა
ვაკურთხოს ჩვენ ქალწულმან
არიამმან, ა მ ი ნ.

ლოცვა უწინარეს ფიქრის
ლოცჳსა სათქმელი.

მრწამს უფალო, რომ ჳთარცა
ანუზომელობითა შენითა ხარ
ენ ყოველს ადგილსა, ესრეთვე
მყოდ იპოები აწ აქაცა ჩემს

წინაშე და განიცდი გულსა და თი-
რკმელსა ჩემსა. გევედრები სიმ-
დაბლით მომეც მადლი ნაყოფი-
ერად შესრულებისათჳს ამ ფი-
ქრის ლოცჳსა ჩემისა, განანათ-
ლე გონება ჩემი, აღჰსძარ გული
ჩემი, და განაძლიერე ნება ჩემი,
რათა გიცნა, შეგიყვარო, და გე-
მსახურო შენ მარადის. ჳცნა
ნაკლებულობანი ჩემნი, და მოვ-
სპო იგინი ჩემგან, ჳცნა ნება შე-
ნი და აღვასრულო იგი ყოვლი-
თურთ მეოხებითა წმიდისა ღვ-
თის მშობლისა და ყოველთა
წმიდათა შენთა. ამინ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გალობა სული წმიდისა.

მოვედი, სულო წმიდაო,
და მოგვფინე ჩვენ შენისა,
ზეციდგან სხივნი ნათლისა.
მოვედ გლახაკთა მამაო,
მოვედი მადლთა მომცემო,
მოვედი გულთა ნათელო.
და ნუგეშინის მცემელო,
სულთ ზეციერო სტუმარო,
და ტკბილად მაგრილებელო.
განსვენებაო მშრომელთა,
დიდო შვებავ მწუხარეთა,
და სიხარულო მტირალთა.
ჰოი! ნეტარელო ნათელო,
აღავსე სიხარულითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნი მორწმუნეთა შენთა
განჰბანე მათი მწიკული,
მორწყე ჯნც არის ურწყული,
განჰკურნე ჯნც არს სნეული.
დაარბილე ჯნც ფიცხელი,
განახურე ჯნც არს გრილი;
განაძლიერე უძლური.
თჳნიერ შენის მადლისა;
არა აქვს კეთილი კაცსა.
არცადა ნიჭი სიბრძნისა.
მოეც მორწმუნეთა შენთა,
შენდამი მსასოებელთა,
ნიჭნი შვიდთა მადლთა შენთა.
მოეც ღვაწლთა სასყიდელი,
ყოველთ კეთილი სიკვდილი,
და ზეცის სასუფეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვა შეწუხებაში მყოფი მო-
ყვასთვის ასაღორძინებლად იმედ-
ხეულებისა თჳსისა ღვთისა მიმართ.

ღმერთო ჩემო, მამაო მოწყა-
ლებისაო და მოუკლებელო წყა-
როვ ყოვლისა ნუგეშინის ცემი-
საო, თუმცა კი ყოველს კერძოდ
გარე შემოუცჳვარ მე ნაირ ნაირ
შეწუხებასა, ჴოთამცა, სნეულებასა,
დღითი დღე ზიანსა, და მარცხსად
წასვლასა საქმეებისა ჩემისასა,
დიდ დიდსა განსაცდელებსა, და
ამიერით ჴმყოფები გამოუთქმე-
ლს ჯავრსა, შეწუხებასა, შეჭი-
რვებასა, და ზღვასა შინა ყოვე-
ლი სახის უბედურობისასა ეგო-

დნად, ჳდრელა თითქმის ასწლ[illegible] ვარ აგერ დალუპვაზედ, მაგრამ მაინც ამიების შეხედჳთ არ მინდა რომ დავჰკარგო მხნეობა და იმე-დნეულება, არამედ უწინდელზედ ახლა უფრო მეტად დიდი იმედი მაქვს მე შენგან და მოვნდობივარ მას ყოვლად ტკბილს მოწყალე-ბასა შენსა, რომელიც არის მა-რადის დაუსრულებელი და მოუკ-ლებელი, და თანვე ჳცი ხარ შენ განუზომელად კეთილი, გამო-თქმელად გულ მოწყალე და ფრი-ად მოყვარული ჩვენი. და თუმც კი ფრიად დიდი ცოდჳლი ვარ მე, მაგრამ ამითიც არ ჳქმნები უი-მედო შენგან, რადგან შენი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალობა უფრო დიდია ჩემს ცოდ-
ვებზედ, რომლებზედაც ვნან-
ობ დიდად ჭეშმარიტის გულითა
შენის შეწყენისათჳს და გპირდე-
ბი მტკიცედ ამიერით არღარაო-
დეს შეცოდებასა მადლითა შე-
ნითა.

უფალო, ეგრედ დიდი იმედი
მაქვს მე შენგან, ჯდრედა თუმც
მენახე შენ ხმალი ამოღებული და
მოსული მოსაკლავად და ლუკმა
ლუკმა ასაკეფავად ჩემი, მაინც
კიდევ იმედს ჳქონიებდი მე შე-
ნგან, რომ შემდგომ ეგრედ აკე-
ფისა და აკუწჳსაცა ჩემი, ხელმე-
ორ გამაცოცხლებ შენ მე, ჳთა-
რცალა ხელმეორ შეგიძლია გა-

ცოცხლების. და თუმცა [illegible]
გზის ხელმეორედ მოქცეულ იყ
შუა განსაკვეთად და ასაკუწავად
ჩემი, მაინც კიდევ უიმედო არ
ვქმნებოდი მე შენგან, არამედ
ყოველს გზის გესავდი შენ და
მექმნებოდა იმედი რომ შემ-
დგომ ეგრეთ აკუწჳსა და არა რა-
ჲად გარდაქცევჳსა ჩემისა, გან-
მეორებით მოიქცეოდი შენ გა-
საცოცხლებლად და განსამრთელე-
ბლად ჩემი; რადგან შენა ხარ ის,
რომელიცა ჰგვემ და განამრთე-
ლებ, დაამდაბლებ და აღამაღლებ,
მიუშვებ მიჳდეს ჯოჯოხეთის
ბჭირამდისინ და მოწყალებითა შე-
ნითა მოიყვან ისევ სასუფეველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზედ და შემდგომ ღელვისა
ამყუდროებ ყოველსა შენსა
ოფის, ჵი ღმერთო ჩემო მა-
აო, ძეო, და სულო წმიდაო.
შენ გესავ უფალო, არ შევრცხვე
უკუნისამდე, რამეთუ უკუნისამდე
არს მოწყალებას შენი, ღმერთო
ჩემო და ყოველო კეთილო და სი-
ყუთეო ჩემო.

ლოცვა კვანდად შეწუხებაში
ოფი პირისათჳს წმიდისა ღვთის
მშობლისა მიმართ.

ჵი ყოვლად წმიდაო დედუფა-
ლო და საყვარელო დედაო ჩემო
ქალწულო მარიამ, შესაძლებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლების. და თუმცა ბოროტ გზის ხელმეორედ მოქცეულ იყავ შუა განაკვეთად და ასაკუწავად ჩემი, მაინც კიდევ უიმედო არ ჳქმნებოდი მე შენგან, არამედ ყოვლის გზის გესავდი შენ და მექმნებოდა იმედი რომ შემდგომ ეგრედ აკუწჳსა და არა რაჲად გარდაქცევჳსა ჩემისა, განმეორებით მოიქცეოდი შენ გასაცოცხლებლად და განსამრთელებლად ჩემი; რამეთუ შენა ხარ ის, რომელიცა ჰგვემ და განამრთელებ, დაამდაბლებ და აღამაღლებ, მიუშვებ მიჯდეს ჯოჯოხეთის პირამდისინ და მოწყალებითა შენითა მოიყვან ისევ სასუფეველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

...აზედ და შემდგომ ღელვისა ...ამყუდროებ ყოველსა შენს ...რის, ჵ ღმერთო ჩემო მა-...მო, ძეო, და სულო წმიდაო. ...შენ გესავ უფალო, არ შევრცხვე ...უკუნისამდე, რამეთუ უკუნისამდე ...არს მოწყალებაჲ შენი, ღმერთო ...ჩემო და ყოველო კეთილო და სი-...კეთეო ჩემო.

ლოცვა ყოვლად შეწუხებაში ...ყოფი პირისათჳს წმიდის ღვთის...შობლისა მიმართ.

ჵ ყოვლად წმიდაო დედუფა-...ლო და საყვარელო დედაო ჩემო ...ქალწულო მარიამ, შესაძლებე-

ლი არ არის რომ ვერ-[illegible] მე წყალობისა შენგან, რამეთუ შენ ხარ ქმნილი დედად ღვთისა და დედუფლად ცისა და ქვეყნისა, ამისთჳს რათა შეეწიო გლახაკთა, საწყალთა, შეწუხებულთა და დაკარგულთა ცოდვილთა. და რამეთუ ხარ შენ ესრედ მოწყალე და ძლიერი შუამდგომელი და შესახიზარი ცოდვილებისა, შემიძლია მე დაჯჯერო რომ არ გნებავდეს შენ შეწევნა და დახსნა ჩემი ყოველი ჭირისა და შეწუხებისა ჩემისაგან, და ანუ თუ გნებავდეს დატოება ჩემი უფსკრულისა შინა ცოდვათა ჩემთასა?

რაოდენი და რაოდენი მადლი და

ალობა მიგინიჭებია შენ შე-
დებულთა და ცოდჳლთათჳს ?
ოდენი და რაოდენი უანგარიშო
სწაულები გიქმნია დღევანდლა-
დე, ჰყოფ დღესაც და უნდა ჰქმნა
ოლმე ამიერითაც ჳდრე ბოლო
ამართლის დღემდისინ ! რავდე-
ნი და რავდენნი დაგიხსნია შენ
ოდ დიდი განსაცდელებისაგან !
რავდენნი და რავდენნი გაგიკურნია
მომაკვდინებელი სნეულობისა-
გან ! რავდენნი და რავდენნი მკვ-
დარნი აღგიდგენია მკვდრეთით !
რავდენნი და რავდენნი ცოდჳლები
მოგიქცევჲა ჯოჯოხეთის გზისა-
გან ! და ამიების ქმნის შემდგომ
როგორღა შემიძლია დაჳჯერო

მე რომ არ გნებავდეს შენ შეწევნა და განთავისუფლებას ჩემი უბედურობათა ჩემთაგან ?

ჵი! ყოვლად მოწყალე დედაო, არ იქმნას მითხრა მე რომ რადგან ხარ შენ ეგრეთი უმადური და დიდი ცოდვილი, ამისთჳს ღირსი არა ხარ შესმენისა და წყალობის მონიჭებისაო, ამიტომ რომ მართალია თუმც კი ვარ დიდად უმადური, და ყოვლად ბოროტი ცოდვილი, ეგოდნად ჯდრედა ჩემისთანა ბოროტი და დიდი ცოდვილი არც ყოფილა ქვეყანაზე და არც იქმნება ამას იქით, მაგრამ მაინც რადგან ხარ შენ შესახეზარი და ავოქათი (შუამდგომ

ი) ყოველი საწყალი ცოდჳლი-
ა, ამისთჳს ვალი გაქვს მიჰელო-
ო, შეჰეწიო და მიმიღო მეცა
ქვეშე დედობრივ და მოწყალე
მფარველობისა შენისა.

მაშა სადამე, ჩ̃ო ყოვლად მო-
წყალე დედაო, ნუ ინებებ რომ
წარჳდე მე აქედგან თჳნიერ შე-
სმენისა შენგან ლოცჳსა ამის
ჩემისა, ნუ ინებებ ჰევედრები
რომ წარჳდე მე აწმყოობისა
ამის შენისაგან თჳნიერ განთავ-
სუფლებისა ჩემისა ფრიად სა-
შინელთა უბედურობათა ამათ ჩე-
მთაგან, ესოდენთა შიგნეულთა
თუ გარეულთა განსაცდელთა ჩე-
მთაგან და თჳნიერ მიღებისა შე-

ნგან უხვად იმ ყოველი მადლე-
ბისა, იმ შემწეობისა, იმ ნიჭე-
ბისა, და იმ წყალობაებისა, რო-
მლებისაცა დამჭირნე ვარ მე.

ჵი ყოვლად საყვარელო დედაო
ჩემო, შეისმინე ვედრება ესე ჩე-
მი და მომანიჭე ზემო ხსენებუ-
ლნი სათხოვარნი ჩემნი პატიჳს
შენისათჳს, პატიჳსათჳს ყოვლ-
ად საყვარელი ძისა შენისა იესო-
სი, წმიდისა წყლულებისა მისი-
სათჳს, დაუფასებელი სისხლისა
მისისათჳს, რომელიც დაღვარა
მან ჩემთჳს, ყოვლად საყვარელი
და ყოვლად მოწყალე გულისა
მისისათჳს, შოლტით ცემისა
მისისათჳს, ეკლით დაგჳრგჳნე-

ბის მისისათჳს, ყოვლად სამ-
წუხრო ჯვარს ცმისა მისისათჳს,
სულ ამაძავალობისა და სიკვდი-
ლისა მისისათჳს, ყოვლად უმა-
ნკო და უბიწო წიაღისა შენისა-
თჳს, რომელსა შინა იტჳრთე
იგი ცხრა თვესა.

ჵი ყოვლად მოწყალეო დედაო, გევედრები სიმდაბლით და ყოვლითა წადილითა გულისა ჩემისათა, განმათაჳსუფლე მე ყოველთა უბედურობათა, შეწუხებათა და განსაცდელთა ჩემთაგან. მოხედე მოწყალე თვალითა შენითა საცოდავ მდგომარეობასა ამას ჩემსა, წარუდგებელს ჭირსა და შეჳწროებასა ჩემსა, გამოუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალური ბიბლიოთეკა

ქმელს შეწუხებასა და შეჭირვება-
სა ჩემსა ეგოდენად დიდსა და სა-
სტიკსა ჯდრე რომ ვერღარ შე-
მიძლია გავუძლო მე ამათ და ვი-
ტჳრთო ესენი; რომლისათვის
ფრიად გევედრები დამიხსენ მე
ამათგან, განმარინე ამათგან და
განმათავისუფლე მე ამათგან, დე-
დაო ჩემო მარიამ! ყოვლად მო-
რჩილო ასულო საუკუნო მამი-
საო, ყოვლად დიდებულო დე-
დაო საუკუნო ძისა განხორციე-
ლებულისაო, ყოვლად საყვარე-
ლო და ყოვლად უბიწო სძალო
სულისა წმიდისაო, ცხოველო
ტაძარო წმიდისა სამებისაო,
ყოვლად ბრწყინვალე დედუფა-

ლო ცისა დ~ ქვეყნისაო, დედაო
მოწყალებისაო, უშიშარო შესა-
ხიზარო, შუამდგომელო დ~ მი-
სალტოლველო ყოველთა საწყა-
ლთა, ყოველთა შეჭირვებულთა,
დ~ ყოველთა ცოდვილთაო. მესა-
უნჯეო დ~ დამრიგებელო ყოველ-
თა მადლთაო. შენ კარგად იცი,
მოწყალე დედაო ჩემო, რომ რა-
ოდნათაც უფრო შეაგჯანებ გან-
თაჳსუფლებასა ჩემსა შეწუხებათა
ამათგან, იგოდნად უფრო აღორ-
ძინდება, ჩემშიდ იმედი რომ
შ აბა სრულად უნდა განმათაჳ-
სუფლო მე ამათგან, დ~ ამისთჳს
ვუწოდ ყოველთა განჩენილთა
მადლობელოდ შენდამი მარა-

304 შეწუხებაში სათქმელ[illegible] დის, როგორც თუ აწვე მოგე ნიჭებინოს ჩემთჳს და ყოველთათჳს ყოველი მადლი და წყალობა სულიერი თუ ჴორციელი, რომელნიცა აღუმატებენ დიდებასა ღმრთისა და არიან სასარგებლონი ცხოვნებისათჳს სულისა ჩემისა და სულთათჳს მოყვასთა ჩემთასა, უკუნითი უკუნისამდე.

საგანნი, რომელნიც უნდა იცოდეს ყოველმან ქრისტიანემან ზეპირად.

მამაო ჩვენო. იძიე ზემორედ 7.
გიხაროდენი. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრწამსი 9 . საქმე სარწმუნოებისა , იმედისა , სიყვარულისა , და სინანულისა . 18 . 22 .

ათნი მცნებანი ღვთისანი .

ა . მე ვარ უფალი ღმერთი შენი , და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე .

ბ . არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა .

გ . მოიხსენე დღე იგი შაბათი, და წმიდა ჰყავ იგი : ესე იგი , კჳრანი , და ბრძანებულნი უქმე დღენი .

დ . პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა რათა კეთილი გეყოს შენ , და დღეგრძელ იყო ქვე-

ყანასა ზედა.

ე. არა კაცი ჰკლა.

ვ. არა იმრუშო.

ზ. არა იპარო.

ჱ. არა ცილი ჰსწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

თ. არა გული გითქმიდეს ცოლისათჳს მოყვასისა შენისა.

ი. და არცა ყოვლისა მისთჳს რაჲცა იყოს მოყვასისა შენისა.

ექვსნი ბრძანებანი წმიდისა ეკკლესიისანი.

ა. კჳრათა და უქმე დღე სასწაულთა შინა წირჳს მოსმენა.

ბ. განწესებულთა დღეთა შინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხვა ანუ მარხულობა ბრძანე-
ისა ებრ წმიდა ეკკლესიისა.

გ. წელიწადში მაინც ერთ
ზის აღსარების თქმა.

დ. აღდგომის დღეებშიდ ზია-
რება.

ე. ყოველი მოსავლისა, და
მონაგებისაგან ათის თავს მიცე-
მა საეკლესიოდ.

ვ. უწესო დღეთ ქორწილის
უქმნელობა.

შვიდნი საიდუმლონი წმიდისა
ეკკლესიისანი.

ა. ნათლის-ღება.

ბ. მირონის ცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. აღსარება გინა სინანული.

დ. ზიარება.

ე. მღვდელობა.

ვ. ქორწინება.

ზ. ბოლო ზეთის ცხება გინა ზეთის კურთხევა.

შჳდნი თავნი მომაკვდინებელნი ცოდვანი.

ა. ზვაობა გინა ამპარტავნება.

ბ. ანგაარება გინა ხარბობა.

გ. სიძვა გინა მეძაობა.

დ. მრისხანება გინა ჯავრისნობა.

ე. ნაყროვანება გინა ლოთობა

ვ. შური გინა ძჳრის ხსენება.

ზ. ზარმაცობა გინა ზანტობა

განდობის დამზადებისათჳს.

კ. კარგი აღსარების თქმისათჳს რა უნდა ჰქმნას კაცმან?

მ. პირველად უნდა შეევედროს ღმერთსა, რათა მისცეს მადლი კეთილად აღსარების თქმისა, და მის მერმედ უნდა გამოიძიოს თჳსი გულის ტანჯვა, ჳთამც ფრთხილი, და გულს მოდგინე მოფიქრებითა მოიგონოს თჳსი მოქმედებულნი ცოდვანი, თუ ფიქრისა, და თუ სიტყჳსა თუ საქმისა, და თუ გარდამავალობისანი.

მეორედ, როდესაც გულის ტანჯვას გამოიძიებს, მაშინ უნდა ჰქმნას სინანული, ჳთამც, უნდა ჰსწუხდეს და ნანობდეს გულით ყოველს თაჳს ცოდვებზედა, ამ მიზეზებისათჳს რომ იმ ცოდვებით შეუწყენია, და განუმწარებია ყოვლად კეთილი, ყოვლად სახიერი და ყოვლად საყვარელი ღმერთი, დაუკარგავს სასუფეველი, უჴოკნია საუკუნო ჯოჯოხეთი, და შექმნილა ღირსი წარწყმედისა, და რადგან ცოდვებითა ამდენი ზიანი მიუცია თაჳსი სულისათჳს, ამისთჳს უნდა მოიძულოს კაცმან ყოველი თაჳსი ცოდვები, და შეინანოს რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგინი უქმნია.

მესამედ, როდესაც სინანულს გათავებს; მაშინ პირობა უნდა დასდვას ვითამც მისცეს მტკიცე ჲ მაგარი პირობა ღმერთსა იმიერით არღარა ოდეს შეცოდებისა; ჲ იქონიოს მტკიცე აზრი ჲ ჭეშმარიტი ნება სიცოცხლის გასწორებისა, ყოველთ ცოდვათაგან კელის აღებისა, ჲ ცოდჳს ახლო მყოფ მიზეზთაგანაც მოშორებისა.

მეოთხედ, როდესაც იქმს, ჲ დაასრულებს ამ ნაირად გულის ტანჯჳს გამოძიებასა, სინანულსა, ჲ პირობის დადებასა, მერმედ უნდა მიჳდეს გაენდოს, ჲ

აღჳაროს აღსარებაში ყოველნი თჳსნი მომაკვდინებელნი ცოდვანი, მათი სათვალავთა რა ნაირათაც რომ ახსოვდეს და კვალად რასაც განდოს მამა დაჰკითხავს ცოდვების გარემოებათა გამოძიებისათჳს ყოველივე ჭეშმარიტებით უნდა უპასუხოს.

ხოლო ჳნც არ იქმს ანუ გულის ტანჯჳს გამოძიებასა, ანუ სინანულსა, და ანუ პირობის დადებასა, და ისრე განდობას, და ანუ თუ აღსარებაში დამალავს რომელსამე მომაკვდინებელს ცოდვასა, იმასი განდობა ტყჳლი და ფუჭი იქმნება. და ამგვარი განდობითა იგი არა მარტო ვერც ერთი ცო-

დჳს შენდობას ვერ მიიღებს, არამედ შესცოდავს სხვა ახალი და საშიშარი წმიდა წაპილწჳს ცოდჳთაც: ამისთჳს საჭიროა არის რომ ის იმფერი ტყჳლი აღსარება ხელმეორედ ჰსთქვას მან კეთილის დამზადებითა, და მასთან ერთად დაახელმეოროს თანვე ის გავლილნი აღსარებანი, რომელნიც უთქვამს მას იმ ურიგო აღსარების შემდგომ, ჳდრე მისი ხელმეორედ კეთილად თქმამდისინ, რადგან ყოველნივე ფუჭნი ყოფილან იგინი, იმ პირველი ურიგოდ ნაქმნარი აღსარების მიზეზითა, და თანვე აღჳაროს თუ რომელი ცოდვა დაუ-

მალავს, და არა დამზადებულ[illegible] უკლიას იმ ურიგოდ თქმულთ აღსარებათა შინა?

მეხუთედ, რასაც საკანუნოს დაუნიშნავს მღვდელი, ის საკანუნო უნდა გარდაიხადოს, განდოს მამისაგან აღნიშნულს დროზედ. და თუ განდოს მამა დროს არ დაუნიშნავს, მაშინ რაოდნათაც შეეძლოს სწრაფად შეასრულოს იგი.

ლოცვა გულის ტანჯვს გამობიების უწინარეს სათქმელი.

მომივლინე უფალო მადლი და ნათელი შენი; რომლითაცა ვცნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჳნანო, დ მოჳძულო ყოველნი ცოდვანი ჩემნი დ ვაღჳარო იგინი გარკვეჳთ ჩემს მოძღვართან, უფლისა ჩვენისა იესო ქისტჱს მიერ. ა მ ი ნ.

საუკუნო წყაროვ ნათლისა, სულო წმიდაო, განაბნინე სიბნელე გონებისა ჩემისა, რომლით შემოუცავსთ იგი ბიწიერებასა დ სიბოროტესა ცოდვათა ჩემთასა; მომეც მადლი ღმერთო ჩემო, რათა მოჳგონო, შეჳნანო, მოჳძულო დ გავენდო კარგად ყოველნი ცოდვანი ჩემნი მისაღებლად შენგან მოტევებისა მათისა.

ქალწულო მარიამ, გევედრები

მომიმოვნე მე ღვთისაგან მადლი ჭეშმარიტი სინანულისა, პირო-ბის დადებისა, დ~ კეთილი აღსა-რების თქმისა, პატიჟსათჳს მწუხარებათა მათ, რომელნიც მიიღე შენ ჟამსა ვნებათა იესოსი ძისა შენისა. ამინ.

აქ ჰქმენ გამობიება გულის დანჯჯვსა, და შემდგომ სინანული და პირობის დადება.

საქმე სინანულისა უწინარეს აღსარებისა სათქმელი ყოვლითა გულითა.

ღმერთო განუზომელი სახიე-რებისაო, აჰა ფერხთა თანა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნთა დავარდომილი ვჰგიებ მე
თუმცა მართლიად განმცემელი,
ჲ განმეორებით შემაწყენელი შე-
ნი, არამედ მდაბალი გულითა
ვთხოულობ აწ შენგან, მოტევე-
ბასა, ჲ გევედრები რათა არა
განმაძიო მე პირისა შენისაგან,
რომელი არა შეურაცხ-ჰყოფ გუ-
ლსა დამდაბლებულსა « სული
შემუსვრილი, გული შემუსვრი-
ლი, ჲ დამდაბლებული ღმერთ-
მან არა შეურაცხ-ჰყოს »
(ფსალ. ნ.) გმადლობ უფალო
ჩემო, რომ დღემდე სულ-გრ-
ძელობით მომითმინე, არ მომ-
კალ ცოდვაში, ჲ არ მიმავლინე
ჯოჯოხეთად, ჳთარცა ღირს ჳ-

ყავ მე მისი . რომლისათჳს ვჰ-
დოვნებ რომ აწცა ნაყოფისათჳს
იესოსი ქრისტესი ძისა შენისა,
მომიტევებ მე დღეს ამა აღსრუ-
ბითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა,
რომლებითა . რადგან მომიგია
ჯოჯოხეთი , და დავიკარგავს სა-
სუფეველი , ამა მიზეზისათჳს
ვსწუხვარ და ვნანობ მათ ზედა.
მაგრამ არა ეგოდენად მოგებისა-
თჳს ჯოჯოხეთისა , რაოდენათაც
ვსწუხვარ მე უმეტესად მისთჳს
რამეთუ ცოდვებითა მით შემიწ-
ყენიხარ შენ ყოვლად სრული კე-
თილი ეგე . მიყვარხარ შენ ჩე-
დაუსრულებელო სახიერებაო , და
რადგან მიყვარხარ , ამისთჳს ვნა-

ნულობ ყოვლითა გულითა ჩემი-
თა, ყოველთა ცოდვათა ჩემთა
ზედა, რამეთუ მათითა შემიწყე-
ნიხარ შენ, შემიქცევჲა ზურგი
შენთჳს, შეურაცხ მიყოფია მად-
ლი და მეგობრობა შენი, და ერ-
თი სიტყჳთ ნებიერად დამიკარ-
გავხარ მე შენ. ვაჲ მე, ვაჲ მე,
და ნამეტნავად ვაჲ მე. მომიტე-
ვე უფალო სიყვარულისათჳს იე-
სო ქრისტესი ყოველნი ცოდ-
ვანი ჩეენი, რომელთა ზედა ვნა-
ნულობ ჭეშმარნტებით, და რო-
მელთაცა ჳძულებ, ვზიზღობ;
და შეურაცხ-ვყოფ ყოვლითა გუ-
ლითა უფროს ყოვლისა ბორო-
ტისაჳსან. ბოლოს ვნანულობ მე

არა მარტო მომაკვდინებელთა ცოდვათა ჩემთა ზედა, არამედ შესანდობელთა ცოდვათა ჩემთა ზედაცა; რადგან იგინიცა არიან შემაწყენელნი შენნი, და ვსდებ მტკიცე პირობას ამიერით არღარა შეცოდებისასა მადლითა შენითა. ჰე უფალო, რადგან ამიერით სიკვდილი უფრო მნებავს ჯერმცა კვალად შეცოდება შენი. ამინ.

კვალად საქმე სინანულისა.

ღმერთო ჩემო, რადგან ხარ შენ განუზომელი კეთილი. იძიე .22.

აქ მიახლოვდი აღსარების საი-
დუმლოსა .

## ლ ო ც ვ ა .

შემდგომ აღსარებისა სათქმელი.

საყუარელო ჩემო იესო, რაო-
დენად თანამდები ვარ მე შენი? რამეთუ ჯუარცუა ვსასოებ ნაყო-
ფისათჳს დაუფასებელისა სისხ-
ლისა შენისა მომეტევნენ მე დღ-
ეს. ყოველნი ცოდვანი ჩემნი; ვწირავ დიდს მადლობასა ამა-
ზედ. და ჳმედოვნებ მოჳდე ერთ
დღეს ცათა შინა: და ვაქო მარა-
დის გამოუთქმელნი მოწყალებანი შენნი, ღმერთო ჩემო თუმც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლიად დღედმდე მრავალ გზის დაგკარგე მე შენ ცოდვითა მაგრამ ამიერით არღარ მნებავს დაკარგვა შენი; ამისთჳს ამ დღიდგანვე მნებავს ჭეშმარიტებით გამოცვლა სიცოცხლისა ჩემისა. შენ ღირსად გეკუთვნის მრთლივად სიყვარული ჩემი, და მეც მნებავს ამიერითგან ყოვლითურთ შეყუარება შენი, და არ მნებავს ხილვა თჳსა ჩემისა განყრილად შენგან ოდესმე. ამისგამო ჳთარცა წეღანაც შემოგპირდი, ახლაც იმავე ნაირად ხელმეორ გპირდები მასვე, რომ ამიერით უნდა ჳრჩიო მე უმეტესად სიკვდილი ჳრემცდა შეწყენა შენი. ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანავე გპირდები ცოდჳს მიზე-
ზთაგანაც განშორებასა, და ხმა-
რებასა (ამა და იმა) საშუალობა-
თა რათა არდარ ჩავარდე მე ცო-
დვაში. მაგრამ იესოვ ჩემო, შენ
რომელი სცნობ უძლურებასა ჩე-
მსა, მომანიჭე მე მადლი კეთი-
ლად დაცჳსა პირობათა ამათ
ჩემთა ჳდრე სიკვდილადმდე, და
მოლტოლჳსაცა შენდამი ჟამსა
განსაცდელისა ჩემისასა. წმი-
დაო მარიამ რომელი ხარ დედა
ცოდველობაში გამძლეობისა,
შემეწიე მე, შენზედ დამიცს ყო-
ველი სასოება ჩემი. ა მ ი ნ.

ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოსა ზედა.

წმიდა ზიარება რა არის? არს ჭეშმარიტი ჴორცი, სისხლი და ღვთაება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ქვეშე პურისა და ღჳნის სახისა.

მაშ ჳნც წმიდა ზიარებას მიიღებს რაჲსა მიიღებს?

წმიდა ზიარების მიმღები მიიღებს ჭეშმარიტს ჴორცსა და სისხლსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, და თჳთ ცხოველსა იესო ქრისტეს სრულსა ღმრთისა და სრულსა კაცსა.

სეფის კვერი და ზედაში იგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწმედის უწინ რანი არიან?

განწმედის უწინ არიან იგინი პური და ღჳნო, მაგრამ ოდეს მღვდელი წმიდა წირვაშიდ წარმოსთქვამს წმიდა სიტყვებსა მათზედა, პურზედ «ესე არს ჴორცი ჩემი.» და ზედაშზედ «ესე არს სისხლი ჩემი». იმ დროს დასცხრებიან არსებანი პურისა და ღჳნისანი სრულიად, და გარდაიცვლებიან არსებასა ზედა ქრისტეს უწმიდესი ჴორცისა, და დაუფასებელი სისხლისა. ხოლო მუნ დაშთებიან მხოლოდ სახენი პურისა და ღჳნისანი, ვითამც, ფერი, სუნი, გემო, და სხვაც. რომლისათჳს იმიერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თჳთეულთა განწმედისთჳს [illegible] თუ პურის სახის ნაწილთა შორის, და თუ ღჳნის სახის წვეთთა შორის იმყოფების სრული და ცხოველი ქრისტე უფალი ყოვლის მპყრობელი ძლიერებითა თჳსითა. და ამისთჳს ოდეს მღვდელი განსტეხს სეფის კვერსა, მას ჟამს მხოლოდ პურის სახენი განიტეხებიან, და არა განიწილადების მით ჴორცი ქრისტესი და არც რაჲმე ევნების ქრისტე უფალსა.

წმიდა ზიარების მიღების უწინარეს რავდენი ნაირი დამზადება ესაჭიროების კაცსა?

სამ ნაირი დამზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. უზმა უნდა იყოს იგი შუა-
ღამიდგან წმიდა ზიარების მი-
ღებამდისინ.

ბ. კეთილის დამზადებითა გა-
რგი აღსარება უნდა ჰსთქვას, და
ქუნდეს გულის-ტანჯვა განწმე-
ნილი ყოველი მომაკვდინებელი
ცოდჳსაგან. და ვინც იქმნე-
ს რომელსამე მომაკვდინე-
ლს ცოდვასა შინა, და ეგრედ
მიიღებს წმიდა ზიარების საიდ-
უმლოსა, იგი ყოვლად მძიმე
ცოდვასა იქმს წმიდათა წაბილ-
წჳსა, და თავს სულის დასასჯე-
ლად მიიღებს მას იგი, ვითარცა
სიტყჳს პავლე მოციქული.
(კორინ. ია. 27-29.)

ზ. უნდა ჰსთქვას საქმენი სარ-წმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სიმდაბლისა, სინანულისა, და ნატჳრისა. რომლისათჳს ჰსთქვას მხურვალებითა შემდეგნი ლოცვანი ესენი.

## ლ ო ც ვ ა.

წმიდა ზიარების მიღების უწი სათქმელი.

მრწამს უფალო ჩემო იესო, რომ აწმყოდ იჳოები შენ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოსა შინა. იმედი მაქვს რომ მომმადლებ მე მოტევებასა ცოდვა

ჩემთანა, ჩემი სულის ცხონები-
სათჳს ყოველთა საჭიროთ მად-
ლთა, და საუკუნო ცხოვრებისა.
მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა
რამისაგან, უფროს თავისა და
ცხოვრებისა ჩემისაგან, რამეთუ
ხარ შენ განუზომელი კეთილი,
ყოვლად სრული, და ყოველი კე-
თილი. ამის გამო ვსწუხვარ
რომ გავლილს ცხოვრებასა შინა
ჩემსა არ შემიყვარებიხარ, არა-
მედ შემიწყენიხარ შენ ფრიად.
მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი
უფროს ყოვლისა ბოროტისა-
გან, და ვნანულობ მათ ზედა შე-
წყენისა შენისათჳს, მნებავს ამი-
ერით სამსახური შენი, ბრძანება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შენთა დაცვა, შეყვარება შენი
უკუნისამდე, და უმეტეს დაკარგ-
ვა ყოვლისა რაჲმისა და ყოველი
ჳიანი, ჯრემცა კვალად შეწყენა
შენი მადლითა შენითა. განატრ-
ობ უფალო, და ფრიად მსურის
მოსვლა შენი გულსა შინა ჩემსა,
მოვედ ჵი ცხოვრებაო ჩემო,
განწმიდე სული ჩემი, მომეც
წმიდა გამძლეობა, ნუ მიმიშვებ
და ნუ გამიმეტებ მე ოდესმე გა-
ნყრად შენგან ცოდჳთა, და ჟამსა
სიკვდილისა ჩემისასა ღირს მეყავ
რაჲთა სიწმიდით დაგავედრო შენ
სული ჩემი მეოხებითა წმიდისა
ღვთის მშობლისა, და ყოველთა
წმიდათა შენთა. ა მ ი ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ლოცვა წმიდა ზიარების მიღების უწინ .

აჰა უფალო მოვდივარ შენთან სიმდაბლით ჴთარცა სნეული, ზეციერს მკურნალთან, განსაკურნებლად სულის ჩემის და ჴთარცა გლახაკი მეუფესთან ცის და ქვეყნის განსამდიდრებლად სულის ჩემისა . მოვდივარ ერთ კერძოდ მონანული , დამდაბლებული და შერცხვენილი ცოდვათა ჩემთა , და მეორე კერძოდ სავსე სასოებითა განუზომელი მოწყალებისა მიმართ შენისა . ჰო ღმერთო სიყვარულისაო , აჰა ფერხთა თანა შენთა დავრდომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ვჰგიებ მე უფროს ყოვლისა უდიდესად სნეული და გლახაკი და გევედრები რათა შემაერთო მე შენთან, რომლითაცა შეჰქმნა გამოჩენილი მდიდარი, და წარჩინებული პირი წინაშე თვალთა შენთა. ჰყავ უფალო სასწაული ესე შესაბამი ყოვლის მპყრობელობისა, და სიყვარულისა შენისა. შენცა ჵი დედაო ჩემო მარიამ, მომეც მე აწ ძე შენი გლახაკსა ამას, რომელი ჯუარით ხელთა შენთაგან ვნატრობ მის მიღებასა, და არქუ მას ჯთარძედ მე შენი მონა ვარ, რათა იმანაცა უფრო დიდითა სიყვარულითა შემიტკბოს მე გულსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თჳსსა, მოვა რა იგი აწ დღეს ჩემთანა. ა მ ი ნ.

## ლოცვა წმიდა ზიარების შემდგომ სათქმელი.

განუზომელს მადლობასა გწირავ სახიერო უფალო ჩემო იესოვ, დიდისა წყალობისა ამისათჳს რომელ მე უღირსი ესე ღირს მყავ მიღებად ყოვლად წმიდა ჴორცისა და დაუფასებელი სისხლისა შენისა, და თჳთ ღმერთი ეგე მოხვედ დამკჳდრებად სულსა შინა ჩემსა. კურთხეულ არს მობრძანება შენი უფალო, სიმდაბლითა თაყვანის გცემ, და დიდის

წადილითა გულისა ჩემისათა მო-
გემთხვეჳ, და მოგესურჳლები შენ
ცხოვრებაო ჩემო, ამიერით არ-
ღარ მნებავს განშორება შენგან,
არამედ მარადის ცხოვრება და
სიკვდილი შენთან ერთად საუნ-
ჯეო ჩემო, გწირავ შენ სულსა
ჴორცსა ყოველსა ჩრახვასა ნა-
ტვრასა, სიტყვასა, საქმესა, და
მრთელს ცხოვრებასა ჩემსა, და
მნებავს ხმარება წარგება და ქმნა
ყოვლისა ამის ყოვლითურთ შე-
საყვარებლად, საამებლად, და სა-
დიდებლად შენდა, რადგან სხვა
არა რაისა ვნატრობ, გარნა მას
რათა ამიერით შეგიყვარო, და
განსიამოვნო შენ მარადის, ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თჳს გევედრები უფალო , შემ-
ყარ და დამაკავშირე მე სიყვარუ-
ლითა შენითა ეგრედ მტკიცედ ,
ჳდრელა არღარა ოდეს შემეძლოს
მე განყრა შენგან ; შესცვალე გუ-
ლი ჩემი და ჰყავ ესე ყოვლადვე
თანხმა ნებისა თანა შენისა . მო-
მანიჭე მე წმიდა ნათელი , შიში ,
და სიყვარული შენი და მადლი ნე-
ბიერი სიგლახაკისა , უბიწოები-
სა , მორჩილობისა , სიმდაბლი-
სა , სიმშჳდისა , მოთმინებისა ,
და ყოველთა ღვაწლთა რათა ყო-
ველნი დღენი ცხოვრებისა ჩემი-
სანი უცოდოდ და კეთილად გავა-
ტარო , და ბოლოს მეღირსოს მე
წმიდა სიკვდილი რათა რომ ამი-

ებით გასიამოვნო შენ გამოუთ-
ქმელო კეთილო, და ვაცხოვნო
სული ჩემი, ამისთჳს ვთხოუ-
ლობ შენგან ამ წყალობათა სა-
სოებით ღირსებისა შენისათჳს,
და საუკუნო მამისა შენისაგანაცა
სახელითა შენითა, და მეოხებითა
ყოვლად წმიდისა ღვთის მშობ-
ლისა, და ყოველთა წმიდათა. ეს-
რეთვე გევედრები უფალო, მო-
ანიჭე სოფელსა მშჳდობა, ეკკ-
ლესიასა შენსა ერთობა, მართა-
ლთა სიმტკიცე, ცოდჳლთა მოქ-
ცევა, კეთილის მყოფელთა ჩემ-
თა, და იმათ რომელთათჳსაც თა-
ნამდები ვარ მე ლოცვად, ყოვე-
ლი სულიერი და ჟამიერი კეთი-

ლი, ყოველთა ცოცხალთა უხვა
მოწყალებსა შენი, დ შენს მად-
ლში მიცვალებულთა საუკუნო
განსვენება. ა მ ი ნ.



## სხვა ლოცვა.

სულო ქრისტესო განმწმიდენ მე: ჴორცო ქრისტესო მაცხოვნე მე, სისხლო ქრისტესო დამიხსენ მე, წყალო გვერდის ქრისტესო განმბანე მე, ვნებაო ქრისტესო განმაძლიერე მე, ჵი სახიერო იესო შემისმინე მე, დაკოდილებათა შენთა შინა დამიცევ მე, განყრად შენგან ნუ მიუტევებ მე, ბოროტის მტერის გან დამითვარე მე, ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა შენდამი მომიწოდე მე, და მარჯვენით შენსა დამადგინე მე, რათა ყოველთა წმიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შენთა თანა გაქო და გადიდო-
მან, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სხუა ლოცუა.

ვითხოვ შენგან მე ყოვლად სა-
ხიერო უფალო იესო ქრისტევ,
რათა ვნება შენი მეყოს მე ძლი-
ერებად, რომლითა აღჯჭურნო-
დაცულ ჳქმნა, და დაფარულ. წყ-
ლულნი შენნი მექმნენ მე საზ-
რდოდ, და სასუმელად; რომლი-
თა განვძღე და ვსიამოვნებდე;
სხურება წმიდა სისხლისა შენი-
სა, მეყავნ მე განმწმედელად ყო-
ველთა ცოდვათა ჩემთა. და სიკვ-
დილი შენი იყავნ დიდებად ჩემ-

და, ⁊ ესენი იქმნან განსწმედად შვებად, სიმრთელედ ⁊ სიტკბოებად გულისა ჩემისა, რომელი ცხოველ ხარ ⁊ სუფევ უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

## სხვა ლოცვა.

მადლობასა შემოგწირავ შენ, ჰო უფალო წმიდაო, მამაო ყოვლის-მპყრობელო ღმერთო, რომელ-მან მე უღირსი ცოდვილი მონა შე-ნი, არა ჩემის ღირსებითა, არა-მედ საკუთარი სახიერებითა შენი-თა ღირს მყავ, განძღებად უძვირ-ფასესი ჴორცითა ⁊ სისხლითა ძი-სა შენისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა: აწ ვითხოვ უფა-

ლო რათა, ესე წმიდა ზიარება-
არა მექმნეს მე დასასჯელად,
არამედ მოსატევებელად ბრალთა
ჩემთა, მეყოს მე იარაღად სარ-
წმუნოებისა, და ფარად კეთილ
ზნეობისა, იქმნას ჩემდა შემმუ-
სვრელად შეცდომილებათა ჩემ-
თა და დამაშრეტობელად ყოველთა
ბოროტთა გულის თქმათა ჩემ-
თა, აღმაორძინებელად ჩემშიდ
სიყუარულისა, მოთმინებისა,
სიმდაბლისა, მორჩილობისა, და
ყოველთა ღუაწლთა; მფარველად
წინააღმდეგ ყოველთა ხილულთა
და უხილავთა მტერთასა, დამწ-
ყნარებელად აღძრულებათა ჩემთა
სულისა თუ ჴორცისათა; და შე-

მაერთებელად შენდამი, ო ღმე-რთო ჩემო, და მიმწევნელად იმა ნეტარელი აღსასრულისა ჩემისა-დმი. კვალად ჳთხოვ შენგან რა-თა იმა გამოუთქმელი სერობის შენისადმი ღირს მყო მე ცოდჳ-ლი, სადა იგი შენ ძისა შენისა და სულისა წმიდისათანა, ხარ ნათე-ლი ჭეშმარიტი, სრული მეყვა-რება, სიხარული და შუება სამა-რადისო, და ბედნიერება მტკიცე, იმავე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელი შენთან ცხოველ არს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

შემდგომად წმიდა ზიარების მი-

ღებისა ჯვარცმის წინ სათქმელი
სრული შენდობიანი ლოცვა.

ყოვლად კეთილო და ყოვლად საყვარელო ჩემო იესოვ, აჰა დავარდომილი წინაშე უწმიდესისა აწმყოობისა შენისა, გევედრები შენ ფრიად აღტყინებული და მხურვალე გულითა, რათა აღბეჭდო ჩემს გულში გრძნობანი სარწმუნოებისა; იმედისა, სიყვარულისა, სინანულისა, და წუხჳლისა ცოდვათა ჩემთა ზედა, და მტკიცე პირობის დადებისა ამიერიდან არღარ შეწყენისათჳს შენი; ამასთანვე სრული სიყვარულისა და ფრიადი გული მომწვაობი-

თა წარმოჲდგენ და გან[illegible]მე წმიდათა ხუთთა დაკოდილებათა შენთა, დაწყებით ეგრედ ჯთარცა ამბორის შენზედ, ჵი ღმერთო ჩემო, წმიდა წინასწარმეტყველი დაჳთი: « განხვრიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი. და აღრაცხეს ყოველი ძვალები ჩემნი » (ფსალმ. კა. 16.

ჱსთქჳ ერთი მამაო ჩვენო გიხაროდენი, და დიდება მამასა საჭიროებათათჳს წმიდისა ეკკლესიისა, და მოსაგებლად სრული შენდობისა.

აქ ჱსთქჳ სულის ანდერძი.

# სულის ანდერძი.

ღმერთო ჩემო, თუმც კი მტკიცედ ჳცი უნდა მოვჰკვდე, მაგრამ რადგან არ ჳცი თუ როდის, ამისთჳს მინდა ახლავე დავემზადო იმ დღისათჳს და ვქმნა ეს სულის ანდერძიც.

ა. მრწამს ყოვლად მტკიცედ საიდუმლო ყოვლად წმიდა სამებისა მამა, ძე, და სული წმიდა, თუმც კი სამი გვამი, მაგრამ ერთი მხოლოდი ღმერთი, რომელი მისცემს მუდამ მართალთა სასუფეველსა და ცოდვილთა ჯოჯოხეთსა; მრწამს რომ მეორე გვამი ჳთამც ძე ღვთისა. რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც არის უფალი ჩვენი იესუ ქრისტე განხორციელდა, ივნო დ მოკვდა დახსნისა ჩვენისათჳს. ამათ გარდა მრწამს კვალად ყოველი იგი რაჲცა ჰსწამს წმიდა ეკკლესიასა, რადგან შენ გამოგიცხადებია მისდაში ყოველი იგი, ღმერთო, რომელი არ მოატყუებ დ არც მოსტყუვდები: დ ამის გამო უფრო მტკიცენი არიან ყოველნი იგინი, ჳრემც თუ იგინი რაჲსაც თვალით ვჰხედავ დ რასაც ხელს შევახებ.

ბ. თუმც კი ღირსი ვარ მე ჯოჯოხეთისა, მაგრამ იმედი მაქვს განუზომელი მოწყალებისა შენისაგან უფალო, რომ ნაყო-

ვისათჳს ქრისტეს ვნებისა, მო-
მანიჭებ მე მოტევებასა ცოდვა-
თა ჩემთასა, კეთილს სიცოცხ-
ლეში გამძლეობასა და ბოლოს
დიდებასა სასუფეველისასა.

გ. მიყვარხარ შენ უფალო,
უფროს ყოვლისა რაჲმისაგან,
რადგან ხარ დაუსრულებელი კე-
თილი, და რადგან მიყვარხარ,
ამისთჳს ვსწუხვარ და ვნანულობ
ფრიად და გულით ყოველს ჩემს
ცოდვებზედ შეწყენისა შენისათ-
ჳს, ვსდებ მტკიცე პირობასაცა
ამიერით ჳრჩიო უმფრო სიკვდი-
ლი და ყოველი ზიანი, ჳრემცდა
შეცოდება შენი მადლითა შე-
ნითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. გმადლობ, იესოვ ჩემო, იმ ყოველი წყალობისათჳს, რომელნიც მოგინიჭებია ჩემთჳს და უფროსი ერთი მისთჳს რომ დაგიხსნივარ მე ვნებითა შენითა.

ე. ჳსაც კი შეუწყენივარ მე, მიმიტევებია გულით ყოველსა-თჳს სიყვარულისა შენისათჳს, იესოვ, და ბევედრები, მიანიჭე მათ კეთილი შენი. და ჳსთჳსაც მე შემიწყენია და ანუ რაიმე სახით შემიწუხებია იგინი, სიმდაბლით ვთხოულობ ყოველთაგან ბოდი-შსა და მოტევებასა.

ვ. ვნატრობ ჩემს სიცოცხლე-ში თუ სიკვდილის წამს მიღება-სა წმიდა საიდუმლოებისა გან-

დობისა, ზიარებისა, და ბოლოს
ზეთის ცხებისასა.

ზ. ვწყნარულობ ნებიერად უფალო ყოველს შეწუხებასა, სნეულობასა, და თჳთ იმავე სიკვდილსაცა, რომელთაცა მამივლენს მე ხელი შენი. უფალო, განაგე ჩემზედ და ყოველს ჩემს რაჲმეზედ მარადის გჳრედ, ჳთარცა სათნო ჰგეყოფის შენ, ოღონდა მომეც მე სიყვარული შენი და უცოდვო სიცოცხლეში მარად განმძლეობა და მეტს არა რაჲსა გთხოვ უფალო.

ჱ. მარიამ დედაო ჩემო, შემეწიე მე მარადის, და მეტადრე ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა. შე-

ეროვნული
მეწიე ამაზედაც რათა ვცოცხლდე მარადის ღვთის მადლში. შენ ხარ იმედი ჩემი, წმიდაო ღვთის მშობელო, და მფარველობის ქვეშე შენისა მნებავს მე სიცოცხლე და სიკვდილიცა. წმიდაო იოსებ, წმიდაო მიქაელ მთავარ ანგელოზო, ჩემო მფარველო ანგელოზო, შემეწიეთ მე მუდამ და უფროსი ერთი ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისასა.

თ. და შენ, ჰი საყვარელო ჩემო იესოვ, რომელმანც თავზედ აიღე იმფერი მწარე სიკვდილი ჯვარზედ, იმისთჳს რათა რომ მღირსებოდა მე კეთილი სიკვდილი შენს მადლში, ნუ დამი-

ტკვებ მე იმ საშინელს წამსა სი-
კვდილისა ჩემისასა, აგერ ახლა-
ვე მოგემთხვევ შენ სინანულითა
და სურვილითა, იმ ჯაზრით რო-
გორც თუ გემთხვევოდე შენ სი-
კვდილის წამსა. თუმცა ღირსი
ვარ მე ჯოჯოხეთისა, მაგრამ
მოვანდობ თავსა ჩემსა შენს გა-
ნუზომელს მოწყალებასა, და იმ-
ედი მაქვს შენი დაუფასებელი
სისხლის ღირსეულობისაგან,
რომ მეღირსება მე სიკვდილი
შენს მეგობრობაში, და მიჴლებ
შენგან კურთხევას, იმ წამსა
როდისაც რომ პირველ გზის
გიხილავ შენ ჩემს მსაჯულად სა-
ცალკეო სამართალშიდ. ჩემის

სიყვარულისათჳს დაკოდილო იესო, შენს ჴელშიდ გავედრებ ჩემს სულსა აწლაც ჲ სიკვდილის წამსაცა. შენ გესავ უფალო, არ ჳქმნა მაშინ დასჯილი საჯოჯოხეთოდ. « შენ გესავ, უფალო არ შევრცხვე უკუნისამდე. » ამისთჳს შემეწიე, უფალო, მუდამ, მაგრამ უფროსი ერთი ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისასა. შემეწიე რათა დავლიო მე სული შენს სიყვარულში, ეგრეთ რომ ბოლო ამოსუნთქვა ჩემი იქმნას საქმე სიყვარულისა შენისა, რომელმან გარდამიყვანოს მე სააქაოდგან საიქაოს შესაყვარებლად შენი უკუნისამდე სასუფეველსა შინა.

ი. იესოვ, მარიამ და მამა იო-სებ, შემეწიეთ მე ჟამსა სულ ამ-ომავალობისა ჩემისასა. იესოვ, მარიამ, და მამა იოსებ, თქვენ გწირავ თავსა ჩემსა, თქვენ შეი-ვედრიეთ სიკვდილის წამსა სული ჩემი.

აჰა რაც ამ სულის ანდერძშიდ გამოვაცხადე, ეს არის ბოლო-ნება ჩემი, და ჩემის სრულის ნე-ბით მინდა რომ ყოველივეცა გა-რედ აღსრულდეს ჳთარცა ვსთქჳ აქ. და თუ სხვა ნაირად ჳქმოდე-რაჲმეს (რომ ღმერთმან ნუ ჰქმ-ნას.) ან სნეულობის მიზეზით და ანუ ეშმაკის მოტყჳლებით, ახლა რომ ღვთის მოწყალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულს ჭკუაზედ ჯეროები, ვაცხა-
დებ და ვამტკიცებ რომ იმისთანა
რამეზედ მე არა ვარ თანახმა არა-
ოდეს, და არ მნებავს არა რაჲ
რაჲც ამ სულის ანდერძის, და
ღვთის წინამღდეგი იქმნება,
რომლისაგან ვევედრები ღმერ-
თსა დამიფაროს მარადის და არ
აღლოს კელი თჳსი ჩემგან.

რავდენიმე ტროპარნი და კონ-
დაკნი გინა მოკლე ლოცვანი მთა-
ვართა დღესასწაულთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

( შობისა უფლისა ჩვენისა იესო-ქრისტესი. )

რომელმან პირველ მოუწოდე წარმართთა, ჩჩჳლმან მწოლარემან ბაგასა შინა, და მოიყვანნე მოგვნი ვარსკულაჳსა მიერ საკვირველებით, რამეთუ არა იხილვებოდა საყდარი დიდებისა შენისა, არცა სკიპტრა სამეუფეო, არამედ სიმდაბლით გარდამოხედ ზეცით, რა არს უმდაბლეს ჳთარ ქვაბისა, და უუნდოეს ჳთარ მჩვრისა, რომელსა შინა ბრწყინჳდა ღვთაება შენი მდიდრად, საკჳრველთ მომქმედო უფალო დიდება შენდა.

ცოდვილი პირველ მთ...
მამისაგან იშვა უდედოთ ქვეყანა-
სა ზედა უმამოდ განკაცნა დღე
შენგან, რომელსა ვარსკვლავ-
ახარებს მოგვთა, ჩოლო ანგე-
ლოზნი მწყემსთა თანა დიდები-
მეტყველებენ, უთესლოსა შობი-
სა შენსა ღვთივ-მიმადლებულო

(წინნა დღესწეთისა ფეხლისა ჩვე-
ნისა იესო ქრისტესი.)

რომელი საყდართა ზედა ცე-
ხლის ფერთა, მადლთა მი-
ბჯდომარე იყავ თანა დაუსაბამო-
სა მამისა და სულისა წმიდისა
სათნო იყავ შობად ქვეყანასა ზე-
და ქალწულისა უქორწინებელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა დედისა შენისაგან იესოვ, ამისთჳსცა მერვესა დღესა წინადაცვეთა თავს იდევ ჯუარცა გაცმან, დიდება სახიერსა განზრახვასა შენსა, დიდება განგებულებასა შენსა, დიდება გარდამოსვლასა შენსა, მხოლოო კაცთმოყუარე.

(გამოცხადებისა ტროპრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.)

რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ უფალო, მაშინ სამებისა თაყვანის ცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა. და საყვარელად ძედ სახელ გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამტკიცებდა, სიტყვისა მის ერ-თომელობასა, რომელი განსცხა-დენ ქრისტე ღმერთო, და სოფე-ლი განანათლე დიდება შენდა.

(დიდი პარასკევსა.)

ჳფალო სიკვდილ დაგესაჯეს ჰურიათა ცხოვრება ეგე ყოველ-თა, რომელთა მეწამული ზღვ-ა კვერთხითა წიაღვლე, ჯვარს შეგმსჭვალეს შენ და რომელ-კლდისაგან სმიდეს თაფლსა მა-ნაღველი მიგიპყრეს შენ, არამე-ნეფსით დაითმინე, რათა ჩვენ განმათაჳსუფლენ მონებისაგან მტერისა, ქრისტე ღმერთო დი-დება შენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქმენ ცხოვრება შორის ქვეყა-
ნისა, ქრისტე ღმერთო ჩვენო
ჯვარსა ზედა რა უხრწნელნი ჴე-
ლნი შენნი განიპყრენ და შემოკ-
რიბენ ყოველნი წარმართნი, რა-
თა ღაღადებდენ უფალო დიდება
შენდა.

(წარდგომისა უფლისა ჩვენისა
იესუ ქრისტესი.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილისა დამ-
თრგუნველი, საფლავებისა შინა-
თა ცხოვრების მიმნიჭებელი.
ცისკარს მსთვსად მოჴდა მარი-
ამ მოყვასნებითურთ, და ჰპოვა
ლოდი იგი გარდაგორვებული,

და ანგელოზისაგან ესმა ხმა სა-
წადელი, ნათელსა შინა სამარა-
დისოსა მყოფსა მას, მკვდართ-
თანა რად ეძიებთ ჳთარცა კაცსა,
იხილენით დაფლჳსა მისისა სახ-
ვეველნი, და ყოველსა სოფელსა
უქადაგეთ, ჳთარმედ სიკვდილი
მოკლა მხსნელმან ჩვენმან და აღ-
სდგა დიდებით, ჳთარცა არს იგი
ძე ღვთისა, და მაცხოვარი კაცთა
ნათესაჳსა.

დაღაცა თუ ნებსით თჳსით, სა-
ფლავად შთახვედ, უკვდავო, არა-
მედ ჯოჯოხეთისა იგი ძალი და-
არღჳე და აღსდეგ ჳთარცა მძლე
ქრისტე ღმერთო, ხოლო მენე-
ლსაცხებელთა დედათა ხარებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭმადღე, და მოციქულთა მშჳ-დობა მიანიჭე, რომელმან დაცემულთა მიეც აღდგომა.

ქრისტე აღსდგა. გ. გზის.

აღდგომა ქრისტესი ვხილეთ, თაყვანის-ვსცეთ წმიდასა ამას უფალსა დიდებისასა იესოს, მხ-ოლოსა ღმერთსა ჩვენსა, და ესრედ ხმა ვჰყოთ ჯვარსა შენსა თაყვანის-ვჰსცემთ ქრისტე მეუ-ფეო და წმიდასა აღდგომასა შე-ნსა უგალობთ და ვადიდებთ რამე-თუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი, და ჩვენ შენსა გარეშე სხვა ღმერთი არა ვიცით, მოვედით ყოველნი მორწმუნენი, თაყვანის-ვჰსცეთ ქრისტეს ღვთისა ჩვენისა აღდ-

გომასა, რამეთუ აჰა ქვეყ[illegible] იწია ჯვრისა მიერ და აღდგომისა სიხარული ყოვლისა სოფლისა, მარადის ვაკურთხევდეთ ქრისტესა, და უგალობდეთ აღდგომასა მისსა, რამეთუ ჯვარცმა თავს იდვა ჩვენთჳს, და სიკვდილითა სიკვდილი განაქარვა.

ამაღლებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ამაღლდი დიდებით ქრისტე ღმერთო ჩვენო, და მხიარულ ჰყვე მოწაფენი, აღთქმითა მით სულისა წმიდისათა, განამტკიცებენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღვთისა მხსნელი სოფლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულ ჰყავ რა ცხოვრება ჩვენი, და ზეცისათა შეაერთენ ქვეყანისანი ამაღლდი დიდებით ქრისტე ღმერთო, რომელი არა სადა განეშორები, მხსნელო, არამედ ჰგიე განუშორებლად, და ეტყოდი საყვარელთა მათ შენთა; მე მხოლოვარ თქვენ თანა, და ვერ ჳნ შემძლებელ არს ვნებად თქვენდა.

სული წმიდის მოსვლისა.

კურთხეულ ხარ შენ ქრისტე ღმერთო ჩვენო, რომელმან ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინენ, მიჰფინე რა მათ ზედა ყოვლად წმიდა სული შენი, და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინადი-

რე კაცთ მოყვარე დიდება შენდა, რაჟამს იგი გარდამოხდა, და ენანი შეურივნა მიმოდაყვნა მადალმან ნათესავნი, ხოლო აწ რაჟამს ცეცხლისა ენანი, განუყვნა ერთბამად მიიყვანნა იგინი; ამისთჳსცა ერთობით ვადიდებდეთ სულსა ყოვლად წმიდასა, თანა სწორსა მამისა და ძისასა.

ფერის ცვალებაჲ იესო ქრისტესი.

მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო, და უჩვენე მოწაფეთა შენთა, დიდება შენი ძალისაებრ მათისა, და გამოგჳბრწყინნე ჩვენცა ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხე-

ბითა ღვთის მშობლისათა, ნათე-
ლისა მომცემელო უფალო დი-
დება შენდა.

მთასა ზედა ფერი იცვალე ქრი-
სტე ღმერთო, და რაოდენ ძალ-
ედვა მოწაფეთა შენთა, დიდება
შენი უჩვენე, რათა რაჟამს იხი-
ლონ ჯვარცმა შენი, და გულის
ხმა ჰყონ ჳთარმედ ვნება იგი ნე-
ბსით არს. და სოფელსა უქადა-
გონ ჳთარმედ შენ ხარ ჭეშმარი-
ტად ბრწყინვალება მამისა.

## შობა წმიდისა ღვთის მშობლისა.

შობამან შენმან ღვთის-მშობე-
ლო ქალწულო, სიხარული აუწ-
ყა ყოველსა სოფელსა, რამეთუ

შენგან აღმოგჳბრწყინდა მზე სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩვენი, დახსნა წყევა და მოგჳმადლა კურთხევა, და განაქარვა სიკვდილი, და მოგვანიჭა ჩვენ ცხორება საუკუნო.

იოაკიმ და ანნა ყვედრებისაგან უშჳლოებისა, ხოლო ადამ და ევა ხრწნილებისაგან და სიკვდილისა, განთავისუფლდეს უხრწნელო, დიდებულითა და პატიოსნითა შობითა შენითა, ამას დღესასწაულობს ერიცა შენი, თანამდებობისაგან ბრალთასა ხსნილნი ღაღადებენ შენდამი, ბერწი შობს ღვთის-მშობელსა, და მზრდელსა ცხოვრებისა ჩვენისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისა.

წინასწარმეტყველო და წინამორბედო ქრისტეს მოსვლისაო ღირსად ქებად შენდა ვერ შეძლებელ ვართ ჩვენ რომელნი სურვილით პატივს გცემთ შენ, რამეთუ ბერწობა დედისა და უტყვება მამისა დაიხსნა, დიდებულითა და პატიოსნითა შობითა შენითა, და განხორციელება სიტყვისა ღვთისა სოფელსა ექადაგა.

წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.

რომელმანმე დიდებამან არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიწყნარნა პყრობილად, ანუ რომელთა ეკკლესიათა არა ჰყავთ თქვენ მოძღვრად, დამასკო დიდად მოქადულ არს შენდამი პავლე, რამეთუ მის შორის მიიღე ნათელი, და რომი სისხლისა შენისა შეწყნარებითა მადლობის, ხოლო ტარსუ უმეტესად იხარებს მის შორის შობისა შენისათჳს, პეტრე სარწმუნოებისა კლდეო, და პავლე სიქადულო ყოვლისა სოფლისაო რომლით მოგედით ჩვენდა, და შეგვეწიენით ჩვენ

პეტრე მოციქულის ჯაჭვთა.

რომი არა დაუტევე, და ჩვენდა მოიწიე, ჯაჭვთა მათ მიერ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიცა შეგმოსნეს შენ, თავო მოციქულთაო პეტრე, რომელთაცა თაყვანის-ვსცემთ დ̃ გვედრებით მეოხებითა შენითა, მოგვფინე ჩვენ დიდი წყალობა.

კლდესა ქრისტესსა, დ̃ კლდესა სარწმუნოებისასა, ვაქებდეთ ერნო სიხარულით პირველ ქრისტეს მოსაყდრესა, რამეთუ მოუწოდს ყოველთა დღესასწაულობად ჴსენებასა საკჳრველსა, პატიოსანთა ჯაჭვთა მისთასა, დ̃ მისცემს ბრალთა შენდობასა.

### წმიდისა მარ̃კე მახარებელისა.

თხემისა მის მოციქულთასა პეტრეს მიერ სწავლულ იქმენ შენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიიღე მოციქულება ჭეშმარიტე-სი, და ჳთარცა რა მზემან კიდენი სოფლისანი განანათლენ, და იქ-მენ ალექსანდრელთა მშვენიერე-ბა ნეტარო და შენ მიერ ეგჳპტე იხსნა საცდურისაგან, და სახარე-ბათა შენთა მოძღვრებითა მსგა-ვსად ნათლისა განბრწყინდა ამისთჳს შენისა ხსენებისა პატი-ჳს მცემელნი ბრწყინვალედ ვდ-ღესასწაულობთ დაძინებასა შენ-სა, მარკოს ღვთის მქადაგებე-ლო, ევედრე ქრისტესა ღმერ-თსა რათა ცოდვათა შენდობა მოანიჭოს სულთა ჩვენთა.

## წმიდისა გიორგისა.

ტყუეთა განმათაჳსუფლებელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გლახაკთა ჴელისა აღმპყრობელ-
ლო, სნეულთა მკურნალო, და
მეფეთა უძლეველო წინა-მბრძო-
ლო, ღვაწლით შემოსილო დი-
დო მოწამეო გიორგი, ევედრე
ქრისტესა ღმერთსა, შეწყალე-
ბად სულთა ჩვენთათჳს.

მიცვალებულთა.

განუსვენე ქრისტე ღმერთო
მონათა შენთა მიცვალებულთა,
და დააწესენ იგინი სამოთხესა
მას საშუებელისასა, სადა იგი არი-
ან კრებულნი წმიდათანი და მარ-
თალნი ბრწყინვენ ჳთარცა მნა-
თობნი, რომელნი შეივედრენ სა-
სახიერ და აღხოცენ ცოდვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათნი .

კვირისა . ხმა . ჱ .

მაღლით გარდამოხედ მაცხოვარო ჩვენო, ჯვარცმა თავს-იდევე, სამისა დღისა დაფლვა, რათა ჩვენ განმათაჳსუფლენ ცოდვათა ჩვენთაგან, ცხოვრებაო და აღდგომაო ჩვენო, უფალო დიდება შენდა.

რომელი ჩვენთჳს იშვა ქრისტე ქალწულისაგან ჯვარცმა დაითმინე სახიერ, რომელმან სიკვდილითა სიკვდილი მოაკვდინე, და აღდგომა მოგვმადლე ჳთარცა ღმერთი ხარ, და ნუ უგულებელსჰყოფ რომელნი შეჰქმნეს ჴელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთა, არამედ აჩვენე კაცთ-მოყვარებაჲ შენი მოწყალე; და მიიღე რომელმან გშვა შენ ღვთისმშობლისაგან ვედრებად ჩვენთჳს, და აცხოვნე მაცხოვარო ჩვენო ერი განწირული.

აღრასდეგ მხსნელო საფლაჲთ, და მკუდარნი აღადგინენ საფლავთაგან, და სიმტკიცეჲ სიკვდილისა შემუსრე, და ადამ განაცხოველე და ევა მხიარულ-ჰყავ აღდგომითა შენითა, ჳნაცა კიდენი სოფლისანი დღესასწაულობენ, მკუდრეთით აღდგომისა შენისა-თჳს, მრავალ მოწყალე ქრისტე ღმერთო დიდება შენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინასწარმეტყველთა .

წინასწარ-მეტყველისა შენისა (სახელი .) უფალო , სახსენებელსა ვდღესასწაულობთ მისითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნე სულნი ჩვენნი .

## მოციქულთა .

მოციქულნო წმიდანო ( სახელნი .) ევედრენით მოწყალესა ღმერთსა რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს , და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა .

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მღვდელთ მთავართა .

კანონად სარწმუნოებისა, და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოისა შენისათვს ჭეშმარიტებითა, ამის-თვსცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე, და სიგლახაკითა სიმდიდრე, წმიდაო მღვდელ-მთავარო (სახელი.) ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვს.

## ტროპარი მოწამეთა .

მოწამეთა შენთა უფალო (სახელნი.) ღუაწლსა შინა თვსსა გვრგვნი მოიგეს უხრწნელებისა შენ მიერ ღმრთისა ჩვენისა, რა-

მეთუ აქუნდათ მათ შენ მიერი ძალი და მძლავრი დაამხვევს, და შემუსრეს კერპთა იგი უძლური ძალი, მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სულნი ჩვენნი.

მეუდაბნოელთა.

ცრემლთა მდინარითა უდაბნოჲ უქმი მოიმუშაკე, და სიღრმით სულისათ სულ-თქმითა ასეულად შრომანი ნაყოფიერ ჰყვენ, და იქმენ მნათობ, და განმანათლებელ სოფლისა საკჳრველებათა მიერ მამაო წმიდაო (სახელი.) ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩვენთათჳს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯვრისთა.

შენ შორის საკვირველო მამაო, კეთილად დაცულ იქმნა ხატება, რამეთუ აღიღე ჯვარი და შეუდეგ ქრისტესა, და მოქმედი ასწავებდი შეურაცხ-ყოფასა ჴორცთასა, ჳთარცა წარმავალსა, ხოლო ღვაწლსა სულისასა, ჳთარცა უკვდავისა არსებისასა, რომლისათჳსცა ანგელოზთა თანა იხარებს სული შენი, ნეტარო (სახელი.)

## ქალწულთა.

ტარიგი შენი იესო (სახელი.) ხმობდა ხმითა მაღლითა, შენდა მსურის სიძეო ჩემო, და შენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებითა დავსოხევ სისხლითა ჩე-მითა, და თანა ჯუარს-ვეცმი, და თა-ნა დავეფლე შენდა ნათლის ღე-ბითა და მელმის შენ-თჳს, რათა ვსუფევდე შენთანა, და მოვსწყ-დები სახელისა შენისა-თჳს, რათა ჳდიდოცა შენთანა, არამედ ჳთა-რცა მსხვერპლი უბიწო მიმითვა-ლე, რომელი სურჳლით მოჳვლე-ტი შენდა, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სუ-ლნი ჩვენნი.

## გალობა ქრისტეს აღდგომისა

ჵი ძეო სიონისაჲ,
მეფე ცათა დიდებისა,
აღსდგა მკუდრეთით განთიადსა,
ალილუია, ალილუია, ალილე,
დღესა მასა ერთ შაბათსა,
მოადგნენ კარს საფლავსა,
გუნდნი მოწაფეთ დასისა,
ალილუია.
და მარიამ მაგდანელა,
იაკობისა სალომესთან,
მოჯდნენ გვამის საცხებლად,
ალილუია,
სპეტაკ სამოსლით მოსილი,
ჰრქუემდა დედათ ანგელოზი,

ეროვნული ბიბლიოთეკა
გალილიას არს ყოვალი,
ალლელუია .
და იოანე ისწრაფჳდა,
პეტრესა წინა რბიოდა,
მის ადრე საფლავს მიჳდა,
ალლელუია .
მარჩბივმან არა ირწმუნა,
იესო ქრისტის აღდგომა,
მის გამო იყო ეჭჳს შინა,
ალლელუია .
მოციქულნი რა ჴსხდნენ ერთად, შორის მათსა ქრისტე დადგა, ჰრქუა მშჳდობა თქუენ ყოველთა, ალლელუია .
მოჰყავ თომა თითნი შენნი,
და იხილე გვერდი ჩემი,
ნუ იქმნები უწამელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალილუია.

ოდეს თომამ ქრისტე ნახა,
ჴელ გვერდსა თითნი შეახა,
სთქვა ჩემი ღმერთი შენა ხარ,

ალილუია.

ნეტარ რომელნ არ ვხილო,
და სიმტკიცითა ირწმუნოს,
საუკუნოდ მან იცხოვროს,

ალილუია.

ამ წმიდა დღეს სასწაულში,
ვჰყოთ შვება და სიხარული,
ვაქოთ იესო აღდგომილი,

ალილუია.

წმიდა ზიარების გალობა.

უგალობდე ერსო დიდებულსა,

ჴორცისა საიდუმლოსა, და სის-
ხლისა უსასყიდლოსა, რომელი
ფასად ქუეყნისა, პატიოსანი
მუცლის ნაყოფი, კაცთა მეფემან
დასთხია,

ჩვენდა მონიჭებული, და ჩვენ
თჳს შობილი, უბიწო ქალწული
საგან, და სოფელსა შინა ქცეული
სიტყვათა თესლთა განფენით,
მწირობით ცხოვრება თვისი,
სასწაულითა დიდითა სრულჰყო,

ხოლო მწუხრსა დიდსა სერ-
ობასა, მოწაფეთა თანა ინახით
ჰსჯიდა, დამარხჳთა სჯულისა მის
სრულიად, ჭამითა მით მცნებისა
ებრ, ხოლო საჭმელად ათორმ-
ეტთა მისცა ჴელით თაჳ თჳსი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვამან ჴორციელმან ჰქმნა პური სიტყჳთა ჴორცად თჳსად, და იქმნა ღჳნო სისხლად ქრისტესა, უკეთუ საგრძნობელთა აკლიან დასამტკიცებლად გულთა წრფელთასა, კმა არს მხოლოდ სარწმუნოება,

აწ ესოდენს დიდსა საიდუმლოსა, დავრდომით თაყვანი ვსცეთ, და პირველმან განწესებამან, ახალს წესსა ადგილი ჰსცეს, რაჲც უკმდეს საგრძნობელსა, სარწმუნოებამან აღავსოს იგი.

მშობელსა და შობილსა, ეყავნ ქებით ღაღადება, პატიჳთა თაყვანისცემა, კურთხევაჲ და გალობა და გამომავალსაცა მათ ორთაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა
დიდება ეყავნ თანასწორ მამა-თანსა : ამინ.

## წირვას შემდგომ დიდებაზედ.

გაქებთ შენ ღმერთსა მაღალსა : აღგიარებთ შენ უფალსა.

ვითარცა მამასა საუკუნოსა : ყოველი ქვეყანა თაყვანის გცემს შენ.

შენდამი ღაღადებენ ყოველნი ანგელოზნი : ცანი და ყოველნი სლდრობანი.

შენდამი ღაღადებენ სერაბიმნი და ქერაბიმნი : დაუკლებელის ხმითა მეტყველნი :

წმინდა ხარ, წმინდა ხარ წმინდ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ხარ : უფალი ღმერთი საბაოთ :
სავსე არიან ცანი და ქვეყანა : დიდებითა შენითა .

დიდებულნი დასნი : მოციქულთანი .

ქებულნი რიცხვნი : წინასწარმეტყველთანი .

და სპეტაკ სიმრავლე აღმსარებელთა : გიგალობენ შენ .

ზედა ყოველსა სოფელსა : წმიდა ეკკლესია აღგიარებს შენ .

რომელი ხარ მამა : განუზომელისა დიდებისა .

დააუარებს პატიოსანსა და ჭეშმარიტსა : მხოლოდ შობილსა ძესა შენსა .

და ნუგეშინის-მცემელსა : წმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასა სულსა :

ქრისტევ : შენ ხარ მეუფევ დიდებისა .

შენ ხარ : საუკუნო ძე მამისა .

შენ მიდებითა ბუნებისა მის დამხსნელისა : არა ჰრიდე საშოსაგან ქალწულისა .

შენ შემუსრენ ისარნი სიკვდილისანი : დ҃ განახვენ მორწმუნეთათჳს სასუფეველი ცათა .

შენ ზიხარ მარჯვენით ღთისა : დიდებასა შინა მამისასა .

გვრწამს : ჳთარმედ მოსასვლელ ხარ მსაჯულად .

შევე ვევედრებით შეეწიე ჩვენ მონათა შენთა : რომელნი პატიოსანნი სისხლითა შენითა

დაიხსენ .

ბრძანე რათა აღვრაცხოთ : წმიდათა შენთა თანა დიდებასა შინა საუკუნოსა .

აცხოვნე ერი შენი უფალო : და აკურთხენ სამკჳდრებელი შენი .

დამწყსენ იგინი : და აღამაღლენ უკუნისამდე .

დღითი დღე : გაკურთხევთ შენ .

და უგალობთ სახელსა შენსა : უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე .

იკადრენ უფალო : ჩვენი დღესა ამასა უცოდველად დაცვად .

მოწყალეყვენ ჩვენ უფალო : მოწყა-

ლენ ჩვენ .

იყავნ მოწყალებაჲ შენი ჩვენ-ზედა უფალო : ვითარ გესავთ შენ .

შენ გესავთ უფალო : არ შევ-რცხვეთ უკუნისამდე . ამენ

ღვთის მშობლის გალობა

გიხაროდენ , ვარსკვლავო ზღუ-საო ,
ღთის დედაო და მაღალო ,
და მარადის ქალწულო ,
ძლიერო და ცისკარო .
რომელმან ისმინა გიხაროდენ
პირითა გაბრიელისათა ,
და ჩვენ მშვიდობასა ზედა გვა-ფუძენ ,

ეროვნული ბიბლიოთეკა
გამოცვლითა სახელისა შის ვასი[illegible]
განჰხსენ კრულება ცოდვილთა ,
მოეც ნათელი ბრმათა ,
განგვაშორე ბოროტება ჩვენი ,
ითხოვე ყოველი კეთილი .
გჳჩვენე რომელ დედა ხარ ,
რათა ისმინოს ვედრება შენ მიერ
ჩვენთჳს შობილმან , რომელმან
სათნო იყოს დამკვიდრება ჩვენ
შორის .
ქალწულო განსაკვირვებელო ,
ყოველთა შორის საწადელო ,
ჩვენ ცოდვათაგან ხსნილნი ,
გვყვენ მშვიდ და უბიწო .
მოგვეც ცხოვრებისა წმიდა ,
დაგვიმზადე გზანი უშიშრად ,
რათა ხილვითა იესოსითა ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადის შენთანა ჳმკვიდრდეთ.
ქებულ იყავნ ღმერთი მამა,
პატივცემულ ზეშთა ქრისტე,
და კურთხეულ სული წმიდა,
დიდება სამთა მათ ერთობასა.

## გალობა მიცვალებულთათჳს

დღე რისხვისა დღე სვრასავით
სოფელს აქცევს ნაცარ სავით:
სიბილლასთან მოწმობს დავით,
რაოდენი თრთოლა ქმნად არს,
ოდეს მსაჯული მოსვლად არს,
ყოვლის ფიცხად განკითხვად არს
საყვირი ხმას საკვირველსა,
მისცემს სოფლის საფლავებსა,
ტახტის წინ შემოჰკრებს ყველასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკვირობს ბუნება , სიკვდილი ,
აღსდგება რა გაჩენილი ,
მსაჯულის სიტყვს მგებელი .
წიგნი წერილი გაჩნდება ,
რომელშიდ ყველა იქმნება ,
რითა სოფელი განისჯება ,
მართლ მსაჯული ოდეს დას-
ჯდეს ,
ფარულს ყველას განაცხადებს ,
ურისხავს არას დასტოვებს ,
მე საწყალმან მაშინ რავქმნა ?
ან ჯნ ჩემს პატრონად წარვსთქვა?
მართალი განეროს ძლივს რა ?
შენ მეუფევ დიდებისა ,
მხსნელო თვინიერ სასყიდლისა ,
მიხსენ წყაროვ წყალობისა ,
ტკბილო იესოვ მიხსენ მე .

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ვნების მიზეზ ვარ მე ,
ნუ წარმწყმედ მას დღეს შინა მე
მეძიებდი მაშურალი :
ჯუარს-ცმით დამიხსენ საწყალი :
ნუ მექმნეს უქმ ეგე შრომ დღვაწლი.
მართლ მსაჯულო შურის გები-
სა: მომეც ნიჭი შენდობისა .
პირველ დღის მის განკითხვისა .
ვსწუხ ვითარცა შემცოდავი :
მიწის პირით დამნაშავი :
გლოცავ ღმერთო შემინდევი.
ოდეს მარიამი ახსენ ,
ავაზაკსაც უსმინე , შენ
მეც დიდი სასო მომმადლენ .
არ ღირს არს ჩემი ვედრება
გარნა შენ ჰყავ მოწყალებას ,
რა არ მქონდეს ცეცხლთა გზნება.

ცხოვართა შორის აღმრაცხე,
და თხათაგან შენშარიდე,
შენს მარჯვენით დამადგინე,
განიკითხავ რა წყეულთა,
მისცემ მწარე ცეცხლის ალთა,
მიწოდენ კურთხეულებთან,
ვევედრები პირ დახრილი,
ნაცრ ებრ გულით შემუსვრილი;
მომეც ტკბილი აღსასრული.
სატირელი დღე იქმნება,
რომელშიდ მიწით აღსდგება.
კაცი, და ჳსჯად განმზადდება,
ამას შეუნდევ ღმერთო:
ჵი კეთილო იესოვ ჳრთო,
და მიანიჭე ყოველთაც განსუენე-
ბა, ამინ.

ⴓⴔⴀⴊⴍ ⴙⴓⴄⴌⴍ ⴈⴄⴑⴓ ⴕⴐⴈⴑⴒⴄⴡ ⴋⴄⴓⴔⴄⴍ ⴃⴈⴃⴄⴁⴈⴑⴀⴍ, ⴃⴀⴈⴞⴑⴄⴌ ⴑⴓⴊⴌⴈ ⴗⴍⴅⴄⴊⴇⴀ ⴋⴍⴐⴜⴋⴓⴌⴄⴇⴀ ⴋⴈⴚⴅⴀⴊⴄⴁⴓⴊⴇⴀⴌⴈ ⴎⴀⴒⴈⴏⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴟⴍⴟⴍⴞⴄⴇⴈⴑⴀ ⴃ҃ ⴓⴖⴐⴋⴄⴑⴈ ⴒⴁⴈⴑⴀⴂⴀⴌ ⴋⴜⴀⴐⴡ ⴚⴄⴚⴞⴊⴈⴑⴀ ⴂⴀⴌⴀⴐⴈⴌⴄ ⴈⴂⴈⴌⴈ ⴀⴐⴀ ⴘⴇⴀⴌⴇⴕⴀⴑ ⴈⴂⴈⴌⴈ ⴒⴀⴐⴒⴀⴐⴍⴆⴋⴀⴌ, ⴃ҃ ⴀⴐⴀ ⴘⴇⴀⴚⴣⴅⴃⴌⴄⴌ ⴓⴔⴑⴉⴐⴓⴊⴑⴀ ⴋⴀⴑ ⴑⴈⴁⴌⴄⴊⴈⴑⴀⴑⴀ, ⴀⴐⴀⴋⴄⴃ ⴜⴋⴈⴃⴀⴋⴀⴌ ⴋⴈⴕⴀⴄⴊⴋⴀⴌ ⴜⴀⴐⴋⴍⴀⴃⴂⴈⴌⴄⴌ ⴈⴂⴈⴌⴈ ⴌⴀⴇⴄⴊⴑⴀ ⴘⴈⴌⴀ ⴜⴋⴈⴃⴀⴑⴀ ⴐⴍⴋⴄⴊ ⴎⴈⴐⴅⴄⴊⴅⴄ ⴀⴖⴓⴇⴕⴣ ⴀⴁⴐⴀⴀⴋⴑⴀ ⴃ҃ ⴌⴀⴇⴄⴑⴀⴅⴑⴀ ⴋⴈⴑⴑⴀ.

ⴘⴄⴑⴀⴜⴈⴐⴀⴅⴑⴀ ⴃ҃ ⴊⴍⴚⴅⴀⴑⴀ ⴕⴄⴁⴈⴑⴀⴑⴀ ⴘⴄⴋⴍⴂⴜⴈⴐⴀⴅⴇ ⴘⴄⴌ, ⴓⴔⴀⴊⴍ, ⴘⴄⴈⴜⴗⴌⴀⴐⴄ ⴈⴂⴈ, ⴑⴓⴊⴇⴀ ⴋⴀⴇ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავჳს რომელთა მოხსენებასა ვჰყოფთ ჩვენ დღესა ამას, და გარდაიყვანენ იგინი სიკვდილისაგან ცხოვრებად.

განსვენებას საუკუნო მიანიჭემათ, უფალო, და ნათლითა სამარადისოითა განანათლე იგინი, საუკუნოდ წმიდათა შენთა თანა, რამეთუ სახიერ ხარ.

მიხსენ მე, უფალო, საუკუნოსა სიკვდილისაგან, სათრთოლებელისა დღისა მისგან: ოდეს შეძვრად არიან ცანი და ქვეყანა: რაჟამს მოხვიდე განსჯად სოფლისა ცეცხლითა. თრთოლასა შეპყრობილვარ მე და მეშინის მოსვლა-

ღისა რისხჳსა მისგან რაჟამს მოხვალ შენ განსაკითხავად.

დღე იგი არს დღე რისხჳსა, დღე უბადრუკებისა და მწუხარებისა, დღე დიდი და ფრიად მწარე.

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ უფალო, და ნათლითა სამარადისოჲთა განანათლე იგინი.

კირიე ელეისონ. ქრისტე ელეისონ. კირიე ელეისონ.
მამაო ჩვენო. და სხვაჲ. და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

### ვ ე დ რ ე ბ ა.

ღმერთო, რომელი ბუნებითად ხარ მარადის შემწყალებელი და

შემბრალებელი სულთა, გევედრებით სიმდაბლიით სულისათჳს მონისა შენისა (სახელი.) რომლისა სოფლისა ამისაგან განსვლა ინებე დღეს, არა მისცე იგი ხელთა მტერთასა, და არცა სრულიად დაივიწყო იგი, არამედ ბრძანო, რათა შეიწყნარონ იგი წმიდათა ანგელოზთა შენთა და მიიყვანონ მამულსა შინა სასუფეველისასა, რათა რომელი გესჳდა, და ჰრწმენა შენი არ იტჳრთოს პატიჟნი ჯოჯოხეთისანი, არამედ დაიმკჳდროს საუკუნო სიხარული იგი სასუფეველისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. ა მ ი ნ.

სამოთხესა შინა აღგიყვანონ შენ ანგელოზთა ჵი მიცვალებუ-ლო სულო, დ̃ მისვლასა შენსა მუნ მიგიღონ შენ წმიდათა წამე-ბულთა, დ̃ მიგიყვანონ წმიდასა ქალაქსა შინა იერუსალემს. გუ-ნდთა ანგელოზთა შეგიწყნარონ შენ, დ̃ გლახაკს ლაზარესთან. გაქუნდეს საუკუნო განსუენება სულთა ყოველთა მორწმუნე მიცვალებულთასა მოწყალებითა ღმრთისათა განისუენონ მშჳდო-ბით. ა მ ი ნ.

დრჵმით აღმოდადად ვსჭვ, დ̃ სწვაც.

# სარჩევი.

გვერდი.

ძილიდგან გამოღჳძების დროს სათქმელნი ლოცვანი. ღმერთო ჩემო. მრწამხარ. გწუხვარ. იესოვ ჩემო. მამაო ჩვენო. გიხაროდენ. მრწამსი. ღვთის-ანგელოზო . . . . . . . . 5

## დილის ლოცვანი.

გალობა წმიდა ზიარებისა,

თაყვანსხა ბცემ. ლოცვა ყოვლად-
წმიდისა მიმართ, ბეზედრები,
მოვედ. ლოცვა, უფალო და ღმე-
რთო. საქმე სარწმუნოებისა,
იმედისა, სიყვარულისა და სინა-
ნულისა . . . . . . . . . 11 23

ლოცვანი. თაყვანისცემულო-
იესო. ჵი ყოვლად უმანკო ღვ-
თის-მშობელო. კაცთ მოყვარე-
ო უფალო. ყოვლად წმიდა სა-
მებაო, და სხვაც . . . . 23 34

ლოცვა წმიდა გულისა მიმართ-
იესოსი . . . . . . . . . . . . . 34

— წმიდა გულისა მიმართ მა-
რიამისა . . . . . . . . . . . . . 36

ლითანია იესოსი . . . . . . . 39

ჟილება მადადლოა შინა . . . . 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვა ყოველდღივ სათქმელი
— მოქცევისათჳს ყოველთა კაცთა . . . . . . . . . . . . 55
— სულ ამამავალთათჳს . . 57
— ყოველთა წმიდათა მიმართ . . . . . . . . . . . 58
ხშირად მოსაგონნი საგანნი 60

## საღამოს ლოცვანი.

თაყვანსა გცემ. შენ ღმერთო . . . . . . . . . . . . 63
საქმე სრული სინანულისა . 64
ლითანიაჲ წმიდისა ღვთის მშობლისა . . . . . . . . . 68
ლოცვა . ტკბილო გულო იესო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარ . . . . . . . . . . . . . . . 74
— მოპოვნისათჳს ღვთის .
მშობლის მფარველობისა . 75
— მამა იოსების მიმართ . 87
— წმიდა იოვაკიმ და ანნას
მიმართ . . . . . . . . . . . . . 89
— მფარველი ანგელოზის
მიმართ . . . . . . . . . .
— სეხნა წმიდისა მიმართ . 91
— წმიდისა ანტონ . . . . 92
პადოველის მიმართ . . 93
— წმიდა ფრანცისკე
ქსავერის მიმართ . . . . . . 94
— წმიდისა სტანისლაოს .
მიმართ . . . . . . . . . . . . . 98
— წმიდა ალოიზის
მიმართ . . . . . . . . . . . . . 101

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წმიდა ნინა ქალწულის.
მიმართ . . . . . . . . . . . . 104
შენდობიანი მოკლე . .
ლოცვები . . . . . . . . . 104
ლოცვა კეთილი სიკვდი-
ლისათვის . . . . . . . . . . 108
— მოქცევისათჳს ურწმუ-
— ნოთა » ლოცვათა ❧
მიცვალებულ-თათჳს . . . . 111
— მიქაელ მთავარ ანგე-
ლოზისა მიმართ . . . . . 113
— უწინარეს დაძინებისა
სათქმელი . . . . . . . . . 115
მნიშვნელობა წმიდა .
წირვისა გინა წირჳს რიგი . 119
ლოცვა ჯვარისა წმიდა
ზიარებისადმი . . . . . . . 150

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯვარისა ღვთის-
მშობლის მიმართ . . . . . 152
— წმიდა ზიარების . . .
განმოსვენების დროსა . . 153
— სურვილით ზიარე-
ბისათვის . . . . . . . . . . 155

განმავლობასა შინა დღისა სათქმელნი ლოცვანი.

სხვა და სხვა მოკლე ლოცვანი. ყოვლად წმიდაო სამებაო. მეუფეო ზეცათაო. უფალო და მეუფეო. შენ გევედრებით ღვთისმშობელო. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა. ღირს არს ჭეშმარიტად. სიტკბოებაო ანგელოზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაო. მარიამ წმიდათა უწმიდე-
სო. ჯუარო მფარველო. მიწყა-
ლენ ჩუ̈ენ უფალო შემიწყალენ.
უფალო შეგჳწყალენ ჩვენ. მო-
წყალებისა კარი განგჳღე. წმი-
დანო დიდებულნო მოციქულ-
ნო. ღმერთო მამათა ჩუენთაო.
სოფლისა შემომქმედისა. ყოვ-
ლისა სოფლისა წამებულთა.
წმიდათა თანა განუსვენე. რომე-
ლი ყოველსა დღესა ჵ
ყოველსა ჟამსა . . 157 168
ლოცვა წმიდისა სამებისა
მიმართ . . . . . . . . . 168
გჳრგჳნი პატიოსნისა ღვთი-
ური გულის იესოსი 171 184
ლითანია იესოს გულისა. 185

მხურვალება მწუხარე. გულისა
მიმართ ღვთის მშობლისა 192
ჯვარის გზა ....... 200
ჰსდგა ჯვართანა ...... 226
ცხრა დღის წინა დამზადების
ლოცვანი უწინარეს დღესასწაუ-
ლისა წმიდისა ღვთის მშობ-
ლისათა .......... 233
ცხრა დღის ლოცვანი (ნოვენა)
პატიოსნისათჳს უმანკოდ ჩასა-
ხებისა .......... 267
ცხრა დღის ლოცვანი . .
შობისა უფლისა ჩვენისა . 277
მცირე გჳრგჳნი ზეცად
მიცვალებისათჳს წმიდის
ღვთის-მშობლისა ..... 232

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვა უწინარეს ეგიქრის
ლოცვისა სათქმელი . . . 287
გალობა სული წმიდისა . . 289
ლოცვა ზეწუხებაში მყოფე
მტრისათვის . . . . . . . 291
— კვალად ზეწუხებაში
მყოფისათჳს ღვთის-მშობე-
ლის მიმართ . . . . . . . 295
საგანნი, რომელიც უნდა
იცოდეს ყოველმან ქრის-
ტიანმან . . . . . . . . . . 304
განდობის დამჭადებისათჳს 309
ლოცვა ჩხრევის უწინ
სათქმელი . . . . . . . . . 314
— სინანულისა უწინარეს
აღსარებისა სათქმელი . . 316
— შემდგომ აღსარებისა სათ-

ქმული . . . . . . . . . . 321
— წმიდა ზიარების საიდუმლოჲსა ზედა . ' . . 324
ლოცვა წმიდა ზიარების მიღების უწინ სათქუელი . 328
— კვალად წმიდა ზიარების მიღების უწინ 331
— წმიდა ზიარების მიღე-ბის შემდგომ სათქმელი . 331
— კვალად მიღების შემდგომ . . . . . . . . . 337
— კვალად მიღების შემდგომ . . . . . . . . . 338
— კვალად მიღების შემდგომ . . . . . . . . . 339
სრული შენდობისანი ლოცვა 342
სულის ანდერძი . . . . . . 344

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავდენიმე ტროპარნი და კონ-
დაკნი გინა მოკლე ლოცვანი
მთავართა დღესასწაულთა. ვი-
თამც შობისა, წინადაცვეთის,
განცხადებისა, დიდი პარასკე-
ვისა, აღდგომისა, ამაღლებისა,
სული წმიდის მოსვლისა, ფე-
რისცვალებისა, ღვთის მშობ-
ლის შობისა, იოვანე ნათლის
მცემლის შობისა, წმიდათა მო-
ციქულთა პეტრესი და პავლესი,
პეტრე მოციქულის ჯაჭვისა,
მარკე მახარებელისა, წმიდისა
გიორგისა, მიცვალებულთა,
ჯვარისა, წინას წარმეტყველთა,
მოციქულთა, მღვდელთ მთავარ-
თა, მოწამეთა, მეუდაბნოელთა,

ჳირხთა ჲ̃ ქალწულთა, 353 377

## გალობანი.

აღდგომისა ჴ̃ი ძეო — 378
წმიდა ზიარებისა, უგა-
ლობდე ენაო, დიდებულსა 380
ნათლობისა, გაქებთ შენ
ღმერთო. — — — — 384
ღვთის მშობლისა, გიხარო-
დენ ვარსკულაო ზღვისაო. 388
მიცვალებულთა, დღე რისხ-
ვისა დღე სრვასავითა. — 390

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტამბის შეცოდებანი

| შეცდომა | გასწორება. | გვერ. | სტრიქ. |
|---|---|---|---|
| ყოლისა | ყოვლისა | 30 | 5 |
| მორჩილა | მორჩილი | 30 | 11 |
| ქალწბლო | ქალწულო | 59 | 10 |
| მომკდვარ | მომკვდარ | 65 | 13 |
| სოფისანი | სოფლისანი | 72 | 10 |
| შვძლებ | შევიძლებ | 74 | 14 |
| გასაცდებელსა— | —განსაცდელებსა | 80 | 13 |
| რადგნ | რადგან | 80 | 16 |
| მოწალე | მოწყალე | 81 | 8 |
| სასაუფევლი— | —სასუფეველი | 83 | 7 |

ჯჟავხობის ვჟახობის 84 2
სასაყვარელი საყვარელი 91 5
მელრსას მელირსას 96 15
შეყჯარებითა —
— შეყვარებითა 99 3
შმანკოებითა —
— უმანკოებითა 99 4
ანგლოზებრივი —
— ანგელოზებრივი 100 10
ქოისტე ქრისტე 139 1
საუკუნჲს —
— საუკუნოჲს 145 12
ანჯელზის —
— ანგელოზის 160 5
გიხაართდენ —
— გიხართდენ 160 6
სასაკმელო —

| | | | |
|---|---|---|---|
| — | სასაკმეველო | 161 | 13 |
| დატევნელისა — | | | |
| — | დაუტევნელისა | 161 | 14 |
| მეუფთა | მეფთაო | 162 | 8 |
| განშაშორებ — | | | |
| — | განგვაშორებ | 165 | 1 |
| თაყვანს | თაყვანის | 166 | 12 |
| სწყალობ | ჰსწყალობ | 166 | 17 |
| ლოცვა | ლოცვაჲ | 167 | 3 |
| ვიდრემდისნ — | | | |
| — | ვიდრემდისინ | 204 | 14 |
| ზადა | ზედა | 205 | 9 |
| ტკბლო | ტკბილო | 208 | 8 |
| ფარსევლსა — | | | |
| — | ფარისევლსა | 213 | 16 |
| ჩვყნ | ჩვენ | 224 | 15 |
| ღთის | ღვთის | 225 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| შმობელსა | მშობელსა | 225 | 2 |
| სწუხდა | ჰსწუხდა | 227 | 4 |
| უმწეობითა | შემწეობითა | 247 | 4 |
| იგულს | გულს | 254 | 3 |
| მიყჯვნებად | მიყვანებად | 254 | 7 |
| ადუღიცხიველნი — | — ადუღიცხველნი | 255 | 17 |
| ყოლის | ყოსლის | 266 | 12 |
| ხარობთ | ვხარობთ | 267 | 5 |
| ნოვენ | ნოვენა | 267 | 11 |
| პირუელი | პირველი | 313 | 14 |
| ქისტეს | ქრისტეს | 315 | 4 |
| კორცსა | ჴორცსა | 334 | 8 |
| შენდობიზა | შენდობისა | 344 | 14 |
| ასდერძი | ანდერძი | 345 | 1 |
| ფომელი | რომელი | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული წიგნები, რომელნიც ისყიდებიან სტამბოლს ჩინილი ხანში ჭოქოციანის მაღაზიაში ნუმერო 5. და გალათას სელბოს ხანში, მხითარისტების წიგნის მაღაზიაში ნუმერო 4.

ფასი ბროშურისა —— კაპეკი
წინამძღვარი ზეცისა —— 30
გზა ცხოვრებისა ——— 40
სიბრძნე გაცებრივი —— 50
ბრძენი კაცი ———— 40
მოკლე ქართული ღრამატიკა 20
ჰქლად სახმარი მოკლე მჭევრ-მეტყველება ( რიტორიკა ) 30
მოკლე სიბრძნის-მოყვარება ( ფილოსოფია ) ——— 30
თანსატარებელი ლოცვის წიგნი 50

წაღკოტი ლოცვათა — 30
საქრისტიანო მოძღვრების 20
პატარა საქრისტიანო მოძღვარების ქართული ანბანით მუქთად.

ქსკონტი ასში ათი არის მხოლოდ იმ პირისთვის ვინც ზემოხსენებული სხვა და სხვა წაირი წიგნისაგან არჩევით იყიდის ასს კოპიოსა, და ანუ მაინც ერთი რომელიმე მათგანისაგან იყიდის ოც და ათს ან ნამეტარს კოპიოსა ერთიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვედრებაჲ

[illegible] . [illegible]
და ძეო ღმრთისაო, [illegible]
შენითა [illegible]
[illegible] და [illegible]
[illegible] და [illegible]
[illegible]
[illegible], და წმიდათა მათ
[illegible], [illegible], და
[illegible]
[illegible] და [illegible]
და ყოვლითა წმიდათა,
[illegible]
[illegible]

და ღმრთისაი, დიდებისმყოფე-
ლისაჲთვის და ამაღლებისა-
ვის წმიდა დიდა ევნისას,
ვისისაი ძესნ ნაწილი, მწყე-
რე და სხვისა ძესმინ
ამაჲ ქრისტეს მიეს ყოვლის
ჭურჭლის ამენ.

ოსი დიდებულს მრწამე

წმიდაა მიწყეთ მიადგა
ანგელოზთა. დავიწყევ
ჭურჭ მსმლოთაზი წაიარე
დღეგ ყოვლისმპყრობელს და
სავსისსეიას ემძლსი, იყავნ
ჭურჭად მეოხებითა ძესრსრ
იგი ყოვლითაშენი, სხვათა დაწამლოი

მეუფისებაი ხალხი [illegible]
მოისმინა ზეციერ [illegible]
ლაი ძალ[illegible]ის ღვთისმშობლის
მათხოვრისა [illegible]
[illegible] და ყოვლ[illegible]
ტკბილს ხმათა საგალობ[illegible]
მომ[illegible] [illegible] ზეცის
წარსატყმევლად[illegible]
ყოვლის ამენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა